

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

**შრომები**

სპეციალური გამოშვება

**დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა**

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities**

**Institute of Georgian History**

**Proceedings**

**Special Issue**

**David Agmashenebeli and His Epoch**

გამომცემლობა „მერიდიანი“

**Meridian Publishers**

თბილისი

**Tbilisi**

2012

უკ(UDC)94(479.22)  
ს-323

**რედაქტორები:**

თელო დუნდუა  
დარეჯან თვალთვაძე  
მარიამ ჩხარტიშვილი  
ალექსანდრე ბოშიშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**

მარიამ ლორთქიფანიძე  
გიული ალასანია  
თეიმურაზ პაპასქირი  
აპოლონ თაბუაშვილი  
ქეთევან გოჩიტაშვილი  
ლერი თავაძე  
ანდრო გოგოლაძე  
გიორგი ჟუჟუნაშვილი  
შალვა გლოველი  
ქეთევან მირზიკაშვილი

**Editors:**

Tedo Dundua  
Darejan Tvaltvadze  
Mariam Chkhartishvili  
Alexander Boshishvili

**Editorial Board:**

Mariam Lordkipanidze  
Giuli Alasania  
Teimuraz Papaskiri  
Apolon Tabuashvili  
Ketevan Gochitashvili  
Leri Tavadze  
Andro Gogoladze  
Giorgi Zhuzhunashvili  
Shalva Gloveli  
Ketevan Mirzikashvili

<http://geohistory.humanities.tsu.ge>

E-mail: [geohistory@tsu.ge](mailto:geohistory@tsu.ge)

[geohistory@live.com](mailto:geohistory@live.com)

© ტექსტი – ავტორები, 2012

© შედგენა – თ. დუნდუა, მ. ჩხარტიშვილი, ა. ბოშიშვილი, 2012

ISSN 1987-9970

**შინაარსი**  
**CONTENTS**

<b>წინასიტყვაობა</b> .....	<b>7</b>
<b>ჯაბა სამუშია</b> დავით აღმაშენებლის სტატუსი 1083-1089 წლებში .....	<b>8</b>
<b>Jaba Samushia</b> David the Restorer (“Agmashenebeli”) and his Position in 1083-1089 (Summary) .....	<b>17</b>
<b>მიხეილ ბახტაძე</b> ერისთავობის საკითხი დავით IV აღმაშენებლის ცენტრალისტურ პოლიტიკაში .....	<b>18</b>
<b>Mikeil Bakhtadze</b> Issue on Eristavi (Duke’s) Institution During the Reign of David IV (Summary) .....	<b>25</b>
<b>გიორგი ოთხმეზური</b> დავით აღმაშენებლის ეპოქის ეპიგრაფიკული ძეგლები .....	<b>26</b>
<b>Giorgi Otkhmezuri</b> Epigraphic Monuments of the Epoch of David the Builder (“Agmashenebeli”) (Summary) .....	<b>38</b>
<b>ანდრო გოგოლაძე, მედეა გოგოლაძე</b> დავით აღმაშენებლის ხელისუფლების ცენტრალიზაციის ერთი ასპექტი .....	<b>39</b>
<b>Andro Gogoladze, Medea Gogoladze</b> One Aspect of Centralization of Power by David Agmashenebeli (Summary) .....	<b>44</b>
<b>მზექალა შანიძე</b> დაჰმანი .....	<b>45</b>
<b>Mzekala Shanidze</b> Dahman (Summary) .....	<b>49</b>
<b>თეოდო დუნდუა</b> გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები. თეოდორე გაბრასი და დავით აღმაშენებელი .....	<b>50</b>

<b><i>Tedo Dundua</i></b> The Gabrids and their Money Issues. Theodoros Gabras and David IV, King of Georgia (Summary) .....	<b>68</b>
<b><i>დომიტრი შველიძე</i></b> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთი მოსაზრების გამო .....	<b>70</b>
<b><i>Dimitri Shvelidze</i></b> Regarding to One Assumption Made by Chronicler of King David the Builder ("Agmashenebeli") (Summary) .....	<b>77</b>
<b><i>ვახტანგ ლიჩელი</i></b> შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა აწყურთან .....	<b>78</b>
<b><i>Vakhtang Licheli</i></b> Middle Age Archaeological Material from Atskuri (Summary) .....	<b>89</b>
<b><i>ალექსანდრე ბოშიშვილი</i></b> ლორე. ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა .....	<b>90</b>
<b><i>Alexander Boshishvili</i></b> Lore. History and Contemporary Condition (Summary) .....	<b>106</b>
<b><i>ნიკო ჯავახიშვილი</i></b> მეფე დავით IV აღმაშენებლის ასახვა ქართულ სახელმწიფო და სამხედრო სიმბოლიკაში (XVIII-XX საუკუნეები) .....	<b>107</b>
<b><i>Niko Javakhishvili</i></b> Georgian State and Military Symbolics of the 18 <sup>th</sup> - 20 <sup>th</sup> cc. Representing King David IV the Builder ("Agmashenebeli") (Summary) .....	<b>119</b>
<b><i>მისეილ ქართველიშვილი</i></b> დავით აღმაშენებელი ქართულ მეცნიერებაში. ბიბლიოგრაფია .....	<b>120</b>



დავით IV აღმაშენებელი (1089-1125 წწ.).  
გელათის ფრესკა





ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

## წინასიტყვაობა

სიმბოლურია, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს დაარსდა. უნივერსიტეტის დამაარსებლებმა ქართული უმაღლესი სასწავლებლის საზეიმო გახსნა სრულიად კანონზომიერად დაუკავშირეს დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, რადგანაც მომავალში სწორედ უნივერსიტეტს უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში.

დავით აღმაშენებელი გამორჩეული ფიგურაა საქართველოს ისტორიაში. მისი მმართველობა არა მხოლოდ სამხედრო წარმატებებსა და ქვეყნის პოლიტიკურ ძლიერებასთან არის დაკავშირებული, არამედ ასოცირდება კულტურულ-საგანმანათლებლო ნოვაციებთანაც. დავით აღმაშენებელს, როგორც განსწავლულ ადამიანს, კარგად ესმოდა განათლების მნიშვნელობა ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომ მეფემ საჭიროდ ჩათვალია საქართველოში დაეარსებინა ისეთი საგანმანათლებლო კერები, რომლებიც იმდროინდელი მსოფლიოს წამყვან სკოლებს გაუტოლდებოდა. ერთ-ერთ ასეთ ცენტრად იქცა გელათი, რომელიც ქართულ ცნობიერებაში ახალ ათინად და მეორე იერუსალიმად აღიქმებოდა.

უკვე ტრადიციად იქცა 8 თებერვალს უნივერსიტეტის დაარსების დღის აღნიშვნა. სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, რომელიც 1918 წელს დაარსებული უნივერსიტეტის პირველი ფაკულტეტის – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის – მემკვიდრეა, მოამზადა სამეცნიერო შრომების კრებული „დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“.

წინამდებარე გამოცემა სპეციფიკური ხასიათისაა. მასში გაერთიანებულია დიდი ქართველი მეფის მოღვაწეობასა და მის ეპოქასთან დაკავშირებული უახლესი შრომები.

ვიმედოვნებთ, ეს გამოცემა ჩვენი დიდი წინაპრის ღვაწლს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ღირსეულად და მეცნიერული ობიექტურობით.

*დარეჯან თვალთვაძე*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

*ჯაბა სამუშია*

### დავით აღმაშენებელი. სტატუსი 1083-1089 წლებში

დავით IV აღმაშენებლის ტახტზე ასვლა დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ქართველ მკვლევართა შორის. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დავითი სახელმწიფო გადატრიალების გზით მოვიდა ხელისუფლებაში, ხოლო მეორე ნაწილის აზრით, არავითარი გადატრიალება 1089 წელს არ მომხდარა და გიორგი II-მ თავისი ვაჟი გვერდით ამოიყენა, როგორც თანამოსაყდრე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად ვხვდებით მეფობის ორი სტატუსის გაიგივებას. ეს გახლავთ „თანამოსაყდრეობა“ და „თანამეფობა“ ანუ „ორმეფობა“. ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვისას მეცნიერები ხშირად ურევნ ამ ორ სტატუსს, რაც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, დავით IV 1089 წელს თანამოსაყდრე გახდა და სახელმწიფო გადატრიალების წყალობით ერთპიროვნულ მმართველად იქცა. მეცნიერის მითითებით, „ჩვენ შევეცადეთ გიორგი მეფის მოუხსენებლობა 1089 წლის შემდეგ დავითის ისტორიკოსის ცალმხრივობითა და დავითისადმი მიკერძოებით აგვეხსნა. საქმე, როგორც ჩანს, ისე იყო, რომ გიორგი მეფე აიძულეს მემკვიდრე დავითი თანამოსაყდრედ დაესვა და ქვეყნის მართვა-გამგეობა მისთვის დაეთმო“.<sup>1</sup> ი. სურგულაძის მითითებით, კი ორმეფობით დაინტერესებული იყვნენ თავად მონარქები, რადგანაც ამ მეთოდით ისინი ახერხებდნენ მემკვიდრის გაწვრთნას, აღებინებდნენ მას სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობას. მეცნიერი დასძენს: „პრაქტიკულად ორმეფობის ინსტიტუტი თითქმის განუწყვეტლივ არსებობდა გიორგი II-ის დროიდან დავით ნარინამდე. გიორგი II-მ თანამოსაყდრედ გაიხადა დავით აღმაშენებელი, დავითმა – დემეტრე, დემეტრემ – გიორგი III, გიორგი III-მ – თამარ მეფე, თამარმა – ლაშა-გიორგი, რუსუდანმა – დავით ნარინი“.<sup>2</sup> ამ აზრს იზიარებდა ილ. ანთელავაც. თავის საკმაოდ საინტერესო სტატიაში მეცნიერი დასძენდა: „ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ რაიმე დაპირისპირებას გიორგი II-სა და და-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. VII. თბ. 1974, გვ. 26.

<sup>2</sup> ი. სურგულაძე. სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. თბ. 1977, გვ. 72-73.



ვით IV-ს შორის ადგილი არ ჰქონია. ქვეყნისთვის უაღრესად ძნელდობის ჟამს გიორგი II-მ თანამოსაყდრედ აკურთხა და გვერდით ამოიყენა თავისი ერთადერთი ვაჟი – დავით IV, რომელიც უაღრესი სამხედრო და ორგანიზაციული ნიჭით იყო დაჯილდოებული“.<sup>3</sup>

დავით IV-ის ბიოგრაფიაში აშკარად ჩანს მისი უფლებრივი მდგომარეობის ორი ეტაპი, როდესაც იგი იყო თანამოსაყდრე და, მოგვიანებით, როდესაც გახდა სრულუფლებიანი მეფე.

1085 წელს დავითი იწოდება მეფედ და სევასტოსად. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ დავითგარეჯის წიგნთსაცავში აღმოჩენილ ხელნაწერის მინაწერს:

„დაესრულა საწელიწადოდ საწინაღმართმეტყველოდ წესსა ზედა ბერძნულსა, ახალ თარგმნილი წმიდისა მამის ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისაჲ, სრული ყოვლითურთ და უნაკლულოდ. მე, სულითა საწყალობელმან ეგნატი, დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი საწინაღმართმეტყველოდ დიდებულისა ლავრისა შატბერდისათჳს, სალოცველად ღვთიფ-გურგუნოსანთა ჩუენთა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა... ქრონიკონი იყო ტ და ე (1085)“.<sup>4</sup> დაახლოებით ამავე პერიოდში უნდა იყოს შესრულებული წყაროსთავის მათეს სახარების მინაწერიც, რომელშიც დავითი მეფისა და სევასტოსის ტიტულითაა მოხსენიებული.<sup>5</sup>

ამგვარად, უკვე 1085 წელს, გიორგი II-ის მეფობის დროს, დავითი იწო-

<sup>3</sup> ი. ანთელავა. ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ. წიგნ.: ი. ანთელავა. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ. 1988, გვ. 111.

<sup>4</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. ტ. I. თბ. 1892, გვ. 232. აღნიშნული მინაწერის ტექსტის ვ. სილოგავასეული წაკითხვა იხ. ვ. სილოგავა. ლიხნის ტაძრის ოთხი წარწერა (ხელნაწერი). აწ განსვენებულმა ვ. სილოგავამ აღნიშნული ნაშრომი ხელნაწერის სახით მოგვაწოდა.

<sup>5</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. შეადგინეს და დასაბუჟდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ. ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1976, გვ. 159-160. დავითი სევასტოსის ტიტულით იხსენიება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცულ მონეტაზე. გ. დუნდუა და თ. დუნდუა ამ ტიპის მონეტების ემისიას ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული დათარიღების მიხედვით 1089-1091 წწ. აქცევენ. მეცნიერთა მითითებით, „არ უნდა იყოს სავარაუდო, რომ დავითს გიორგი II-ის ტახტიდან ოფიციალურ გადადგომამდე მოეჭრა მონეტა“. გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი. თბ. 2006, გვ. 195. წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის დავით IV-ის ბიზანტიური ტიტულატურის ტარების ქრონოლოგიის განსაზღვრა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ნუმიზმატიკური მასალა უჩვენებს, რომ 1089 წლის შემდეგ მცირე ხანს, შესაძლებელია, დავითს ბიზანტიური ტიტულატურა ეტარებინა. ამასთანავე, საინტერესოა ავტორთა დაკვირვება, რომ თანამოსაყდრე დამოუკიდებლად მონეტას ვერ მოჭრიდა. ყოველ შემთხვევაში ასეთ დროს ორივე მეფის მითითება ხდება. ასეა ეს გიორგი III-სა და თამარის 1178-1184 წწ. მოჭრილ მონეტაზე. ამდენად, 1089 წლის შემდეგ დავითს, როგორც თანამეფეს და არა როგორც თანამოსაყდრეს, მონეტის მოჭრის სრული უფლება ჰქონდა.

დება მეფედ და სევასტოსად. ბუნებრივია, ქვეყანას განაგებს მეფეთ მეფე გიორგი, მაგრამ მასთან ერთად განსახლებული უფლებები სამეფოს მართვის საქმეში მის მცირეწლოვან (1085 წელს დავითი 12 წლის იქნებოდა) შვილსაც ჰქონდა. ყურადსაღებია ისიც, რომ მამა-შვილს შორის იერარქია მკვეთრად არის დაცული – გიორგი კესაროსია, დავითი კი სევასტოსი – შედარებით დაბალი რანგის ბიზანტიური ტიტულის მატარებელი.<sup>6</sup> ჩვენამდე მოღწეულია, ასევე, მესამე ცნობაც, რომელშიც დავითი მეფედ და უკვე „პანიპერსევასტოსად“ იხსენიება. ეს მინაწერი დაცულია ეფრემ მცირის მიერ გადაწერილ ერთ დიდ მეტაფრასულ კრებულში (S 384), რომელიც შეიცავს სექტემბერ-ნოემბრის აგიოგრაფიულ საკითხავებს. ხელნაწერს აქვს ეფრემ მცირის მიერ გაკეთებული რამდენიმე საინტერესო მინაწერი. ერთ-ერთში ვკითხულობთ: „იესო ქრისტე, მფარველო ყოველთა სუფევათაო, ადიდე ორკერძოთვე დიდებითა შენ მიერ გურგუნოსანი, ბრწყინვალე და უძლეველი მეფეთა-მეფე გიორგი და მაღალი კეისაროსი, და განამრავლენ წელნი მეფობისა მათისანი ნებისაებრ მათისა და შენ მიერ მონიჭებული ძე მათი დავით, მეფე და პანიპერსევასტოსი, ადიდე, მძლე ყავ ყოველთა ზედა მტერთა და წინააღმდეგომთა. ამინ“.<sup>7</sup> ეფრემ მცირის ამ მინაწერს თ. ჟორდანიას 1089-1091 წლებით ათარიღებდა.<sup>8</sup> შედარებით განსხვავებული შეხედულება გამოთქვა ივ. ლოლაშვილმა. მისი აზრით, ეს ხელნაწერი 1089-1096 წლებს შორის უნდა იყოს გადაწერილი. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეფრემ მცირის ეს მეტაფრასული კრებული შეუდგენია დავით აღმაშენებლის მეფობაში 1089 წლიდან XI საუკუნის დასასრულამდე, გიორგი II-ის სიცოცხლეში, შავ მთაზე, კალიპსის ქართველთა მონასტერში, ბასილი კალიპოსელის წინამძღვრობის დროს. ამოსავალი ამგვარი დათარიღებისთვის არის ის, რომ დავითი ამ მინაწერში მეფედ იხსენიება. ე. ი. ქვედა თარიღი ყველა შემთხვევაში, ივ. ლოლაშვილის აზრით, 1089 წელი უნდა იყოს. ზედა თარიღის განსასაზღვრავად კი მეცნიერები მინაწერის კონტექსტს იშველიებენ, სადაც აღნიშნულია გიორგისა და დავითის მტერთან ბრძოლა. ივ. ლოლაშვილმა ყურადღება მიაქცია, ასევე, ეფრემის სიტყვას, რომ „სიჰავისა ჟამთაჲსა“ მიზეზით „გიორგი საკვირველმოქმედის ცხოვრების“ მთაწმინდელისეულმა თარგმანმა შავ მთაზე ვერ მოაღწია და ამიტომაც ეს წიგნი ხელახლა ვთარგმნეო. ამ „სიჰავისა ჟამთაჲსაში“ ივ. ლოლაშვილი მცირე აზიაში თურქ-სელჩუკთა თარეშს გულისხმობს, რომელსაც ბოლო მოეღო 1097-1099 წლებში ჯვაროსანთაგან ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებით. აქედან გამომდინარე კი, მეცნიერის აზრით, ხელნაწერის გადაწერის ზედა თარიღი 1096 წელი უნდა იყოს.<sup>9</sup> ჩვენი აზრით, ეფრემ მცირის

<sup>6</sup> რ. მეტრეველი. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. თბ. 1972, გვ. 75-76.

<sup>7</sup> აღნიშნული მინაწერი გამოქვეყნებული აქვს ივ. ლოლაშვილს. იხ. მისი, არსენ იყალთოელი. თბ. 1978, გვ. 46.

<sup>8</sup> თ. ჟორდანიას. ქრონიკები. ტ. I. გვ. 239.

<sup>9</sup> ივ. ლოლაშვილი. არსენ იყალთოელი, გვ. 46.

მიერ შექმნილი ხელნაწერის ამგვარი დათარიღება შეიძლება გადაიხედოს. ჯერ ერთი, როგორც დავინახეთ, დავითი 1089 წლამდეც იხსენიება მეფედ. მეორეც, „უამთა სიძავე“ წინა აზიასში XI საუკუნის 80-იან წლებში გაცილებით უფრო მწვავე იყო. გარდა ამისა, ეფრემი გიორგი II-ს იხსენიებს, როგორც „ბრწყინვალესა და უძლეველ მეფეთა-მეფეს“ და „მაღალ კეისაროსს“. საეჭვოა ასეთი ეპითეტი ეხმარათ იმ მეფისადმი, რომელიც 1089 წლის შემდეგ ქვეყნის მმართველობას თითქმის ჩამოცილებული იყო. ამდენად, უპრიანია ეფრემ მცირისეული მინაწერი 1085-1089 წლების შუალედით დავათარიღოთ.

სწორედ ზემოთ დამოწმებული ცნობები მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ 1089 წლამდე დავით IV აღმაშენებელი უკვე თანამოსაყდრეა. მაგრამ როდის უნდა მომხდარიყო მისი თანამოსაყდრედ კურთხევის ცერემონიალი? პირველად დავითი 1073 წელს იხსენიება გიორგი II-ის მიერ მღვიმისადმი გაცემულ სიგელში. მაგრამ აქ მცირეწლოვანი უფლისწული მხოლოდ ბიზანტიური ტიტულით, „კურაპალატობით“ იხსენიება („სალოცველად მეფობისა ჩემისა და ძისა ჩემისა დავით კურაპალატისა“).<sup>10</sup> როგორც ჩანს, ბიზანტიის იმპერატორმა ახალდაბადებულ უფლისწულს სიმბოლურად მიანიჭა „კურაპალატობა“. რასაკვირველია, მცირეწლოვან დავითს ამ დროისათვის არავინ აიყვანდა მეფედ და ამიტომაც გასაგებიცაა, რომ გიორგი II-ის სიგელში იგი ამ ტიტულით არ იხსენიება. თორმეტიოდე წლის შემდეგ კი დავით უფლისწული მამის გვერდით უკვე მეფედ იწოდება. სრულიად სამართლიანი ჩანს იმის ვარაუდი, რომ გიორგი II-მ მალიქ-შაჰთან მოსალაპარაკებლად წასვლის წინა, დაახლოებით 1083 წელს, თავისი მხოლოდშობილი ვაჟი აკურთხა მეფე-თანამოსაყდრის პატივით.<sup>11</sup> საქართველოს სამეფო კარისთვის ეს ახალი არ იყო, რადგანაც იგივე ნაბიჯი რამდენიმე ათეული წლის წინათ გადადგა გიორგი II-ს მამამ ბაგრატ IV-მ, როდესაც იგი ბიზანტიაში წავიდა და თანამოსაყდრედ შვილი დატოვა.<sup>12</sup>

როგორც ითქვა, 1089 წლამდე დავით უფლისწული მეფედ იწოდებოდა. შესაბამისად, მისი კურთხევა უნდა მომხდარიყო. 1089 წელს კი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, გიორგი II-მ „დაადგა გვირგვინი მეფობისა“ თავის ვაჟს. ეს რეალობა გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა კურთხევასთან.

ინაუგურაცია თავის თავში მოიცავდა როგორც საერო, ასევე საეკლესიო რიტუალს. ტაძარში მეფის კურთხევა, მისი საკურთხეველში შეყვანა აღსავლის კარით, რაც მხოლოდ სასულიერო პირის უფლებაა და საეროთაგან ერთადერთ – მონარქს აქვს ამის პატივი, ხაზს უსვამდა მეფის ხელისუფლე-

<sup>10</sup> სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი (1073 წ.). ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. ტ. I. თბ. 1954, გვ. 46.

<sup>11</sup> ამ დეტალზე ყურადღება გამახვილებული აქვს, ასევე, ი. ანთელავას. იხ. მისი, ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ, გვ. 99.

<sup>12</sup> აღნიშნულ ფაქტს გაკვირვებთ ეხება ი. ანთელავა. იხ. ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ, გვ. 99-100.

ბის უფლისგან წარმომავლობას. დავითის დროს მირონცხების რიტუალი ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო. ეს საკმაოდ საინტერესო და იმავდროულად ცალკე კვლევის ობიექტია და ამიტომაც აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ, მაგალითად, ბიზანტიაში მირონცხება XIII საუკუნის დასაწყისიდან მკვიდრდება.<sup>13</sup> „წესი და განგება მეფეთა კურთხევისაში“ მეფის მირონცხებაზე არაფერია აღნიშნული. ყოველ შემთხვევაში XI საუკუნისთვის საქართველოში მეფეთა კურთხევისას მირონცხების ტრადიცია არ უნდა არსებულებო. მიუხედავად ამისა, საეკლესიო ცერემონიალი მთლიანად ემსახურებოდა იმას, რომ წარმოჩენილიყო სამეფო ხელისუფლების უფლისაგან წარმომავლობა. XI საუკუნის საქართველოში ტახტის მიღების ერთადერთი წყარო იყო მემკვიდრეობითობა ანუ ლეგიტიმური საწყისით ტახტის მოპოვება. მონარქის გამორჩევის შემდეგ ხდებოდა სამეფო ხელისუფლების საკრალიზაცია. ამ პროცესმა განვითარება პოვა იხოთეიზმის ფორმირებაში, რომლის საფუძველია მეფის ხელისუფლებისა და მმართველი დინასტიის დეტაბრივი წარმოშობის დამტკიცება. მსოფლიო ისტორიაში ამის უამრავი მაგალითია, მაგრამ ერთ-ერთი საინტერესო ფორმა იხოთეიზმმა საფრანგეთში მიიღო. კაპეტინგების საგვარეულოს მეფეები უფლისგან იღებდნენ არა მარტო ხელისუფლებას, არამედ სასწაულის ჩადენის ნიჭს. საფრანგეთის მეფეს შესწევდა ძალა სწეულთა განკურნებისა. შეიქმნა მთელი ტრადიცია მეფის მიერ ხელდასხმის მეშვეობით მძიმე სენით დაავადებულთა მორჩენისა.<sup>14</sup>

ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების დეტაბრივი წარმომავლობის იდეოლოგიური ფორმირება IX საუკუნიდან დაიწყო. გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატს მიმართავდა: „გაკურთხენინ ყოველნი პირმან ქრისტესმან და ყოველთა წმიდათამან, რამეთუ ჭეშმარიტად სამართალ არს სიტყვად ესე: „სადა არს პატივი მთავრობისაჲ, მუნ არს მსგავსებაჲ ღმრთეებისაჲ“. რამეთუ თქუნ, ჳელმწიფენი, უფალ-გყვნა ღმერთმან ქვეყანისა განგებასა, ვითარცა გულისჳმა ვჰყოფთ კეთილის ყოფასა ღმრთისასა ჩუენდა მომართ მეფობითა შენითა“.<sup>15</sup> XI საუკუნის დასაწყისში მოღვაწე მემატინემ, სუმბატ დავითის ძემ, კი ბაგრატიონთა დეტაბრივი წარმომავლობის იდეა დასრულებული ფორმით წარმოადგინა. ამდენად, მეფე ხელისუფლებას იღებს დეტისგან და, როგორც უფლისგან ხელდასხმული, სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებს ამ

<sup>13</sup> Г. А. Острогорский. Эволюция византийского обряда коронования. кн. Византия, южные славяне и древняя Русь. Западная Европа. Искусство и культура. Сб. статей в честь В. Н. Лазарева. М. 1973, გვ. 37; Б. А. Успенский. Царь и император. Помазание на царство и семантика монарших титулов. М. 2000, გვ. 6, 25.

<sup>14</sup> ამ საკითხზე ვრცლად იხ. Ж. Ле Гофф. Людовик IX Святой (пер. В. Матузовой). М. 2001, გვ. 622-623.

<sup>15</sup> გიორგი მერჩულე. შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსაჲ ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ. ხანცთისა და შატბერდის აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ჳსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნ. II. (XI-XV სს.). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1967, გვ. 262.

პატივს, მსგავსად სასულიერო პირისა.

ამ პერიოდის საქართველოს მეფეთა ინაუგურაციის ამსახველი საგანგებო დოკუმენტი ჩვენამდე მოღწეული არ არის. „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა“, რომელშიც გადმოცემულია მეფის აღსაყდრების ჩვენში არსებული ცერემონიალი, მოგვიანო ხანისაა და თანაც არასრული სახითაა შემონახული.<sup>16</sup> მასში საერთოდ არ არის მინიშნება „უფროსი მეფის“ მიერ თავისი თანამოსაყდრის კურთხევის თაობაზე. არადა XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიაში მსგავსი ფაქტი არაერთია ცნობილი. ქართული ისტორიული წყაროების მეშვეობით ამ ცერემონიალის წარმოდგენა ჩვენთვის მხოლოდ ზოგად შტრიხებშია შესაძლებელი. მაგალითად, მემატინე, როდესაც აღწერს დავით IV-ის მიერ თავისი ვაჟის თანამოსაყდრედ კურთხევას, აღნიშნავს: „თუსითა კელითა დასუა საყდართა თუსთა ძე თუსი დემეტრე... და დაადგა თავსა შუენიერსა გვრგვნი ქვათაგან პატიოსანთა... შეარტყა წელთა ძლიერთა მახვლი, ყმა, რაბამ სვანად კმარებული და შემოსა პორფირი მკლავთა ღომებრთა და ტანსა ახოვანსა. და დაულოცა ცხორება წარმართებული...“<sup>17</sup> მოგვიანებით, როდესაც გიორგი III-მ ტახტზე თანამოსაყდრედ აიყვანა თამარი, ამ შემთხვევაშიც, თითქმის იგივე ცერემონიალი ჩატარდა. გიორგიმ თავად დაადგა თამარს „გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა ოფაზისა, აღკმული იაკინთთა, ზმირთა და სამარაგლოთა მიერ...“ სასახლეში კი მეფემ თავისი ასული „დაისუა მარჯუენით მისსა მეფე და დედოფალი, შემკული და შემოსილი ფერად-ფერადითა ფესვედითა ოქროანითა ბისონითა და ზეზითა...“<sup>18</sup> ქართული წყაროების საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა: „საქართველოს მეფეებს თავიანთი მემკვიდრეები ზოგჯერ თვითონ აჰყავდათ ხოლმე სახელმწიფო ტახტზე, გვირგვინსა და ხმალსაც საკუთარი ხელით ულოცავდნენ. რაკი მეფე ჯერ ცოცხალი იყო და სახელმწიფო ხელისუფლების ნიშნები მას ეკუთვნოდა, მემკვიდრის ტახტზე თანამოსაყდრედ დასმის დროს, ხმალ-გვირგვინს, რასაკვირველია, დიდგვარიანი აზნაურები კი არა, არამედ თვით მეფევე გადასცემდა ხოლმე“.<sup>19</sup> საქართველოში არსებული

<sup>16</sup> წესი და განგება მეფეთა კურთხევისა. წიგნ.: ქართული სამართლის ძეგლები. საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 50-54; ეს ძეგლი XIII საუკუნის უადრესი არ უნდა იყოს, ვინაიდან მასში მოხსენიებულია ათაბაგი. ამასთანავე, მასში ვაზირის რანგში დასახელებულია მსახურთუხუცესი, რომელიც მეფე რუსუდანმა შეიყვანა სავაზიროში. უპრიანია, ვიფიქროთ, რომ ეს ძეგლი XIII საუკუნის შუა ხანებში იყოს შექმნილი.

<sup>17</sup> ცხოვრება მეფეთა მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 363.

<sup>18</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 20-21.

<sup>19</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკ. II. წიგნ.: ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VII. თბ. 1984, გვ. 151.

თანამოსაყდრის კურთხევის ცერემონიალი ნაწილობრივ წააგავს იმ დროის ბიზანტიაში არსებულ წესს. იმპერიაში ეს ცერემონიალი საკმაოდ რთულად ტარდებოდა. მოქმედი იმპერატორი და თანამოსაყდრედ გამზადებული პირი პატრიარქის თანხლებით მიემართებოდნენ საკურთხეველთან, სადაც სამეფო რეგალიები იდო. პატრიარქი ლოცვას კითხულობდა სამეფო მოსახსამზე – პორფირზე და ამის შემდეგ გადასცემდა მას უფროს ბასილევსს, რომელიც პრეპოზიტების მეშვეობით აცმევდა თავის თანამოსაყდრეს. შემდეგ ლოცვას კითხულობდნენ სტემაზე. მას შემდეგ, რაც ერთ სტემას პატრიარქი დაადგამდა უფროს ბასილევსს, მეორეს უშუალოდ გადასცემდა იმპერატორს, რომელიც, თავის მხრივ, თანამოსაყდრედ გამზადებულ პირს დაადგამდა თავზე. ამის შემდეგ ხალხი შეძახილით – „ღირსია, ღირსეულია“ – ადასტურებდა იმპერატორის გადაწყვეტილებების სისწორეს.<sup>20</sup>

იმპერატორად კურთხევა კი გაცილებით რთული ცერემონიული წარმოებდა. ამდენად, ბიზანტიაში მიღებული იყო, ერთი მხრივ, თანამოსაყდრის, ხოლო, მეორე მხრივ, იმპერატორის კურთხევა. მაგრამ თანამოსაყდრე იურიდიული სტატუსით იმპერატორი ან მეფე არ იყო. ამიტომაც ყველა შემთხვევაში თანამოსაყდრეს მეფედ გახდომის შემთხვევაში ხელახლა აკურთხებდნენ. სწორედ ამიტომაც ჩატარდა, მაგალითად, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ თამარის ინაუგურაცია, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე იგი თანამოსაყდრედ იყო კურთხეული. ალბათ იგივე განხორციელდა დემეტრე I-ის შემთხვევაშიც. როგორც ითქვა, დემეტრე მამის, დავით IV აღმაშენებლის დროს აკურთხეს თანამოსაყდრედ, მაგრამ ლატალის თემში შემავალი სოფელ მაცხვარიშის მაცხოვრის სახელობის ტაძრის 1140 წელს შესრულებულ ფრესკაზე, რომელზეც წარმოდგენილია მეფის კურთხევის სცენა, დემეტრე I გამოსახულია მხოლოდ ერისთავთა თანხლებით. ამ ფრესკის კომპოზიციას უფრო მეტად ფენს ნათელს წარწერა – „დემეტრე მეფესა ჳმალსა აბამენ დავითისას ერისთავნი“. თავიდანვე ქართველ მეცნიერთათვის არ იყო საეჭვო, რომ მაცხვარიშის ფრესკაზე დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენა იყო გამოსახული. უფრო რომ დაკონკრეტდეთ, ცერემონიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – დიდებულთა მიერ ხმლის შებმა.<sup>21</sup> ფრესკაზე თანამოსაყდრედ კურთხევა რომ არ არის გამოსახული, უდავოა, რადგანაც ამ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ის ფაქტი, თუ რატომ არ გამოსახეს დავით IV აღმაშენებელი, რომელმაც, მემაციანის თქმით, „თუსითა ჳელითა... დაადგა თავსა შუენიერსა გურგუნი ქვათაგან პატიოსანთა“... სოფელ მაცხვარიშის ტაძარში კი მეფეს ხმალს ერისთავები აბამენ, ისე როგორც ეს მიღებული იყო მეფის კურთხევისას (და არა თანამოსაყდრის კურთხევისას) XII-XIII საუკუ-

<sup>20</sup> Иеромонахъ Иоаннъ. Обрядникъ византийскаго двора какъ церковно-археологическiй источникъ. М. 1895, гл. 190; Г. А. Острогорскiй. Эволюция византийскаго обряда коронованiя, гл. 36.

<sup>21</sup> Т. Б. Вирсаладзе. Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши. *Arg Georgica*. თბ. 1955, № 4, გვ. 169-232.

ნეების მიჯნამდე.<sup>22</sup> ყველაზე ნათლად თანამოსაყდრისა და თანამეფის ინსტიტუტების არსებობა დასტურდება ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის შემთხვევაში. ვფიქრობთ, სწორედ ანალოგიურ ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე 1089 წელსაც.

1051-1052 წლების მიჯნაზე ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო ბაგრატ IV-მ გადაწყვიტა თავად ხლებოდა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მონომახს და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის საკვანძო საკითხები კონსტანტინოპოლში მოეწესრიგებინა. კონსტანტინოპოლში გამგზავრებამდე ბაგრატ IV-მ სამეფო თავის ვაჟს, გიორგის, გადასცა. „დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა...“ გიორგი უფლისწული და თავად „წარვიდა საბერძნეთს“, – დასძენს „მატიანე ქართლისას“ ავტორი.<sup>23</sup> ამ დროს, ფაქტობრივად, სამეფო ორ ნაწილად იყო გაყოფილი. სახელისუფლებო კრიზისი საქართველოში კარგა ხანს გაგრძელებულა და იგი კონსტანტინოპოლიდან ბაგრატის დაბრუნების წინა ხანებში დარეგულირებულა, თუმცა, მხოლოდ გარეგნულად. „მატიანე ქართლისას“ მინიშნებით, საქართველოს მეფის კონსტანტინოპოლში ყოფნისას რატომღაც ლიპარიტ ბაღვაშს მოუწადინებია გიორგი ბაგრატის ძის საქართველოს მეფედ აღიარება და ამ წინადადებით სამეფო კარისთვის მიუმართავს: „ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი, მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად და ბაგრატისი გუარანდუხტ დედოფალი“.<sup>24</sup> როგორც ვხედავთ, არასასურველი რეალობის გამოსწორების სურვილით შეპყრობილმა სამეფო კარმა დიდი სიხარულით მიიღო ერისთავის წინადადება. გიორგი ბაგრატის ძე აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანეს და რუისის ტაძარში მეფედ აკურთხეს. სამეფო კარსა და ბაღვაშებს შორის შეთანხმება ერთ მუხლსაც ითვალისწინებდა: მართალია, ლიპარიტი აღიარებდა ბაგრატიონთა სიუზერენობას, მაგრამ იმავდროულად გიორგი მისი მფარველობის ქვეშ უნდა გაზრდილიყო.

ფაქტობრივად, ქვეყნის გამაერთიანებლად გიორგი უფლისწული მოგვევლინა. ლიპარიტ ბაღვაშმა იგი საქართველოს მეფედ აკურთხა. ამ აქტით ქართულ სინამდვილეში თანამეფობის ინსტიტუტი შემოდის. XI საუკუნის 50-იანი წლების პოლიტიკური მოვლენების შესწავლისას აშკარად ჩანს, რომ გიორგი II-მ ორჯერ შეიცვალა სტატუსი. ქუთაისში გიორგი უფლისწული პირველად თანამოსაყდრედ აკურთხეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი გიორგის რატომღაც ხელახლა აკურთხებენ რუისის ტაძარში. რაღაში დასჭირდათ ერთხელ უკვე მეფედ კურთხეული მონარქის ხელახლა დალოცვა? ერთადერ-

<sup>22</sup> ამ საკითხს ვრცლად განვიხილავთ ჩვენს ნაშრომში „მეფის კურთხევა XI-XIII საუკუნეების საქართველოში (ხელნაწერი)“.

<sup>23</sup> მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 303.

<sup>24</sup> მატიანე ქართლისაჲ, გვ. 304.

თი სწორი ვარაუდი ის იქნება, თუ დავუშვებთ, რომ პირველად თანამოსაყდრედ კურთხეული გიორგი, მეორედ რუისის ტაძარში უკვე მეფედ აკურთხეს. ამ აქტით ქვეყანაში იურიდიულად თანამეფობის ინსტიტუტი მკვიდრდება, რეალურად კი სამეფო კარის მიერ ლიპარიტის დამარცხების შემდეგ საქართველოს ერთპიროვნული მმართველობის სადავეები კვლავ ბაგრატ IV-ის ხელში ექცევა. ჩვენი აზრით, საქართველოში თანამეფობის ბიზანტიური მოდელი დამკვიდრდა. მაგალითად, ბასილი II და კონსტანტინე VIII თანამეფეები იყვნენ წლების განმავლობაში. ლოგიკური იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ იგივე რეალობა შეიქმნა 1089 წლის შემდეგ, მაგრამ ერთი განსხვავებით, ხელისუფლების კონცენტრირება მოხდა დავითის ხელში, ხოლო გიორგი II ჩამოშორდა მმართველობას. აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ საკითხს – დავით IV აღმაშენებლის გამეფებისას თვალში საცემია ის ფაქტი, რომ 1089 წელს მემატიანის მიერ აღწერილი ცერემონიალი გარეგნულად იდენტურია თანამოსაყდრედ კურთხევის ცერემონიალისა. ერთ შემთხვევაში გვირგვინს მომავალ მეფეს გადასცემს არა კათოლიკოსი, როგორც მიღებული იყო, არამედ მეფე-მამა. მაგრამ აქ ისმის ერთი კითხვა, თუ დავითი თანამოსაყდრედ 1083 წლისთვის აკურთხეს, მაშინ ამ სტატუსით მას ხელახლა არავინ აიყვანდა ტახტზე. ამ ეტაპზე ერთადერთი სწორი ვარაუდი იქნება ის, რომ 1089 წელს გიორგი II-მ დავითი თანამეფედ აკურთხა. ჩვენი აზრით, ინაუგურაცია ჩატარდებოდა იმავე წესით, როგორითაც სრულდებოდა მეფედ კურთხევა, ოღონდ ერთი გამონაკლისით, ვინაიდან მეფე-მამა ცოცხალი იყო და მისი მონაწილეობა აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო ცერემონიალის დროს. სწორედ ამიტომ გვირგვინი მომავალ თანამეფეს კათოლიკოსმა კი არ დაადგა, არამედ გიორგი II-მ.



*Jaba Samushia*

**DAVID THE RESTORER (“AGMASHENEBELI”) AND  
HIS POSITION IN 1083-1089**

(Summary)

According to the Georgian historiography, co-regnancy (“tanamosakdreoba”) differs from co-rule (“tanamephoba”), or diarchy.

In 1085, during the reign of Giorgi II, David is named as king and Sebastos. King of the kings Giorgi II was in charge of the kingdom, but, together with him, his young son (David was 12 years old) also had certain privileges for the control of state affairs. It is also noteworthy that hierarchy between father and son was strictly defined – Giorgi is caesaros while David had a title of Sebastos which was lower. The first mention of David occurs in the royal charter of Giorgi II donated to Mghvime monastery. But, here prince David was a baby and he was named as kuropalates. The assumption that David was crowned as junior king (co-regnancy) of Giorgi II in 1083 – when Giorgi left for the negotiation at the royal court of Malik-Shah seems to be reasonable. That was not the precedent for the royal court of Georgia, because some decades ago, Giorgi II had been crowned as junior king by Bagrat IV before the latter left for Byzantium.

According to David the Restorer’s historian, in 1089 Giorgi II crowned his son “with the crown of kingship”. Thus we assume that David, who had been junior king to his father, in 1089 was crowned as co-ruler. We also think that the inauguration was held in accordance with the same rules as it was customary for the coronation of the kings of Georgia, but with the single exception only. As far as the king-father was alive, his participation was necessary during the ceremonial. That is why David was crowned not by Catalicos, but personally by Giorgi II.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

*მიხეილ ბახტაძე*

## ერისთავობის საკითხი დავით IV აღმაშენებლის ცენტრალისტურ პოლიტიკაში

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ დავით IV აღმაშენებელი ერისთავობის ინსტიტუტის წინააღმდეგ იბრძოდა. ამის საილუსტრაციოდ კი ბაღვაშებისა და ძაგან ზედაზნის ციხის პატრონის მაგალითებია მოყვანილი. „ჩანს გრძელდება ...საქართველოს გაერთიანებისთანავე დაწყებული პროცესი ძველ ადმინისტრაციულ ერთეულთა, საერისთავოთა გაუქმებისა“.<sup>1</sup>

პირველ რიგში კლდეკარის საერისთავოს საკითხი განვიხილოთ. რ. მეტრეველის აზრით, ლიპარიტ V ბაღვაშის გაძევების შემდეგ ერისთავი მისი ძე რატი გახდა. „რაც შეეხება კლდეკარის საერისთავოს, მან კიდევ რამოდენიმე წელს იარსება, სათავეში ლიპარიტის ძე რატი ედგა ... (დავითმა – მ. ბ.) კლდეკარის საერისთავო გააუქმა და თავის სამფლობელოს შეუერთა 1103 წელს“.<sup>2</sup> ვ. კობალიანის აზრითაც, საერისთავო რატის სიკვდილის შემდეგ, 1103 წელს<sup>3</sup> გაუქმდა. რატი ლიპარიტის ძე მართლაც 1103 წელს გარდაიცვალა, მაგრამ იყო ის ამ დროს ერისთავი თუ არა, უცნობია. წყაროები მას ერისთავად არ მოიხსენიებენ. ჩვენი აზრით, ბაღვაშებმა ერისთავობა 1094 წელს დაკარგეს, ლიპარიტ V-ის შეპყრობის მერე. არ გვგონია, რომ დავით IV-ს ერისთავობა კვლავ ბაღვაშების ხელში დაეტოვებინა, ეს მის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა.

რაც შეეხება კლდეკარის საერისთავოს გაუქმებას, ჩვენი აზრით, ამგვარი რამ არ უნდა მომხდარიყო. არც ერთი წყარო არ ადასტურებს კლდეკარის საერისთავოს გაუქმების ფაქტს. დავითის ისტორიკოსი წერს – „მოკუდა რატი ძე ლიპარიტისი ... და აღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვიდრი ... და მამული მათი აღიღო მეფემან“.<sup>4</sup> შემდეგ მემატთანე წერს: „და მამული

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე. საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 213.

<sup>2</sup> რ. მეტრეველი. შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში. თბ. 1973, გვ. 80.

<sup>3</sup> В. У. Копалиани. Клдекарское эриставство. Тб. 1949, გვ. 13

<sup>4</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ დავითისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1959, გვ. 326.

ლიბარტიეტი უმკვიდროდ დარჩენილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა და უსარზელ-მიუხეუტელთა სოფელთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებლად“. <sup>5</sup> სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით თვლიან, რომ დავითმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ის გელათის მონასტერს<sup>6</sup> შესწირა. აღსანიშნავია, რომ მემატიანე ყველგან ლაპარაკობს ბაღვაშთა მამულზე. იყო კი კლდეკარი მათი მამული? რა თქმა უნდა, არა. მართებულად შენიშნავს ი. ანთელავა, რომ მატიანეში ლაპარაკია კაცხის მამულზე, რომელიც მეფემ ბეითალმანის უფლებით აიღო. „რაც შეეხება საერისთავოს გელათისათვის შეწირვას, საამისო მონაცემები არ ჩანს და არცაა მოსალოდნელი ვეებერთელა ადმინისტრაციული ერთეული მონასტრისათვის შეეწირათ, თუნდაც გელათისათვის“. <sup>7</sup> ბაღვაშთა მამული რომ არგვეთი იყო და არა კლდეკარი, ეს ნათლად ჩანს წყაროებიდანაც. რატი I „დაჯდა მამულსა თუსაა არგუეთს“. <sup>8</sup> 1057 წელს ლიპარიტ IV-ის დატყვევების შემდეგ „დარჩა მამული არგუეთისა ივანეს“. <sup>9</sup> თავად ივანე ლიპარიტის ძეც ხომ პირდაპირ წერს – „მოვედი კაცხს, მამულსა ჩუენსა“. <sup>10</sup> შეუძლებელია მამულის ქვეშ საერისთავო „ქუეყანა“ ვიგულისხმოთ. ჩვენი აზრით, დავით აღმაშენებელს კლდეკარის საერისთავო არ გაუუქმებია. 1094 წელს მან ბაღვაშებს ერისთავობა ჩამოართვა. რატი კი 1103 წლამდე ფლობდა თავის მამულს არგვეთში.

ჩვენი აზრით, 1094 წელს დავით აღმაშენებელმა ერისთავობა გადასცა თევდორეს. მემატიანე წერს – „თრიალეთი და კლდეკარნი ჰქონდეს თევდორეს, ჭყონდიდელის დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა“. <sup>11</sup> თევდორეს მიერ კლდეკარის ფლობა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა კლდეკარის საერისთავოს ერისთავობას. შევადართო მემატიანის ნათქვამი თევდორეზე – „თრიალეთი და კლდეკარნი ჰქონდეს თევდორეს“, იმავე მემატიანის ცნობას ლიპარიტ V-ის შესახებ – „ჰქონდეს თრიალეთი და კლდეკარნი და მიმდგომი მისი ქუეყანა ლიპარიტს“. <sup>12</sup> როგორც ვხედავთ, თევდორე იმავე ტერიტორიას ფლობს, რომელსაც ლიპარიტი. გამონაკლისია მხოლოდ „მიმდგომი მისი ქუეყანა“, მაგრამ რა იგულისხმება მის ქვეშ, უცნობია. კლდეკარის საერისთავოს ძირითად ნაწილს სწორედ „თრიალეთი და კლდეკარნი“ წარმოადგენდა. მართალია, მემატიანე თევდორეს ერისთავს არ უწოდებს, მაგრამ აქ გასათვა-

<sup>5</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ მეფე დავითისა, გვ. 330.

<sup>6</sup> რ. მეტრეველი. შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, გვ. 82.

<sup>7</sup> ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეებში თბ. 1983, გვ. 182.

<sup>8</sup> მატიანე ქართლისაი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 278.

<sup>9</sup> მატიანე ქართლისაი, გვ. 301.

<sup>10</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული, ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წ. I. ტფ. 1892, გვ. 203.

<sup>11</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ მეფე დავითისა, გვ. 331.

<sup>12</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ მეფე დავითისა, გვ. 325

ლისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საერთოდ არ იყენებს ტერმინ ერისთავს. ლიპარიტ V-ს ის უწოდებს ამირას და არ მოიხსენიებს მას ერისთავობით, თუმცა ლიპარიტს რომ ერისთავობა ჰქონდა, უეჭველია. ამრიგად, ჩვენი აზრით, 1094 წლის შემდეგ კლდეკარის ერისთავი თვედორე გახდა. თვედორეს ერისთავად თვლის ი. ანთელავაც.<sup>13</sup>

ი. ანთელავას აზრით, დავით IV-მ კლდეკარის საერისთავოს ნაწილი სამეფო დომენად აქცია, „მაგრამ საერისთავო ერთეული აქ მაინც ჩანს“.<sup>14</sup> შეიძლება სამეფო დომენად იქცა ის „მიმდგომი მისი ქუეყანა“, რომელსაც თვედორე აღარ ფლობს. ეპიგრაფიკულ მასალაზე დაყრდნობით ნათელია, რომ თრიალეთში XII საუკუნეშიც არსებობს საერისთავო.<sup>15</sup>

კლდეკარის საერისთავოსთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას შემდეგი – დავით აღმაშენებელს კლდეკარის საერისთავო არ გაუუქმებია. მის დროს ამ მხარეს თვედორე მართავდა. მართალია, ისტორიკოსი მას ერისთავობით არ მოიხსენებს, მაგრამ დავითის ისტორიკოსი საერთოდ არ გამოიყენებს ამ ტერმინს მაშინაც კი, როდესაც ისეთ პიროვნებაზე საუბრობს, რომლის ერისთავობაც სადავო არ არის. ამის მაგალითია ლიპარიტ V, რომელიც ნამდვილად იყო ერისთავი. მემატიანე კი მას ამ „კვლით“ არ მოიხსენიებს. „დავით IV აღმაშენებლის ღონისძიებანი ლიპარიტისძეთა წინააღმდეგ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საერთოდ ერისთავობის ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლად. იგივე შეიძლება ითქვას ძაგანისა და მოდისტოსის შესახებ“.<sup>16</sup>

ერთადერთი წყარო, რომელიც ძაგანისა და მისი ძმის, მოდისტოსის, შესახებ მოგვითხრობს, არის დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი.<sup>17</sup> ანდერძში ძაგანი არსად არ მოიხსენიება ერისთავად. ანდერძიდან ირკვევა, რომ ძაგანი ფლობდა ზედაზნის ციხესა და მუხრანს. დავით აღმაშენებელმა, როგორც ცნობილია, დამარცხებულ ფეოდალს ყველა სამფლობელო ჩამოართვა (არსებობს მოსაზრება, რომ ანდერძის დაწერის მომენტში ძაგანი ცოცხალი იყო და გარკვეული სამფლობელოც ჰქონდა).<sup>18</sup> ანდერძიდან არ ჩანს არც ძაგანის ერისთავობა და, სხვათა შორის, არც მისი აბუღეთისძეობა.<sup>19</sup> ორივე ეს მოსაზრება შეიძლება მხოლოდ ვარაუდად ჩაით-

<sup>13</sup> ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეებში, გვ. 182.

<sup>14</sup> ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეებში, გვ. 182.

<sup>15</sup> მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 181-183.

<sup>16</sup> ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეებში, გვ. 183.

<sup>17</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. წ. I. თბ. 1984, გვ. 54

<sup>18</sup> ი. ანთელავა. XI-XV სს. საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბ. 1980, გვ. 109

<sup>19</sup> ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ა. გოგოლაძის მოსაზრებას, რომ ძაგანი არ ეკუთვნოდა აბუღეთისძეთა საგვარეულოს. იხ. ა. გოგოლაძე. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. თბ. 2001, 139-160.

ვალოს, რომელსაც ჩვენ არ ვიზიარებთ.

ვნახოთ, თუ რამდენად შესაძლებელია ძაგანის ერისთავობა. 1103 წლამდე ზედაზნის ციხე კახეთ-ჰერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამ წელს „მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კვირიკეს ციხე ზედაზენი. ქრონიკონი იყო სამასოცდასამი“.<sup>20</sup> ი. ანთელავას აზრით, „1103 წელს, როდესაც დავითმა კვირიკეს ზედაზენი წაართვა, ამ ციხეს ძაგანი ფლობდა, კახეთის მეფის მოხელე და ვასალი. დავითს უცდია მისთვის ციხის ჩამორთმევა, მაგრამ გიორგი II-ს კვლავ ძაგანისთვის დაუტოვებია ციხე“.<sup>21</sup> თუ ძაგანმა ციხე 1103 წლის შემდგომ მიიღო (ჩვენი აზრით, ეს ნაკლებად შესაძლებელი), ეს არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ დავით აღმაშენებელი საერისთავოებს აუქმებდა. რადგან თუ მეფე ერისთავობის ინსტიტუტს ებრძოდა (დავუშვათ ერთი წუთით ასეთი რამ), ცხადია, ის ძაგანს ზედაზნის ციხეს „ერისთავობით“ არ მისცემდა.

ჩვენი აზრით, ძაგანი ზედაზნის ციხეს ჯერ კიდევ 1103 წლამდე ფლობდა. ანუ იმ დროიდან, როდესაც ზედაზენი კახეთ-ჰერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ამ შემთხვევაში კი ძაგანის ერისთავად მიჩნევა ძნელია. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, კახეთ-ჰერეთის სამეფოში შეიდი საერისთავო იყო: რუსთავის, პანკისის, კვეტერის, შტორის, მაჭის, ხორნაბუჯისა და ვეჯინის.<sup>22</sup> სხვა ცნობები, რომლებიც რანთა და კახთა სამეფოში სხვა საერისთავოების არსებობას გვაგვარაუდებინებდა, ჩვენ არ გავგაჩნია. თუ ძაგანი ერისთავი იყო, მისი საერისთავოს ცენტრი ზედაზნის ციხე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ვერც ერთ ზემოთ დასახელებულ საერისთავოს ვერ გავაიგივებთ „ზედაზნის საერისთავოსთან“. ჩვენი აზრით, ზედაზნის ციხესა და მუხრანს ვერ მივიჩნევთ საერისთავო „ქუეყნად“. აქედან გამომდინარე, ძაგანის ერისთავად მიჩნევა გვიჭირს. ძაგანი არ იყო ერისთავი და მისთვის ზედაზნის ციხის ჩამორთმევის ფაქტი არ გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, რომ დავით აღმაშენებელი საერისთავოებს აუქმებდა და ერისთავობის ინსტიტუტს ებრძოდა.

„დავით აღმაშენებლის ბრძოლა ერისთავობასთან, როგორც ინსტიტუტთან, არც ერთი წყაროთი არაა დადასტურებული“.<sup>23</sup>

თავის დროზე ექვ. თაყაიშვილმა მის მიერ სამშვილდის ერთ-ერთ ეკლესიაზე აღმოჩენილი ორი წარწერა გამოსცა. მეცნიერის აზრით, ერთში ერისთავთ-ერისთავი ვაჩე და მისი მეუღლე დარეჯანი, მეორეში კი ერისთავთ-

<sup>20</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ მეფე დავითისა, გვ. 326.

<sup>21</sup> ი. ანთელავა. XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბ. 1980, გვ. 109.

<sup>22</sup> ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 561.

<sup>23</sup> ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეებში, გვ. 180.

ერისთავი და ოპერტიმოსი ავაგ ხურციძე<sup>24</sup> მოიხსენიებიან. ექვ. თაყაიშვილს ორივე წარწერა დავით აღმაშენებლის თანადროულად მიაჩნდა. ჩვენთვის საინტერესო წარწერა ხელახლა წაიკითხეს ვ. სილოგავამ და გ. გაფრინდაშვილმა. პალეოგრაფიული ნიშნებით მათაც წარწერა XII საუკუნის პირველი მეოთხედით დაათარიღეს. მართალია, ერისთავთ-ერისთავის სახელი ვერ ამოიკითხეს, თუმცა თვით ტერმინ ერისთავთ-ერისთავის ამოკითხვა დაადასტურეს. იქ, სადაც ექვ. თაყაიშვილი კითხულობდა „ვაჩემან“, მათ ამოიკითხეს – „ჩემსა“.<sup>25</sup> როგორც ვხედავთ, ვაჩეს წაკითხვა სადავოა. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ამ წარწერაში ტერმინი ერისთავთ-ერისთავია დაფიქსირებული. ამდენად, მოსაზრება, რომ დავით IV აღმაშენებლის დროს ტერმინი „ერისთავი“ საერთოდ არ გამოიყენებოდა, სადავოა.

დაეუშვათ, დავით აღმაშენებელი მართლაც იბრძოდა ერისთავობის ინსტიტუტის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში გაუქმებული **ადმინისტრაციული ერთეულების** – საერისთავოების ნაცვლად ახალი ადმინისტრაციული ერთეულები უნდა შეექმნა. სახელმწიფო ვერ იარსებებს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების გარეშე. შეუძლებელია, დავით აღმაშენებელს საერისთავოების გაუქმების შემდეგ „შექმნილი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ვაკუუმი არ შეევსო“.<sup>26</sup> მ. ლორთქიფანიძის აზრით, საეისთავოების ნაცვლად შექმნილ ერთეულად საკარგავი უნდა მივიჩნიოთ. მეცნიერის აზრით, „საკარგავი კი გვესმის როგორც სამსახურის სანაცვლოდ მიღებული პირობითი მფლობელობა“.<sup>27</sup> საკარგავის ასეთი გაგება თავისთავად გამორიცხავს იმის საშუალებას, რომ ის საერისთავოს ნაცვლად შექმნილ ინსტიტუტად მივიჩნიოთ. მოსაკარგავე არის პირობითი მფლობელი, ე. ი. პატრონი გარკვეული ტერიტორიისა. მართალია, პირობითი და დროებითი, მაგრამ მაინც მფლობელი, ანუ პატრონი. ამ შემთხვევაში მფლობელი თავის თავში სოციალურ შინაარს გულისხმობს. მოსაკარგავე საკარგავის მიმართ განიხილება როგორც მფლობელი, პატრონი ანუ სენიორი. ის მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს საკარგავის ტერიტორიაზე, ხდება მისი ვასალი; შესაძლოა დროებით, სანამ მოსაკარგავე ფლობს ამ ტერიტორიას, მაგრამ მაინც ვასალი.

განსხვავებული დამოკიდებულებაა ერისთავსა და მისი საერისთავოს მცხოვრებთა შორის. ერისთავი არის საერისთავოს **დროებითი მმართველი და არა მფლობელი**. საერისთავოს მოსახლეობა არ არის მისი ვასალი. ის მას ემორჩილება როგორც მოხელეს და არა როგორც სენიორს, პატრონს. საერისთავო და საკარგავი სულ სხვადასხვა სოციალურ ურთიერთობებზე

<sup>24</sup> Э. Такашвили. Археологические экскурсии. Разыскания и заметки. Книга II. Тиф. 1905, გვ. 44-46.

<sup>25</sup> ა. ბარამიძე. სამშვილდის წარწერის დარეჯანი. ჟურნ. „მრავალთავი“. X. თბ. 1983, გვ. 25.

<sup>26</sup> ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეებში, გვ. 180.

<sup>27</sup> მ. ლორთქიფანიძე. საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში, გვ. 214.

არიან აგებული. საკარგავი ეს არის პატრონისა და ყმის ურთიერთობა, მართალია დროებითი, პირობითი, მაგრამ მაინც პატრონყმული ურთიერთობა. საერისთავის ამგვარი რამ არ ახასიათებს. საერისთავო ადმინისტრაციული ერთეულია, საკარგავი კი არა. სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ჩავთვლით ჩვენ საკარგავს საერისთავოს ნაცვლად შექმნილ ინსტიტუტად.

მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში საკარგავის ის გაგებაა გავრცელებული, რომლის თანახმადაც, საკარგავი სამსახურის სანაცვლოდ მიღებული სამფლობელოს, ხოლო მოსაკარგავე მსახურეული აზნაურის მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებებიც.

ზ. რატიანის აზრით, „საკარგავი ნებისმიერი ობიექტია, რომელზეც ნებისმიერი გარიგება ხდება ორ სუბიექტს შორის და ეს გარიგება მხოლოდ ამ ორ სუბიექტზე ვრცელდება“.<sup>28</sup> ცხადია, საკარგავის ასეთი გაგება გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ საკარგავს შეეცვალა ადმინისტრაციული ერთეული – საერისთავო.

შ. მესხიას აზრით, „საკარგავი ნიშნავდა როგორც სამოხელეოდ, საგამგეოდ, სამართავად გადაცემულ ტერიტორიას, ქალაქს; ასევე სარგოს ფულად გასამჯელოს ...მოსაკარგავეობაც თავისთავად ორბუნება იყო – იგი, ერთი მხრივ, მოხელეობას ნიშნავდა, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთ მოხელეობას, რომელიც უმთავრესად სარგოთი ნაზღაურდებოდა“.<sup>29</sup> თუ საკარგავი სამართავად გადაცემული ტერიტორია იყო, განა ასევე სამართავად გადაცემული ტერიტორია არ იყო საერისთავო? საერისთავო ხომ ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომელიც პიროვნებას დროებით სამართავად ეძლეოდა. ერისთავი მეფის სამსახურში იდგა და თავისი საქმიანობისათვის გარკვეულ გასამჯელოსაც იღებდა. ასეთად მიგვაჩნია ჩვენ წყაროებში დამოწმებული: „კერძი საერისთავო“, „შესავალი საერისთავო“, „შესავალი საერისთავო-ერისთავო“.<sup>30</sup> ერისთავობა იყო მოხელეობა, რომლის ანაზღაურებაც გარკვეული გასამჯელოთი ხდებოდა. რომც მივიღოთ საკარგავის შ. მესხიასეული განმარტება, ასეთ შემთხვევაშიც კი საკარგავი ვერ ჩაითვლება იმად, რასაც უნდა დაეკავებინა საერისთავოების ადგილი მათი გაუქმების შემდეგ, რადგან დიდ განსხვავებას შ. მესხიასეულ საკარგავსა და საერისთავოს შორის ჩვენ ვერ ვხედავთ.

თავისი მოსაზრება საკარგავის შესახებ გამოთქმული აქვს ი. ანთელავასაც. მკვლევრის აზრით, „საკარგავი და მოსაკარგავე იგივეა, რაც საურავი და მოურავი. ტერმინი საკარგავი აღნიშნავს სამართავად, საგამგებლოდ გადაცემულ მიწა-ადგილს, ქვეყანას, ქალაქსა თუ სახელოს, დიდი იქნება ის თუ მცირე. ასევე თანამდებობის აღსრულებისათვის განსაზღვრულ გასამჯელოს – „სარგოს“, საერთოდ ფულად საზღაურს“.<sup>31</sup> როგორც ვხედავთ, მკვლევარი

<sup>28</sup> ზ. რატიანი. საკარგავი. ფოლადური მიწათმფლობელობის ფორმა. ჟურნ.: „მაცნე“. №3. თბ. 1978, გვ. 179.

<sup>29</sup> შ. მესხია. საკარგავი. საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ. 1982, გვ. 365.

<sup>30</sup> მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, გვ. 311.

<sup>31</sup> ი. ანთელავა. XI-XV სს. საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, გვ. 145.

გარკვეულწილად იმეორებს შ. მესხიას მოსაზრებას. აღსანიშნავია, რომ თავად ი. ანთელავა არ იზიარებდა მოსაზრებას – დავით აღმაშენებლის მიერ საერისთავოების გაუქმებისა და მათ ნაცვლად საკარგავის ინსტიტუტის შემოღების შესახებ.<sup>32</sup>

ჩვენი აზრით, საკარგავი არ იყო ის, რასაც შეეძლო საერისთავოების, როგორც ადმინისტრაციული ერთეულების, შეცვლა. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ი. ანთელავას მოსაზრებას – „განა გასაკვირი არაა, რომ თითქოს დავით IV აღმაშენებლის დასაყრდენ ძალას ერისთავების წინააღმდეგ, „მოსაკარგავებს“, მისივე ისტორიკოსი, დავითის პოლიტიკის უერთგულესი პროპაგანდისტი „მოსაკარგავე მაჭირვებლებად“ იხსენიებს?! თუ მიწა-მამულის გამკვიდრების ტენდენციაზე წავა საქმე, განა „მოსაკარგავე აზნაურთათვის“ უცხო იქნებოდა ეს ტენდენცია?!“<sup>33</sup> ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ „დავითის მოსაკარგავენი უმაღლესი მემამულეობის ტენდენციას ამჟღავნებდნენ“.<sup>34</sup>

ბრძოლა ერისთავობის ინსტიტუტის წინააღმდეგ და საერისთავოების გაუქმება ნიშნავდა უზარმაზარი ადმინისტრაციული რეფორმის ჩატარებას. დავითის ისტორიკოსი, რომელიც მეფის მთელ საქმიანობას აღწერს, არაფერს ამბობს ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის საქმეში მომხდარი ცვლილებების შესახებ. ჩვენ ნაკლებად დასაშვებად მიგვაჩნია, რომ დავით აღმაშენებელს ასეთი დიდი რეფორმა გაეტარებინა და მემამულებს ამის შესახებ ერთი სიტყვაც კი არ ეთქვა.

წყაროებში არსებული ცნობების ანალიზის შემდეგ ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ „დავით აღმაშენებელი ერისთავობის ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოსათვის შეუფერებლად თვლიდა და ყოველმხრივ ავიწროებდა და ცდილობდა მის გაუქმებას“.<sup>35</sup>

ჩვენი აზრით, დავით IV აღმაშენებელი იბრძოდა არა მთლიანად ერისთავობის ინსტიტუტის, არამედ კონკრეტული ურჩი ერისთავების წინააღმდეგ. „დავითის დროს ქვეყნის მართვა-გამგეობას ადგილებზე ერისთავები ახორციელებდნენ“.<sup>36</sup>

<sup>32</sup> ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეებში, გვ. 180

<sup>33</sup> ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII საუკუნეებში, გვ. 180-181

<sup>34</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VII. თბ. 1974, გვ. 236.

<sup>35</sup> რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი. თბ. 2002, გვ. 99.

<sup>36</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VI. თბ. 1973, გვ. 45.



*Mikeil Bakhtadze*

**ISSUE ON ERISTAVI (DUKE'S) INSTITUTION  
DURING THE REIGN OF DAVID IV**

(Summary)

According to the opinion in historiography, David IV Aghmashenebeli combated the institution of the eristavis; this opinion is supported by the examples of Baghvashi family and Dzagan, patron of Zedazeni fortress. The analysis of the data provided by the sources show that Dzagan had never been eristavi and Kldekari saeristavo (dukedom) had not been abolished by the king after resignation of Baghvashis.

Let us make an assumption that David Aghmashenebeli confronted the institute of the eristavis; in such case he should had created new administrative units instead of abolished ones – the saeristavos. No state can exist without administrative division; no sources show that the king founded new administrative structures.

Struggle against institution of the eristavis and abolishment of the saeristavos could had meant conduction of the administrative reform of enormous scales; historian of David IV, describing the whole activity of the king, says nothing about the changes in the sphere of administrative organization of the country. It is impossible that the historian failed to say nothing if the king had actually taken such kind of measures.

David IV Aghmashenebeli confronted not the eristavis entirely, but he fought against some specific disobedient representatives of those; local governance during the reign of David IV Aghmashenebeli remained in the hands of the eristavis.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

## გიორგი ოთხმეზური

### დავით აღმაშენებლის ეპოქის ეპიგრაფიკული ძეგლები

დავით IV-ის ეპოქა გამორჩეულია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ასპექტი „აღმაშენებელი“ მეფის მოღვაწეობისა არ დარჩენილა მეცნიერთა ყურადღების მიღმა. „დიდი“ მეფის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებსა თუ სამეცნიერო სტატიებში, ცალკეულ პუბლიკაციებში აისახა ის ეპიგრაფიკული ძეგლებიც, რომლებიც უშუალოდ დავითის მეფობის პერიოდშია შექმნილი ან მის სახელთანაა დაკავშირებული.

დავით აღმაშენებლის ეპოქის ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ყველაზე ადრეულია (და ასევე პირველი, სადაც დავითი მეფის რანგშია გამოსახული) ატენის სიონის დას. აფსიდის ჩრდ. კალთაზე წარმოდგენილი ქტიტორთა მწკრივი, თანმხლები განმარტებითი ასომთავრული წარწერებით. მიუხედავად იმისა, რომ მოხატულობა დაზიანებულია და წარწერებიც მხოლოდ ფრაგმენტულად იკითხება, მათმა სტილისტურმა და პალეოგრაფიულმა ანალიზმა შესაძლებლობა მისცა მკვლევრებს წარმოდგენილ სიუჟეტში ამოეკითხათ დავითის მეფობის დასაწყისში შექმნილი რეალური შინაპოლიტიკური ვითარება და ზუსტად განესაზღვრათ მისი შესრულების დრო.

ქტიტორთა რიგში პირველ ადგილზე, დავით აღმაშენებლის წინ, არსენ მწიგნობართუხუცესის, ხოლო ამ რიგის ბოლოს (VI და VII) გიორგი II-ისა და მისი მეუღლის გამოსახვა 1089 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად განსაზღვრული რეგლამენტაციის გამომხატველია. დავითის ახალგაზრდულ ასაკს ხაზს უსვამს მეფის პორტრეტის უწვერულვაშო ჭაბუკის სახით გამოსახვა.

აღნიშნულ კომპოზიციაში IV ადგილზე წარმოდგენილია სუმბატ აშოტის ძე, მისი გამოსახულების თანმხლები ასომთავრული წარწერა სრულად იკითხება: „სუმბატ ძე აშოტისი | | სუმბატ შემოწირა ბოტინატი“. სუმბატი ბაგრატიონთა იმ შტოს წარმომადგენელია, რომლებიც ტრადიციულად მამფალის ტიტულს ატარებდნენ და რომელთა მფლობელობაშიც იყო ატენი X ს-მდე, ხოლო ატენის სიონი კი – საგვარეულო საძვალე. ატენის სიონშია დაკრძალული სუმბატ აშოტის ძის მოსახელე და მოგვარე, აშოტ კეკელას ძე სუმბატი (+885).

X ს-ის II ნახევრიდან ატენის ხეობა ბაღვაშთა<sup>1</sup> გამგებლობაშია. მათი მფლობელობის დამადასტურებელი იურიდიული ძეგლია ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესიის საამაშენებლო წარწერა რატი ერისთავისა, ლიპარიტ ერისთავის ძისა, „რომელმაც აღაშენა ესე სახლი ღმრთისად და ბჭეი ცათად, წმინდაი ეკლესიად, სალოცველად სულისა მათისა“.<sup>2</sup> დავით აღმაშენებლის მეფობამდე გაგრძელდა ბაღვაშთა ერისთავობა. დავითის მიერ ლიპარიტ ბაღვაშის შეპყრობის (1094 წ.) შემდეგ შეიძლებოდა მხოლოდ სუმბატ აშოტის ძისთვის სამემკვიდრეო დომენის დაბრუნება და ქტიტორთა მწკრივში მისი გამოსახვა. როგორც დადგენილია, ატენის სიონის აღნიშნული მოხატულობა სტილისტური თვალსაზრისით წინ უსწრებს იფრარის (1096 წ.) მოხატულობას. ამის მიხედვით, ატენის სიონის „მოხატულობის საერთო პროგრამაში ჩართული“ ეს ქტიტორთა გამოსახულებები თარიღდება 1094-1096 წწ-ით.<sup>3</sup>

ბაღვაშთა საგვარეულო მონასტრის კაცხის (ისტორიული არგვეთი, ჭიათურის რ-ნი) სამხრეთის მინაშენის, ეკედერის წარწერაში გიორგი II-ისა და დავით აღმაშენებლის თანამედროვე, კლდეკარის ერისთავთა ფეოდალური სახლის მანდილოსანი წარმომადგენელია მოხსენიებული: „ჩუფალო შეეწიე მონასა ღმრთისასა, დღესა განკითხვისასა, ივანე ერისთავთა-ერისთავისა ასულსა ცხორებას, ამენ“.<sup>4</sup>

ცხორება || ცხოვრება გაერცვლებული სახელი იყო საქართველოში. ეს სახელი ერქვა აღნიშნულ წარწერაში დასახელებულ ცხორებას დიდ ბებიას, ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე ლიპარიტ ლიპარიტის-ძის დედას, მოხსენიებულს შვილის დაკვეთით, კალიგრაფ გაბრიელ კოტას მიერ გადაწერილ შესანიშნავ ხელნაწერთა ანდერძ-მოსახსენებლებში.<sup>5</sup>

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით (კიდურწაისრული დამწერლობა) XI ს-ს განეკუთვნება, ხოლო ისტორიული რეალიების გათვალისწინებით მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები შესაძლებელია საუკუნის ბოლო მეოთხედით

<sup>1</sup> ბაღვა – გლეჯა. დაწვთ ხოკა; ბაღვაში – სახლი სულმწარისა. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. ი. აბულაძის გამოც. თბ. 1991, გვ. 97. ეპითეტი „ბაღვაში“, გვარის ფორმით, კლდეკარის ერისთავებს, როგორც ჩანს, დაუმკვიდრდათ დავითის ისტორიკოსის სიტყვების შედეგად: „ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვივაშთა, სახლი განმამწარებელთა“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 326.

<sup>2</sup> ქართული წარწერების კორპუსები. I. ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980. №109, გვ. 201-203.

<sup>3</sup> ქართული წარწერების კორპუსი. III. ფრესკული წარწერები. I. ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს. გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ. თბ. 1989, გვ. 26-31. წარმოდგენილი მასალა ემყარება აღნიშნულ გამოცემას.

<sup>4</sup> ქართული წარწერების კორპუსი. II. ლაპიდარული წარწერები. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკ. I. (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ. 1980. №77, გვ. 89.

<sup>5</sup> ვ. სილოგავა. ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები და მათი ანდერძ-მოსახსენებლები. კრებ.: „Dedicatio“. თბ. 2001, გვ. 251. 282 შენ. 58.

შემოიფარგლოს. 1074 წ., ფარცხისის ბრძოლის წინ თურქ-სელჩუკთა სულ-თანმა მალიქ-შაჰმა შეიპყრა „ივანე თავითა, ცოლითა და შვილისშვილითა, და ყოვლითა აზნაურთა დედაწულითა“.<sup>6</sup> ამ ფაქტს დავითის ისტორიკოსიც ადასტურებს.<sup>7</sup> ამის შემდეგ ივანე საერთოდ აღარ იხსენიება წყაროებში. ცხორებას კლდეკარიდან (ბაღვაშთა ძირითადი სამყოფელი) ძველ საგვარეულო მამულში, არგვეთში გადასვლა, ერისთავთ-ერისთავ ივანეს პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობის (თუ გარდაცვალების) შემდეგაა სავარაუდებელი. წარწერის შესრულების ზედა ზღვრად პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ 1103 წ., როდესაც „დასრულდა სახლი ბაღვივაშთა“.<sup>8</sup>

დავით აღმაშენებლის მოწინააღმდეგე კიდევ ერთი დიდი ფეოდალური სახლის, აბულეთისძეთა საგვარეულოს წარმომადგენლის, მოდისტოს ეპისკოპოსის სახელია დაფიქსირებული ეპიგრაფიკულ ძეგლში. რკონის ღვთისმშობლის ეკლესიის დას. ფასადზე, დას. სარკმლის თავზე ამოკვეთილია 4-სტრიქონიანი წარწერა:<sup>9</sup>

1. წმიდაო ღმრთისმშობელო, შეიწირე მოდისტო –
2. ზისგან, ორთავე სამხრონი\* სარ-
3. კმელთა ზედათი\*\* მისგან შეი-
4. კაზმა\*\*\*. ამინ

\* სამხრო – ერთი რომელიმე მხარი შენობისა, ეკლესიის მინაშენი.

\*\* ზედათი – ერთი ნაპირი; სარკმლის ზედათი – სარკმლის ზედა ნაწილი, სარკმლის სათაური.

\*\*\* შეკაზმვა – მორთულობა.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა შესრულებულია XI-XII საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ნუსხურიდან მხედრულზე გარდამავალი დამწერლობით, ე.წ. მრგვლოვანი ნუსხა-ხუცურიით.<sup>10</sup> მოდისტოსის დასახელება წარწერას XI ს-ის 80-იანი - 1103 წწ-ით ათარიღებს (დავით აღმაშენებლის „ანდერძის“<sup>11</sup> მონაცემების მიხედვით დადგენილი ქრონოლოგია ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეთა შესახებ: ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლე-

<sup>6</sup> მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 315-316.

<sup>7</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 318.

<sup>8</sup> რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. თბ. 1986, გვ. 74-85.

<sup>9</sup> გ. ოთხმეხური. ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან (აბაზასძე-მარილელი-აბულეთისძე). თბ. 2006. დანართი 2. გვ 37-39.

<sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. თხზულებანი. ტ. IX. თბ. 1996, გვ. 226-127, 188-191.

<sup>11</sup> ანდერძი დავით მეფისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ. ვ. სილოგავამ. ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984. №8, გვ. 52-59.

ბასთან გიორგი II-ისა და დავითის თანამოსაყდრეობის პერიოდში (1085-1089 წწ.) – ამ ფეოდალური სახლის დამხობა (1103 წ.) დავით მეფის მიერ).<sup>12</sup>

საინტერესოა, რამ განაპირობა წილკნელი ეპისკოპოსის მოდისტოსის ზრუნვა რკონის მონასტრისადმი. იყო ეს უბრალოდ ყურადღების გამოჩენა სხვა ეპარქიის ტაძრისადმი (შეიძლება სტუმრობის დროს გამოჩენილი), თუ მიზანმიმართული მოქმედება იმ რეგიონში თავისი გავლენის გასავრცელებლად. ძაგანის და მოდისტოსის მოღვაწეობა გვაფიქრებინებს, რომ მეორე ვარაუდი უნდა იყოს მართებული. „მოდისტოს-წინა-უკმო მღვდელთ-მოძღუარისა“ მიერ სხვადასხვა ეკლესიები იყო მიტაცებული. ამავე დროს მისმა ძმამ, ძაგანმა – „მძალურებით ღმრთისაცა არამრიდმან“ მცხეთის, წილკნისა და შიომღვიმის მამულები „დაიმჭირვა“.<sup>13</sup> „ფავნელის დაწერილისა“<sup>14</sup> და გიორგი II-ის 1073 წლის სიგელის მიხედვით,<sup>15</sup> შიომღვიმის მონასტერს მამულები ჰქონდა შიდა ქართლში და მათ შორის მდ. თეძმის ხეობაში (გავაზი, ცხავერი, ცხირეთი...). რკონის მონასტერი კი სწორედ თეძმის ხეობაში მდებარეობს. როგორც ჩანს, მოდისტოსის „ზრუნვა“ რკონის ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად.

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა დიდი სიფრთხილითა და წინდახედულებით გამოირჩეოდა. მხოლოდ მას მერე შეუწყვიტა თურქ-სელჩუკთა სულთანს ხარაჯა (1099 წ.),<sup>16</sup> რაც „გამოვიდეს ფრანგნი (ჯვაროსნები), აღიდეს იერუსალემი და ანტიოქია“ და, ამავე დროს, „შეწვენითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი“.<sup>17</sup> ამ გამომწვევის უპასუხოდ დატოვების, კახეთ-ჰერეთის შემოერთებისა და ერწუხის ბრძოლაში (1104 წ.) გამარჯვების მიუხედავად, დავითს ერთი წუთით არ მოუდუნებია ყურადღება. სელჩუკთა წინააღმდეგ შარვანსა და ბიზანტიას დაუკავშირდა. სამოკავშირეო ხელშეკრულებები პოლიტიკური ქორწინებებით იქნა განმტკიცებული. „მასვე წელსა“<sup>18</sup> ასული თვისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად, რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თვისი თამარი გაგზავნა დედოფლად შარვანისა,<sup>19</sup> რათა ვითარცა ორნი მნათობნი – ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს – ცისკროვან ჰყოფ-

<sup>12</sup> რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, გვ. 88-1003; ა. გოგოლაძე დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. თბ. 2001, გვ. 139-159.

<sup>13</sup> ანდერძი დავით მეფისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, გვ. 54. 57.

<sup>14</sup> დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I, №1, გვ. 16-19

<sup>15</sup> 1073 წ. სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. საბ. №6.

<sup>16</sup> რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, გვ. 80-84.

<sup>17</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 325-326.

<sup>18</sup> 1116 წ. ივულისხმება სელჩუკთა ტაოდან განდევნა – „ქრონიკონი იყო სამას ოცდათექუსმეტი“. იქვე, გვ. 333.

<sup>19</sup> 1105-1106 წწ. ნ. ასათიანი. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. კრ.: XII ს-ის საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1969, გვ. 26-29.

დნენ სვეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი“.<sup>20</sup>

იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს 1659 წ. მოქვის ტაძრის ინტერიერში ამოუკითხავს ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერა: „მოიხატა იმპერატორ ალექსი კომნენის და დავით აფხაზთა მეფის დროს“. აკად. თ. ყაუხჩიშვილი წარწერას ალექსი კომნენის (1081-1118 წწ.) და დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მეფობის თანმხვედრი წლებით ათარიღებს – 1089-1118 წწ.; თუმცა კატეგორიულად აღნიშნავს, რომ ალექსი კომნენი არ შეიძლებოდა ყოფილიყო წარწერაში დასახელებული, რადგან საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჩვენს ტერიტორიაზე დაცულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში არსად გვხვდება ბერძენთა (ბიზანტიელი) მეფეების მოხსენიება, რომ დოსითეოსმა, როგორც ბერძენმა, თვითონ დაუმატა იმპერატორის სახელი ამოკითხულ წარწერას.<sup>21</sup>

ვფიქრობ, უსაფუძვლოა, ეჭვის შეტანა დოსითეოსის ცნობის სიმართლეში. დავით აღმაშენებლისა და ალექსი კომნენოსის დამძახლება (კატას გათხოვება ალექსის ვაჟზე), სწორედაც რომ საპირისპიროს მიუთითებს. აღნიშნული წარწერა, ჩემი აზრით, ამ ქორწინების, 1116 წლის ახლო დროით უნდა დათარიღდეს.

ქვეყნის ცენტრალიზაციისა და გარეშე მტრებთან ბრძოლის პარალელურად, დავით აღმაშენებელი ფართო აღმშენებლობით და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი ბრძანებით აღმართული ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლები, გელათისა და შიომღვიმის მონასტრები განათლებისა და მწიგნობრობის მძლავრი ცენტრებიც

<sup>20</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 34: თამარი შემდეგ დაქვრივდა და სამშობლოში დაბრუნდა. 1152 წ. მან თიღვაში (ყორნისის რ-ნი) ააგო მიძინების ეკლესია, სადაც მონაზვნად აღიკვეცა. ეკლესიის პატრონიკეს შესასვლელი კარის ზევითა, საგანგებოდ გაფორმებული ტიშპანის არეზე ამოღარულია 12-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ტექსტი გაშიფრა აკად. ა. შანიძემ. რომელმაც წარწერაში აღმოაჩინა ალექსის – იამბიკოს წყობა: „ქმნილებაჲმან რაჲ აქაჲ სოფლისაჲმან სხვსაჲ მიიღოს დაწყება ყოფადისაჲ მოქმედებითა შენს ზედა ჯვარცუმულისა ქრისტეს ღმრთისაჲთა. რომლის მიმართ ჟამსა მას შემწვე მექმენ მსახურსა შენსა თამარს“. ლ. რჩეულიშვილი. თიღვა. შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა. თბ. 1960.

<sup>21</sup> აღნიშნული წარწერა, ისევე როგორც მოქვის ეპიგრაფიკა, მთლიანად განადგურებულია. შემორჩენილია მხოლოდ ერთი ლაპიდარული წარწერის ფოტონეგატივი – გრიგოლ მოქველი მთავარეპისკოპოსის მოსახსენებელი, XII ს. თედო ჟორდანი 1902 წ. გახეთ „ივერიაში“ (№92) წერდა: „აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის დროს განახლებულ. ან უკეთ რომ ვთქვათ, გაფუჭებულ მოქვის ტაძარში, უჩინონი გახდნენ ქართული წარწერანი. ქართულის მოძულეთა და უმეცართა ბუკით და ნაღართ გამოაცხადეს, ვითომ მოქვის ტაძარი ქართული ხელოვნება არ იყოს. ვითომ აფხაზეთში ქართული კულტურის გავლენა არ ყოფილიყოს. ამისთანა გვამნი ქართულ წარწერას თუ სადმე მოიხელთებდნენ, ჰშლიდნენ, რყვნიდნენ და კედლებზე ჯღაბნიდნენ ბერძნულ წარწერათა“. აღნიშნულ საკითხზე იხ. ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. I. თბ. 2005, გვ. 110-113. სამწუხაროდ, ისტორია მეორდება. თ. ჟორდანიას მიერ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დახატული შემზარავი სურათი აბსოლუტური სიზუსტით მიესადაგება აფხაზეთში ამჟამად არსებულ ვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი პირებიც „ივივენი“ არიან.

იყო დაარსების დღიდან. ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში ხაზგასმულია დავითის ზრუნვა ეკლესია-მონასტრებისადმი. ამის დამადასტურებელი ფაქტები ეპიგრაფიკულმა ძეგლებმაც შემოგვინახა.

კახეთ-ჰერეთის ერთიანი ქართული სამეფოს იურისდიქციაში შემოყვანის უმაღლეს სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა კახეთის უპირველეს სალოცავში, ალავერდის საკათედრო ტაძარში. ტაძრის საკურთხეველში მოთავსებული, საღებავით შესრულებული, ერთ დროს ვრცელი ასომთავრული წარწერის აღბეჭდვა სპეციალური ფოტოგრაფირებით – ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივების გამოყენებით გახდა შესაძლებელი (ფოტოგრაფი ი. გილგენდორფი). წარწერის გადარჩენილი ტექსტის მონაცემებიდანაც აშკარად ჩანს, თუ რა დიდი მასშტაბის აღმშენებლობა განხორციელდა: ტაძრის „შემკობა“ და სარკმელთა „გამოჭოლვა“, „გუმბადის“ აშენება, საკურთხეველის წინამდებარე ჯვრის აღმართვა, მაგალობელთათვის ქორედის აშენება, სახლების მშენებლობა...

წარწერაში „მეფეთა-მეფე დავითის“ და „მამისა მათისა გიორგის“ მოხსენიება განსაზღვრავს მისი შესრულების დროს: 1104-1112 წწ. (ერწუხის ბრძოლა – გიორგი II-ის გარდაცვალება).<sup>22</sup>

გიორგი II-სა და დავით IV-ის მიერ იშხნის ტაძრისათვის სოფ. ლოზნის შეწირულების ფაქტია დაფიქსირებული ამ ეკლესიის 1155 წლის ფრესკულ წარწერაში.<sup>23</sup>

სახვითი ხელოვნების განვითარების მაღალ დონეს მიუთითებს „მეფის მხატვრის“ თანამდებობის არსებობა საქართველოს სამეფო კარზე. შეიძლება გარკვეული ტრადიცია თუ მემკვიდრეობითობა დავინახოთ IV ს-ის „მხატვართ-უხუცესსა“ (სამთავროს ბერძნული წარწერა) და დავითის თანამედროვე „მეფის მხატვრის“ თანამდებობებს შორის. მეფის მხატვარი „თევდორე სვანეთში იყო მიწვეული ეკლესიების მოსახატად და შესამკობად“.

„წსახელითა ღმრთისაფთა მოიხატა და შეიმკო წმინდად ესე ეკლესიაჲ... სადიდებლად და სალოცველად ამის ჳევისა აზნაურთა... ჳელითა თევდორე მეფის მხატვრისაფთა...“

(სამივე წარწერის ტექსტობრივი კონსტრუქცია, ფაქტობრივად, იდენტურია).

აღნიშნულია იფრარის მთავარანგელოზთა (1096 წ.), კალას წმ. კვირიკესა და ივლიტას (1111 წ.) და ნაკიფარის წმ. გიორგის (1130 წ.) ეკლესიათა ფრესკულ ქტიტორულ წარწერებში.

ამასთანავე, თევდორეს მხატვრობის კომპოზიციებს – ბიბლიური სიუჟეტის (იფრარი), წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას წამების (კალა) და წმ. გიორ-

<sup>22</sup> ვ. სილოგავა. XII ს-ის ქტიტორული წარწერის ფრაგმენტი ალავერდის ტაძრის საკურთხეველში დავით აღმაშენებლის მოხსენიებით. ჟურნ.: „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია. №4. თბ. 1992, გვ. 83-92.

<sup>23</sup> ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ. 1960, გვ. 25-27.

გის წამების (ნაკიფარი) – ახლავს ვრცელი განმარტებითი წარწერები.<sup>24</sup>

სვანეთში, მიქაელ მაღლაკელის მიერ 1140 წელს მოხატული მაცხვარი-შის ეკლესიის (ფრესკული წარწერა მოთავსებულია ჩრდ. კედელზე: „მოიხატა საყდარი ესე მეფობასა დემეტრესა წელსა იე. ჳელითა მიქაელ მაღლაკელისათა“) ჩრდ. კედელზე უნიკალური ფერწერული კომპოზიციისა წარმოდგენილი – დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) მეფედ კურთხევის სცენა; ერისთავები ხმალს აბამენ მეფეს, ანგელოზი კი გვირგვინს ადგამს თავზე. მეფის ნიშნის გარშემო და ერთ-ერთი ერისთავის მხრებს ზემოთ განმარტებითი ასომთავრული წარწერაა მოთავსებული: „დემეტრე მეფესა ჳრმალსა აბმენ დავითისას, ერისთავნი“.<sup>25</sup>

წარწერის მონაცემებს, შეიძლება ითქვას, გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში არსებული მეფედ კურთხევის წესის დასადგენად. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მონაცემთა გათვალისწინებით, ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ტახტის მემკვიდრის თანამოსაყდრედ კურთხევა არათუ ტრადიცია, არამედ დაკანონებული წესი იყო, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბებიდანვე დადგენილი. წყაროების მონაცემებით აშკარად იკვეთება თანამოსაყდრეობის უწყვეტი ჯაჭვი XI-XIII სს-ის მთელ სიგრძეზე (ბაგრატ III-დან მოყოლებული, ვიდრე დავით VI ნარინის და მისი ძის ჩათვლით).<sup>26</sup>

რაც შეეხება თანამოსაყდრედ ერთხელ უკვე ნაკურთხის, ერთმმართველობის დაწყებისას ხელმეორედ კურთხევის საკითხს, ვფიქრობ, გასაზიარებელია თვალსაზრისი, რომ ესეც დაკანონებული წესი იყო, რომელიც შემდგომ შეცვალა თამარ მეფემ.<sup>27</sup> მაცხარიშის მოხატულობა ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია (რა თქმა უნდა, სხვა რეაქციების გათვალისწინებით) საკითხის ამგვარი გადაწყვეტისათვის.

დავითის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ეროვნული თვითშეგნების ამადლების მნიშვნელოვანი მომენტი, რაც მის ტიტულატურაში აისახა: ქართველ მეფე-მთავართათვის ყოველთვის სასურველი და საძიებელი იყო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები. დავით აღმაშენებელიც ატარებდა ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს უფლისწულობისა თუ თანამოსაყდრეობის პერიოდში,<sup>28</sup> მაგრამ შემდეგ ყველა ისინი უარყო, როგორც თავისი მდგომარეობის

<sup>24</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები. II. ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ. თბ. 1988, გვ. 39-41, 70-74.

<sup>25</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები. II, გვ. 75-76.

<sup>26</sup> ყველა ეს წყარო, თავმოყრილი და განხილული იხ. მ. ლორთქიფანიძე. თანამოსაყდრეობის საკითხისათვის საქართველოში. კრებ.: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. IV. თბ. 2005, გვ. 147-151.

<sup>27</sup> მ. ლორთქიფანიძე. თანამოსაყდრეობის საკითხისათვის საქართველოში.

<sup>28</sup> მაგ.: გიორგი II-ის სიგელში, რომელიც დავითის დაბადების წელსაა (1073 წ.) გაცემული, ის უკვე კურაპალატის ტიტულით მოიხსენიება. იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. №6, გვ. 46.



რეობისათვის დამამცირებელი.<sup>29</sup> დავით აღმაშენებლის სააღმშენებლო ჯვარზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა: „პატიოსანო ჯვარო! ადიდე უძლეველი აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთ მეფე დავით“.<sup>30</sup> დავითის დროს ჩაყარა საფუძველი საქართველოს მეფეთა საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ტიტულატურას: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“. მართალია, დავით აღმაშენებელი „შარვანშა და შაჰანშა“-დ წყაროებში არ მოიხსენიება, მაგრამ ეს ტიტულებიც მის დროს უნდა იყოს დამკვიდრებული.

ანისის სამეფოცა და შარვანიც, როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის მიერ იქნა შემოერთებული, მაგრამ ეს მისი მეფობის დასასრულს, 1124 წელს მოხდა, რის გამოც წყაროებში ასახვა ვერ ჰპოვა.<sup>31</sup>

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის მწვერვალი, გაერთიანებული, გაძლიერებული და განათლებული საქართველოს სიმბოლო, „ვითარცა მეორე ცაჲ გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა... რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად... **ხოლო სახელი მისი გელათი**“.<sup>32</sup>

გელათის აკადემიას მოძღვართ-მოძღვარი ხელმძღვანელობდა, რომელიც თავისი უფლებებით მონასტრის წინამძღვარზე მაღლა იდგა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, გელათის მოძღვართ-მოძღვარს „ორთავე კათალიკოსთა“ (სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი) და მწიგნობართუხუცეს-ტყონდიდელის სწორი პატივი აქვს მინიჭებული.<sup>33</sup>

იერუსალიმში დაცული ერთი ხელნაწერის ანდერძში მოხსენიებულია დავითის თანამედროვე, გელათის მოძღვართ-მოძღვარი ანტონი გოდობრელი: „ქრისტე ღმერთო, მფლობელო ყოველთაო, შეუნდგენენ ყოველნი ცოდვანი დიდისა მონასტრისა ბერსა მოძღუართ-მოძღუარსა ანტონი გოდობრელს. ესე წიგნი საწოლის მწიგნობრობასა მისსა შინა დაეწერინა“.<sup>34</sup>

ანტონი გოდობრელი ყოფილა ჯერ საწოლის მწიგნობარი, ხოლო შემდეგ „დიდისა მონასტრისა“ მოძღვართ-მოძღვარი, რაც ცხადია, გელათის

<sup>29</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II. თბ. 1948, გვ. 303.

<sup>30</sup> დ. კაპანაძე. ქართული ნუმისმატიკის სიახლეები. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ. 1966, გვ. 64.

<sup>31</sup> ამ საკითხზე იხ. მ. ლორთქიფანიძე. საქართველო XI საუკუნის ბოლოსა და XII ს-ის I მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 254-257.

<sup>32</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 329-331.

<sup>33</sup> ხელმწიფის კარის გარიგება. მუხლი 23. ე. თაყაიშვილის გამოცემა. თბ. 1920, გვ. 13.

<sup>34</sup> ნ. მარი. იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა. თბ. 1955, გვ. 49.

მოძღვართმოძღვრობას ნიშნავს.<sup>35</sup>

საწოლის მწიგნობარყოფილი და გელათის მოძღვართ-მოძღვარი ანტონი გოდობრელი იყო დასავლეთ საქართველოს დიდი საერისთავო სახლის შვილი. მისი წინაპრები ქორეთის (1000 წ.) და სავანის (1046 წ.) ლაპიდარულ წარწერებში არიან მოხსენიებული. მათგან საქართველოს ისტორიაში ცნობილია 1021 წელს შირიმნის ბრძოლაში დაღუპული ხურსი ერისთავი. ანტონი გოდობრელის დიდი ბებია მარიაში „დეოფალი“, ხოლო პაპა გიორგი – ერისთავთ ერისთავია. თვითონ ანტონი გოდობრელი და მისი ძმები დარკვეთის ეკლესიის საამშენებლო წარწერაში არიან დასახელებულნი: „წმიდაო გიორგი მთავარმოწამეო, შეიწყალენ მონანი შენნი, შვილნი გოლიათისნი: ანტონი გოდობრელი, ლიპარიტ და კვირიკე, რომელთა აგიშენეს წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ; შემწე იყავ“.

როგორც წარწერიდან ჩანს, გოლიათი გარდაცვლილია (გოლიათის გარდაცვალებას დარკვეთის ეკლესიაზე ამოკაწრული ორი ნუსხური გრაფიტიც ადასტურებს: „ქრისტე შეიწყალე გოლიათი; ქრისტე შეუნდე გოლიათსა“) და საგვარეულოს უფროსი ანტონი გოდობრელია. ძმებს შორის პირველ ადგილზე მისი დასახელება სწორედ ამის დამადასტურებელია. წარწერა საინტერესოა პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც. დარკვეთის წარწერები (აღნიშნული საამშენებლო და კიდევ ოთხი ლაპიდარული) ერთ-ერთი იშვიათი ნიმუშია (თუ ერთადერთი არა) XI ს-ის დასასრულის ან XI-XII სს-ის მიჯნის (სწორედ ამ დროს არის სავარაუდებელი 1046 წელს სავანის წარწერაში დასახელებული მოქმედი ერისთავის შვილიშვილების, ანტონი გოდობრელისა და მისი ძმების მოღვაწეობის ხანა) რელიეფური დამწერლობით

<sup>35</sup> ი. ანთელავა. დავით IV აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობისათვის. იხ. მისივე, საქართველოს საისტორიო წყაროთმცოდნეობითი ძიებანი. თბ. 2002, გვ. 249-256; ავტორის აზრით, საწოლის მწიგნობარყოფილი და მოძღვართმოძღვარი ანტონი გოდობრელი იყო ავტორი დავით აღმაშენებლის „ცხოვრებისა“, შემდგენი 1123/1124 წწ. ანდერძისა და შესაძლოა, რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერისა“. ბ-ნ ი. ანთელავას მოსაზრების ძირითადი არგუმენტია ანტონ გოდობრელის საწოლის მწიგნობრობა, ანუ ის თანამდებობა, რომლის მფლობელიც მუდამ თან ახლდა მეფეს, ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფოს მმართველობით სტრუქტურაზე, ჩახედული იყო მიმდინარე პოლიტიკურ და სამხედრო ადმინისტრაციულ საქმიანობაში. როგორც ცნობილია, ამ საკითხებზე ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს (იხ. ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ. 1978, გვ. 29-72; ა. გოგოლაძე. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, გვ. 120-138), რომელთა განხილვის ადგილი, ცხადია, აქ არ არის. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ი. ანთელავას არგუმენტაციას, ჩემი აზრით, სერიოზული სუსტი მხარე აქვს. კერძოდ, თუ ანტონ გოდობრელი გელათის პირველი მოძღვართმოძღვარი იყო, მაშინ საწოლის მწიგნობრის ჰელი მას მხოლოდ 1106 წლამდე შეიძლებოდა სჭეროდა. ამ შემთხვევაში კი, 1106 წლიდან ის უკვე ვეღარ იქნებოდა დეტალურად გარკვეული „მიმდინარე პოლიტიკურ და სამხედრო ადმინისტრაციულ საქმიანობაში“ და მეფის პირად ცხოვრებაში. ბ-ნ ი. ანთელავას თვალსაზრისის გაზიარების შემთხვევაში ისიც უნდა დავეუშვათ, რომ ანტონი გოდობრელი მეფესთან გამორჩეულად დაახლოებული პირი იყო და, რაც მთავარია, მისი მოძღვართ-მოძღვრობა დავითის გარდაცვალებამდე გაგრძელდა, რისი დამადასტურებელი ფაქტებიც ნამდვილად არ მოიპოვება.

შესრულებული ეპიგრაფიკული ძეგლისა.<sup>36</sup>

გელათის მთავარი, ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ჩრდ. კედელზე აღმოსავლეთიდან დასავლეთით წარმოდგენილია ქტიტორთა ჯგუფური პორტრეტი. რიგის დასაწყისში გამოხატულია დავით აღმაშენებელი, შემდეგ XVI ს-ის მოღვაწეები: აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე, იმერეთის მეფე, გელათის „მეორედ აღმაშენებელი“ ბაგრატ III (1510-1565 წწ.) და მისი ოჯახის წევრები: დედოფალი ელენე, მათი ვაჟი გიორგი II მკუდლით, დედოფალ რუსუდანითურთ და მეფისწული ბაგრატ.

დავით აღმაშენებელი, ისე როგორც სხვა პირები, მთელი ტანით არის წარმოდგენილი. მეფეს მარჯვენა ხელში გრაგნილი უჭირავს, ხოლო მარცხენაში – ღვთისმშობლის ტაძრის მოდელი. დავითის გამოსახულებას ახლავს ასომთავრული წარწერა: დავით დიდი, მეფეთა შორის წარჩინებული, აღმაშენებელი, საუკუნოდმცა არს ხსენებაჲ მისი. ამინ“. პორტრეტი შესრულებულია XVI ს-ში, მაგრამ, როგორც ჩანს, დავით მეფის თავდაპირველი პორტრეტის ნაცვლად. ამას ადასტურებს დავითის პორტრეტის განსხვავებული ზომა და პოზა გვიანდელ ქტიტორებთან შედარებით. როგორც ცნობილია, 1510 წლის 23 ნოემბერს ოსმალებმა გადაწვეს გელათის ტაძარი. როგორც ჩანს, ტაძრის განახლებისას, გამოყენებულ იქნა ძველი ფრესკის შემორჩენილი ნაწილები. რიგის დასაწყისში მეფე დავითის ასახვით XVI ს-ის იმერეთის მეფეებმა გამოხატეს პატივისცემა მონასტრის დამაარსებლისადმი და, ამავე დროს, ხაზი გაუსვეს თავიანთ მემკვიდრეობითობას.<sup>37</sup>

დავით აღმაშენებლის პორტრეტის განმარტებითი წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ასევე XVI ს-ით თარიღდება: **ბ, შ** – ზედა რკალი გაკუთხოვნებული; **ი, მ** – განივი ხაზი ზევით აწეული, ერთ შემთხვევაში **მ**-ს ზედა განივი ხაზი მარყუჟივით მორკალული, **ნ** – ზედა განივი ხაზი მორკალული და სხვ.

პალეოგრაფიულ ნიშნებთან ერთად, წარწერის გვიანდლობას მიუთითებს დავითის წოდება „აღმაშენებელი“, რომელიც მხოლოდ XV ს-დან გვხვდება.<sup>38</sup> მაგრამ, ჩემი აზრით, წარწერაში როგორც პალეოგრაფიული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით ფიქსირდება ისეთი მომენტები, რომლებიც დავითის პორტრეტის მსგავსად, თავდაპირველი განმარტებითი წარწერის არსებობასა და განმარტებლის მიერ მის გამოყენებაზე მიგვითითებს. სიტყვაში **დთ** – დავით, **დ** მოცემულია ბოლოებდაქანებული ზედა განივი ხაზით, მსხლისებრი მოყვანილობის მუცელი, ხოლო მუცლისა და ზედა განივი ხა-

<sup>36</sup> ქორეთის, სავანის და დარკვეთის წარწერებთან დაკავშირებით იხ. ქართული წარწერების კორპუსი. II. №11. გვ. 39-41. გვ. 60-68.

<sup>37</sup> გელათის მონასტრის ისტორია და ფრესკის აღწერილობა იხ. ბ. ლომინაძე. გელათი. თბ. 1955; გელათი – არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები. შესავალი წერილი – რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე. თბ. 1982, გვ. 14-15.

<sup>38</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს-ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა და გ. ჯანდიერმა. ტ. I. თბ. 1991, გვ. 265.

ზის დამაკავშირებელი ყელი – გახსნილი, შეწყვილებული ხაზებით. ასეთი მოყვანილობის დ გვხვდება XII ს-ში (მაგ.: ბეთანიის წარწერებში).<sup>39</sup> ფრესკის წარწერაში დ სხვანაირი მოყვანილობისაა: დაქანებული, კიდურწერტილოვანი ზედა განივი ხაზით, მრგვალი მუცლით და მუცლისა და ზედა განივი ხაზის დამაკავშირებელი ერთი ხაზით. ასეთი დ-ც გვხვდება XII ს-ის ეპიგრაფიკულ ძეგლებში (მაგ., მოქვის წარწერა).<sup>40</sup> ასევე სხვადასხვანაირი მოხაზულობისაა გრაფემა ა. ამავე დროს, დავითის მიმართ გამოყენებულია ტერმინი „დიდი“. ეს წოდება დავითს, როგორც ჩანს, გარდაცვალებისთანავე, უშუალო მემკვიდრეების დროს მიენიჭა. ამას ადასტურებს უბისის სვეტის 1141 წ. საამშენებლო წარწერა სვიმეონ ჭყონდიდლისა: „ჩ მე საწყალობელსა სულითა სკმეონ ჭყონდიდელსა მომემადლა ღმრთისაგან აღშენებად მონასტერი ესე და სუჭტიცა ესე, მეფობასა ღმრთისა მიერ გვრგვონოსნისა დიმიტრი მეფეთამეფისა, ძისა დიდისა მეფისა დავითისა. ქრონიკონი იყო ტა, ზედა წელი სარკინოხთაღ-ფლე“.<sup>41</sup>

და ბოლოს, დავით აღმაშენებლის ეპიტაფია გელათში.

დავით მეფე, დიდი, აღმაშენებელი, მისი სურვილისამებრ გელათის შესასვლელში იქნა დაკრძალული:

„ჩ ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე;

ესე მთნავს, აქა დავემკიდრო მე“.<sup>42</sup>

მხოლოდ მის საფლავზე ფეხის დადგმის შემდეგ შეეძლო მიმსვლელს მონასტერში შესვლა.<sup>43</sup> „გალობანი სინანულისანი“ არის ღრმა სინანულის შეგრძნება, ვედრება ღვთისადმი ჩადენილ ცოდვათა მისატყვებლად, ხოლო დავითის განსასვენებელი – ცოდვათა აღიარებისა და მონანიების არნახული გამოხატულება.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, დავით აღმაშენებლის ეპოქის ეპიგრაფიკული ძეგლების (30-მდე წარწერა) მონაცემები მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დავითის პოლიტიკური, აღმშენებლობითი თუ კულტურული ღონისძიებების შესახებ. აზუსტებს ქართველ მეფეთა ტიტულატურას, თანამოსაყდრეობისა და ხელმეორედ მეფედ კურთხევის საკით-

<sup>39</sup> ვ. სილოგავა. ბეთანიის წარწერები. თბ. 1994.

<sup>40</sup> ქართული წარწერების კორპუსი. II. №170, გვ. 147-148.

<sup>41</sup> ქართული წარწერების კორპუსი. II. №163, გვ. 140-141.

<sup>42</sup> ქართული წარწერების კორპუსი. II. №162, გვ. 139-140. წარწერის ტექსტი ბიბლიური დავით მეფის ფსალმუნის (131. 14) თავისუფალ გადმოცემას წარმოადგენს. მსგავსი შემთხვევები გვხვდება ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მაგ.: ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675) მეუღლის, როდამ დედოფლის (+1679) ეპიტაფია სვეტიცხოველში ასევე დავითის ფსალმუნის ამ ადგილის თავისუფალ გადმოცემას წარმოადგენს: „...ესე არს განსასვენებელი ჩემი, ამას დავემკიდრო, რამეთუ მთნავს ესე“. იხ. გ. თხმეზური. სვეტიცხოველის ეპიგრაფიკა. სვეტიცხოველი – საიუბილეო გამოცემა. თბ. 2010, გვ. 143.

<sup>43</sup> წარწერის ამომკვეთელმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინა ეს მომენტი. გრაფემები იმდენად ღრმა კვეთით არის შესრულებული, რომ ცხრასაუკუნოვანი ცვეთის შემდეგაც კი, წარწერის ტექსტმა, ფაქტობრივად დაუზიანებლად მოაღწია დღევანდლამდე.

ხებს, საკუთრივ დავითის წოდებას – „დიდი“, „აღმაშენებელი“; წარმოაჩენს მის პიროვნულ თვისებებს და სხვ. წარწერათა ნაწილი თარიღიანია, ნაწილი კი თარიღდება ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოებით, რაც მეტად ღირებულს ხდის მათ პალეოგრაფიული თვალსაზრისით.

*Giorgi Otkhmezuri*

**EPIGRAPHIC MONUMENTS  
OF THE EPOCH OF DAVID THE BUILDER (“AGMASHENBELI”)**

(Summary)

The epigraphic monuments of the epoch of David the Builder are compiled and examined in the present article. These are the ones produced either during his reign, or – having close connection with his name.

The inscriptions on the monuments such as Atenis Sioni, Katskhi, Rkoni, Lagurka, Mokvi, etc. (around 30 captions in total) encompass all types of epigraphic monuments. Some of them are dated, others fit the narrow chronological margins. This increases their paleographic value.

The inscriptions mentioned above provide good source for determining the problems such as domestic or foreign politics that David the builder had carried on, relations between the state and the church, cultural and economic revival.

Additionally, they provide precise information on the chronology of the titles of the Georgian kings, as well as the epithets of king David – the “Builder” or the “Great”, this way emphasizing his personal virtues.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

## *ანდრო გოგოლაძე, მედეა გოგოლაძე*

### **დავით აღმაშენებლის ხელისუფლების ცენტრალიზაციის ერთი ასპექტი**

დავით აღმაშენებელმა ხელისუფლების ცენტრალიზაციის მიზნით სახელმწიფო კანცლერის-მწიგნობართუხუცესის და ჭყონდიდელის თანამდებობა გააერთიანა. 1118 წელს, გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ, 1118-1124 წლებში, ბუნდოვანია, თუ ვინ იყო ამ თანამდებობის მქონე პირი. წყაროების მონაცემებით ჩანს, რომ ჯერ კიდევ დავითის სიცოცხლეში ეს ორი პატივი ყოველთვის ერთიანი არ ყოფილა. როგორც ცნობილია, გიორგის შემდეგ ეს თანამდებობა მის დისშვილ სვიმონს ეჭირა, მაგრამ არ ჩანს, რომ მას მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელო 1118 წელსვე ან მის ახლო ხანებში მიეღო. ამ პატივს ის მოგვიანებით, 1124 წლიდან, ფლობს. ამაზე მიაჩნება დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი და დავითის ისტორიკოსის თხზულება.

სვიმონი პირველად მოხსენიებულია დავითის ანდერძში, სადაც მეფე შიომღვიმის მონასტრის მოვლა-პატრონობას სათანადო წესით ავალებს მწიგნობართუხუცესს: „აწ სვიმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყოს შევედრებულ. რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყვოფოდის, რომელსა ჩუჴნ ვერ მივიწინეთ. და შემდგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა, ამითვე წესით სხუად მწიგნობართ-უხუცესი იყოს, იგი იურვოდის“.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, სვიმონი აქ მოხსენიებულია ბედიელ-ალავერდელად, რომელიც ამავე დროს მწიგნობართუხუცესი იყო. ეს ანდერძი მეფეს შირვანზე ლაშქრობის წინ აქვს დაწერილი.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ანდერძი დავით მეფისა მღვიმისადმი. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. ტ. I. თბ. 1984, გვ. 58.

<sup>2</sup> ანდერძის დათარიღების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსახრება არსებობს. თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძე და ი. დოლიძე ანდერძს 1123 წლით ათარიღებენ. იხ. Ф. Жордания. Завещание царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г. Тифлис 1895, გვ. 33-34; ს. კაკაბაძე. ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიომღვიმისადმი დაწერილი. თბ. 1912, გვ. 1; ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. თბ. 1965, გვ. 12. რ. მეტრეველი და ვ. სილოგავა – 1124 წლით. იხ. რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. თბ. 1990, გვ. 24-25; ვ. სილოგავა. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. თბ. 2003. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ანდერძი შედგენილი უნდა იყოს 1123-24 წლებში. იხ. ა. გოგოლაძე. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. თბ. 2001, გვ. 24;

მეორე წყარო, რომელშიც სვიმონი ბედიელ-ალავერდელად და მწიგნობართუხუცესად არის მოხსენიებული, დავითის ისტორიკოსის თხზულებაა. როდესაც დავით მეფემ დაიპყრო: „სრულად ყოველი შარვანი... და განმგებულად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თვის სვიმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი“.<sup>3</sup> ამგვარად, დაპყრობილი შირვანის გამგებლად მეფემ დანიშნა სვიმონ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომელიც მაშინ, 1124 წელს, ბედიელ-ალავერდელი იყო, რაც ნიშნავს, რომ იგი ჯერ ბედიელ-ალავერდელი იყო და შემდეგ მიიღო ჭყონდიდელი. რაც შეეხება მის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელად მოხსენიებას, მემატიაზე მას თანადროულ პერიოდში აფიქსირებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ნ. ბერძენიშვილის აზრით, 1123 წელს სვიმონი ჯერ კიდევ ბედიელ-ალავერდელია და მწიგნობართუხუცესი, ხოლო 1125 წელს ის უკვე ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია. მისი ვარაუდით, 1118-1125 წლებში ჭყონდიდელი ვიღაც უცნობი პირი ყოფილა და არცთუ სასურველი დავითისთვის, ხოლო მის შემდეგ მეფემ ეს სახელო თავის ერთგულ სვიმონს ჩააბარა, რომელსაც ამის გამო ბედიელ-ალავერდელიობისთვის თავი დაუნებებია.<sup>4</sup> ი. ანთელავა იზიარებს ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ ჭყონდიდელი სხვა პირია და არა სვიმონი, მაგრამ არ ეთანხმება მას, თითქოს ჭყონდიდელი დავითისათვის არასასურველი პირი ყოფილიყო, მითუმეტეს, რუის-ურბნისის კრების შემდეგ. მკვლევარის ვარაუდით, გიორგის გარდაცვალების დროს სვიმონი ბედიელ-ალავერდელია და ვინაიდან იგი უკვე მართავდა ორ უმნიშვნელოვანეს ეპარქიას და ჰქონდა არქიეპისკოპოსის იერარქიული პატივი, მეფეს იმ მომენტისათვის აღარ ჩაუთვლია საჭიროდ მისთვის, მაინცდამაინც ჭყონდიდელის თანამდებობა მიეცა.<sup>5</sup> ნ. შოშიაშვილს მიაჩნია, რომ სვიმონ ბედიელ-ალავერდელი-მწიგნობართუხუცესი ამავე დროს ჭყონდიდელიც იყო 1118 წლიდან და მეფემ ჭყონდიდელს დაუქვემდებარა ეს ორი ეპარქია. იგი აღნიშნავს, რომ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მოგვიანებით სხვა ეპარქიებსაც ითავსებდა: XII საუკუნის ბოლოს მიქაელ კათალიკოზი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და სამთავნელიც იყო, ხოლო XIII საუკუნის შუა წლებში ბასილი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელ-უჯარმელი.<sup>6</sup> რ. მეტრეველის მოსაზრებით, სვიმონი 1118 წლიდან მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელია, ხოლო 1124 წლიდან – ბედიელ-ალავერდელიც. მისი ვარაუდით, სწორედ ამ ხანებში უნდა მიემატებინათ სვიმონისათვის ბედიელ-ალავერდელის ეპისკოპოსის კათედრაც.

<sup>3</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 345.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III. თბ. 1960, გვ. 11.

<sup>5</sup> ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბ. 1983, გვ. 107-108.

<sup>6</sup> ნ. შოშიაშვილი. ჭყონდიდელი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. 11. თბ. 1987, გვ. 409.



მკვლევარი არ იზიარებს ნ. ბერძენიშვილის აზრს, ჭყონდიდელად დავითისთვის არასასურველი პირის არსებობის შესახებ; „ესოდენ დიდი საეკლესიო თანამდებობის პირის ჭყონდიდელის წყაროებში მოუხსენებლობა, მით უმეტეს თუ ეს უკანასკნელი იმდენად გავლენიანი იყო, რომ დავით აღმაშენებლის ნების წინააღმდეგ იქნა დანიშნული, ალბათ, უნდა გამოვირიცხოთ“.<sup>7</sup> ვ. სილოგავა ამ პრობლემას ასე წარმოიდგენს: „1118 წელს, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის გარდაცვალების შემდეგ, მწიგნობართუხუცესობა დავითმა მისცა გიორგის დისწულს სვიმონს, რომელიც იმ დროს ბედიელ-ალავერდელი იყო. ამის გამო ჭყონდიდლობა ერთხანს დაშორებული აღმოჩნდა მწიგნობართუხუცესობისაგან და არა დავით მეფისათვის არასასურველი კანდიდატის მიერ მისი მიტაცების გამო. როგორც ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით აღმაშენებლისათვის მთავარი და მნიშვნელოვანი იყო, მწიგნობართუხუცესობა ჰქონოდა შეერთებული მაღალი რანგის მღვდელმთავარს და ამით გაეწია კონტროლი საეკლესიო ცხოვრებისათვის და არა პირიქით – მაღალი რანგის საეკლესიო ხელისუფლება ყოფილიყო შეერთებული მწიგნობართუხუცესობასთან“.<sup>8</sup> მეცნიერის ვარაუდით, ჭყონდიდელის ინსტიტუტი ფუნქციონირებს და როცა ის გამოთავისუფლდება, გადაეცემა სვიმონ მწიგნობართუხუცეს ბედიელ-ალავერდელს.<sup>9</sup>

ნ. ბერძენიშვილი ბედიელ-ალავერდელის ინსტიტუტის დაარსებას დავით აღმაშენებლის უადრესად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა რიცხვს მიაკუთვნებს,<sup>10</sup> თუმცა რატომ შეცვალა დავითმა ჭყონდიდელი ბედიელ-ალავერდელით, ანდა რატომ აღარ ვხვდებით ამ გაერთიანებული სახელოს ინსტიტუტს დავითის შემდგომ, წყაროები ამის შესახებ არაფერს გვაუწყებს.

რას უნდა ნიშნავდეს დავით აღმაშენებლის ეს ღონისძიება? სავარაუდოდ, სვიმონი მწიგნობართუხუცესობამდე აყვანილი იყო ბედიელ-ალავერდელის პატივში და ჭყონდიდელის სახელოს დამატება დავითმა საჭიროდ არ ჩათვალა, რამეთუ არსი ამ ინსტიტუტისა ამით მაინც არ იცვლებოდა. როგორც ცნობილია, იდეა საერო და საეკლესიო თანამდებობების გაერთიანებისა მდგომარეობდა ეკლესიაზე ცენტრალური ხელისუფლების გავლენის მოპოვებაში. ამდენად, არსი ამ პოლიტიკისა არ იცვლებოდა მწიგნობართუხუცესობასთან ჭყონდიდელის სახელო იქნებოდა მიერთებული, თუ ბედიელ-ალავერდელისა, ესეც ხომ საერო და სასულიერო ხელისუფლების გაერთიანება იყო. ჩვენი აზრითაც, 1118-1124 წლებში ჭყონდიდელად დავითისთვის მიუღებელი პირის ყოფნა არადადამაჯერებელია. უბრალოდ, ეს პატივი სვიმონს მაშინ არ რგებია. ასევე, არ ჩათვალა მეფემ საჭიროდ ჩვენთვის უცნობი ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესად დაესვა. თანაც, სვიმონი გიორგის დისშვილი იყო

<sup>7</sup> რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, გვ. 142-144.

<sup>8</sup> ვ. სილოგავა. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, გვ. 34.

<sup>9</sup> ვ. სილოგავა. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, გვ. 34-35.

<sup>10</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VII. თბ. 1974, გვ. 29-30.

და შესაძლოა დავითმა ბედიელ-ალავერდელობაც საკმარისად მიიჩნია მწიგნობართუხუცესობასთან შესაერთებლად. საერთოდ, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა ახალი შემოღებული იყო და ჯერ კიდევ მათი ერთმანეთისგან დროებით გაყრა არ ცვლიდა ამ სახელოს არსს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თანამდებობას იკავებდნენ საეკლესიო ეპარქიების პატივის მქონენი. როგორც ჩანს, გიორგი, უკვე ჭყონდიდელი იყო, როცა მიიღო მწიგნობართუხუცესობა. ასევე ჩანს სვიმონის შემთხვევაშიც, ის ჯერ ბედიელ-ალავერდელია და შემდეგ მწიგნობართუხუცესი. აღსანიშნავია, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულებაში გიორგი პირველად ჭყონდიდელად არის მოხსენიებული, მერე მწიგნობართუხუცესად და ზოგჯერ მხოლოდ ჭყონდიდელად. რუის-ურბნისის ძეგლისწერაში იგი მონაზვნად არის ნახსენები.<sup>11</sup> როგორც ცნობილია, პირველად გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობაზე დასახელებულია 1110 წლის ამბების დროს, როცა ქართველებმა სელჩუკებს წაართვეს სამშვილდე.<sup>12</sup> საერთოდ, ანდერძში სვიმონის მოხსენიებამდე, 1124 წლამდე, არ ჩანს, თუ ვინ იყო 1118-1124 წლებში მწიგნობართუხუცესი და ეჭირა თუ არა ვინმეს ის სვიმონ ბედიელ-ალავერდელამდე – ეს საკითხიც ცნობების არარსებობის გამო ბუნდოვანია.

ერთი რამ ნათელია, დავით აღმაშენებლის ზემოთ აღნიშნული სახელმწიფოებრივი აქცია, რომელშიც ხელისუფლების ცენტრალიზაციის, და ქვეყნის გაერთიანების პოლიტიკური მიზნები იყო ჩადებული, ბევრად მეტს მოიცავდა როგორც ტერიტორიული, ასევე იდეოლოგიური თვალსაზრისით. მან საქართველოს კანცლერის, მწიგნობართუხუცესის თანამდებობას შეუერთა ორი დიდი საეპისკოპოსო სახელო: აღმოსავლეთ საქართველოში – ალავერდელის, დასავლეთ საქართველოში – ბედიელის. ამით, დავითს სურდა სამეფო ხელისუფლების გავლენის საზღვრების გაფართოება, რადგან მწიგნობართუხუცესი-ეპისკოპოსი მეფის სანქციით განაგებდა და კონტროლს გაუწევდა ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე იდეოლოგიურ ცხოვრებას.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეები მისი ცენტრალისტური პოლიტიკის გამგრძელებლები ვერ აღმოჩნდნენ და ხშირად უხდებოდათ უკანდახევა. შესაძლოა, ამიტომ იყო, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ, სულ მალე მწიგნობართუხუცეს-ბედიელ-ალავერდელის ინსტიტუტი გაუქმდა და მწიგნობართუხუცესობა ისევ ჭყონდიდელობასთან შეაერთეს.

ნიშანდობლივია, აგრეთვე, მოგვიანებით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეპარქიების ერთი პირის ხელში მოქცევა. თამარისდროინდელი მიქაელ კათალიკოზი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთან ერთად სამთავნელიც იყო. მართალია, მიქაელმა არათუ სამთავნელობა მიიტაცა, არამედ კათალიკოზის პატივთან ერთად მეფის კარის უმაღლესი ვაზირის თანამდებობაც, მაგრამ აქ ერთი რამ არის საინტერესო. ვხედავთ, რომ მოგვიანო სა-

<sup>11</sup> ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, თბ. 1970, გვ. 126.

<sup>12</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა, გვ. 331.

ნაშიც იყო ტენდენცია ერთმანეთისგან შორს მყოფი ეპარქიების ერთი პირის ხელში მოქცევისა.

ასევე XIII საუკუნის მწიგნობართუხუცეს-ჰეონდიდელი ბასილიც უწარმელი ეპისკოპოსის პატივს ფლობს. აქაც ჰეონდიდელი ამავე დროს უწარმელიცაა. აქაც იმავე ტენდენციას ვხვდებით. აქ არ ჩანს, ეს ტენდენცია იყო თუ არა დავითის პოლიტიკის გაგრძელება, მით უფრო, რომ ამ ორივე ისტორიულ პიროვნებას საკმაოდ სერიოზული პრობლემები ჰქონდა როგორც სამეფო კართან, ასევე საეკლესიო წრეებთან, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იდეა, რომელიც დავით აღმაშენებელმა წამოაყენა და განახორციელა, უკვალოდ არ გამქრალა და მისი მეფობის შემდგომაც ვხვდებით მსგავს მოვლენებს, თუმცა ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შემცირებული საზღვრებით.

*Andro Gogoladze, Medea Gogoladze*

**ONE ASPECT OF CENTRALIZATION OF POWER BY DAVID  
AGMASHENEBELI**

(Summary)

David Agmashenebeli, in order to centralize the power, united the positions of the state chancellor, mtsignobartukhutsesi, and chkondideli (bishop of Chkondidi in Western Georgia). The first mtsignobartukhutsesi-chkondideli was Giorgi and after his death up to 1124 it is not clear who was the person who occupied these two positions. The testament of David to Shiomgvime monastery refers to mtsignobartukhutsesi-bediel (bishop of Bedia in Western Georgia)-alaverdeli (bishop of Alaverdi in Eastern Georgia) Svimon, instead of mtsignobartukhutsesi-chkondideli. Historian of David IV in his work “The Life of King of the Kings David” also mentions Mtsignobartukhutsesi-Bediel-Alaverdeli Svimon.

It is noteworthy that later, some of the Eastern and Western Georgian eparchies were held by the same person. Thus, ex. Michael, the catalicos of Tamar’s period was simultaneously mtsignobartukhutsesi-chkondideli and bishop of Samtavisi in Eastern Georgia. Likewise Basil, mtsignobartukhutsesi-chkondideli of the 13<sup>th</sup> century had honor to occupy the post of bishop of Ujarma in Eastern Georgia. Here again we meet the same tendency. By this action king David Agmashenebeli pursued to implement his goals – to centralize the power and to unite the state. He added to the position of mtsignobartukhutsesi two more positions – that of Alaverdeli and Bedieli. Thus he created joint secular and church authority devoted to him.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

## მზექალა შანიძე

### დაჰმანი

დიდგორის ბრძოლაში დავით მეფის წინააღმდეგ მებრძოლი ლაშქრის სპასალარი იყო, ისტორიკოსის სიტყვით, „ელლაზი ძე არდუხისი, კაცი დაჰმანი და მრავალ-ღონე“. „ქართლის ცხოვრების“ პირველ გამოცემაში დაჰმანი ფორმა ვარიანტების გარეშე<sup>1</sup> მოყვანილი (როგორც ცნობილია, მარი ბროსემ გამოცემისათვის გამოიყენა მხოლოდ სამიოდე ხელნაწერი ე.წ. „ვახტანგისეული რედაქციისა“, მხოლოდ ტექსტის ფრანგულ თარგმანშია შენიშვნაში ვარიანტი: დაჰმატნი).

ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით დაბეჭდილ „ქართლის ცხოვრებაში“ დაჰმანი სიტყვისათვის მითითებულია ნუსხათა ჩვენებები: დაჰმნი Mm, დაჰმატნი D, ამანი C (მაგრამ არ არის ანასეული (A) ნუსხის დამანი).<sup>2</sup>

ჩვენს გამოცემაში ამავე სიტყვის ზემოთ აღნიშნული ვარიანტებისათვის დამატებულია კიდევ 1697 წ. გადაწერილი Q ხელნაწერის ჩვენება,<sup>3</sup> რომელიც Mm-ისას ემთხვევა. ამავე ფორმით შევიტანეთ ეს სიტყვა „ქართლის ცხოვრების“ ბოლო გამოცემაში, რომელიც 2008 წ. გამოვიდა.<sup>4</sup>

დაჰმანი ძველ ქართულში იშვიათი ხმარების სიტყვა ჩანს. იგი არ არის უძველეს ნათარგმნ ძეგლებში – ოთხთავსა და ფსალმუნში. არ არის იგი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც,<sup>5</sup> არც ილ. აბულაძისა<sup>6</sup> და ზ. სარჯველაძის<sup>7</sup> ლექსიკონებში. არ არის დაჰმანი დადასტურებული არც ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებში.<sup>8</sup> ვერ დავძებნეთ სხვა მაგალითები

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის. თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა მ. ბროსე. ნაწილი პირველი. ს. პეტერბურგი. 1849, გვ. 249.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 340.

<sup>3</sup> ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ. საქართველოს ისტორიის წყაროები. 62. თბ. 1992, გვ. 190.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 324.

<sup>5</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ. წ. I. თბ. 1991.

<sup>6</sup> ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ. 1973.

<sup>7</sup> ზ. სარჯველაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ. 1995.

<sup>8</sup> ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი. I. ნ. გოგუაძის, ზ. სარჯველაძის და მ. შანიძის რედაქციით. თბ. 2005.

ვერც ი. გიპერტის ელექტრონულ ფონდებში. მართალია, Argumentum ex silentio გადამწყვეტი არ არის, მაგრამ მაინც გასათვალისწინებელია.

დაჰმანი ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის ლექსიკონში განმარტებულია როგორც „მოხერხებული“ – კითხვის ნიშნით (ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ). მარი ბროსეს „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანში სიტყვა ასე აქვს ნათარგმნი: homme héroïque „გმირული ხასიათის კაცი.“ იქვე შენიშვნაში ბროსე წერს, რომ ეს სიტყვა, მისთვის სრულიად უცნობი, მას ვერცერთ ლექსიკონში ვერ უპოვია, ამავე დროს ბროსე იმოწმებს იმ დროისათვის კარგად ცნობილი მეცნიერის, მ. დორნის (M. Dorn), აზრს, რომ სიტყვა შეიძლება ყოფილიყო l'ancien persan tahman héros.<sup>9</sup> მარი ბროსეს მითითება „ძველ სპარსულზე“ საკმაოდ ზოგადი სახისაა; კვლევის თანამედროვე ეტაპზე ცნობილია, რომ ირანული ენობრივი სამყაროდან შემოსული ლექსიკის წარმომავლობა, შემოსვლის გზა და დრო ცალკეული ლექსიკური ერთეულებისათვის განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს.<sup>10</sup> ამიტომ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ დაჰმანი სიტყვის წარმომავლობა მართლაც ამ ენობრივ არეალშია საძიებელი. მრავალი ირანული ენისათვის საერთო tahm „მამაცი, ვაჟკაცი“ (ავესტურ და მანიქველურ პართულ ფორმებზე მიმითითა ელენე გიუნაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ) ახალ სპარსულშიც დასტურდება taham, tahm. შევნიშნავთ აგრეთვე, ახალი სპარსული tahmtan – ფირდოუსის ლეგენდარული გმირის, როსტომის, ეპითეტი „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში თაჰმანი, თამთან, თამთამ ფორმით გვხვდება.<sup>11</sup> ასევე, ძველ ნასესხობებში (ძირითადად საშუალო სპარსულიდან) ყველა შესაძლო ამოსავალი ფორმისათვის საერთო თავკიდური t ქართულში აბრუპტივით (ტ) არის გადმოცემული (ტანი, ტაკუკი, ტომი და სხვ).<sup>12</sup> ამიტომ შესაძლოა, დაჰმანი სიტყვისათვის ამოსავლად უფრო ახალი სპარსული ვიგულოთ. თ-ს გამჟღერება ამ სიტყვაში შესაძლოა საკუთრად ქართულში მომხდარიყო. ამრიგად, დაჰმანი დავითის ისტორიკოსის თხზულებაში უნდა გავიგოთ არა როგორც „მოხერხებული“, არამედ „ძლიერი“, რაც მოცემულ კონტექსტს შინაარსობლივად უფრო უდგება.

ამ იშვიათი სიტყვის ხმარების კიდევ ერთი შემთხვევა უნდა გვქონდეს ისევ „ქართლის ცხოვრებაში“, თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „მატიანე ქართლისა“; ე. თაყაიშვილის გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ (M) ვარიანტში იკითხება: „ხოლო: კლდენი: მტკიცედ: ეპყრეს: ციხოვანთა: რამეთუ: მუნ: შიგან: დგა: ნაომართა: მწიგნობართა: უხუცესი: ლიპარი-

<sup>9</sup> Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIX<sup>e</sup> Siècle. Traduite du Géorgien par M. Brosset. 1-re partie. St. Pétersbourg. 1849, გვ. 365.

<sup>10</sup> მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I. თბ. 1966; I. Gippert. Iranika Armeno-Iberika. 2vs. Wien, გვ. 1993.

<sup>11</sup> შაჰნამე, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. I. გამოცემული იუსტ. აბულაძის საერთო რედაქტორობით. თბ. 1916, 503, 504, 706 და სხვ.

<sup>12</sup> მ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 194.

ტის: კაცი: და: იამანი“. იქვე შენიშვნაში მითითებულია, რომ ბროსეს გამოცემაში „კლდენი“ სიტყვას შეესაბამება „კლდე-კარნი“, „ნაომართა“ არის „ანამორი“, ხოლო „კაცი და იამანი“, როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, მარი ბროსეს გამოცემაში არ არის.<sup>13</sup>

ს. ყაუხჩიშვილმა თავის გამოცემაში ზემოთ დასახელებულ შენიშვნათაგან პირველი ორი მიიღო, ხოლო „კაცი და იამანი“ ძირითადი ტექსტიდან ამოიღო და ვარიანტებში ჩაიტანა, სადაც M-ს კიდევ m (მაჩაბლისეული) ნუსხის ჩვენება დაემატა. ამავე დროს, ტექსტის ბოლოს დართულ ლექსიკონში, სადაც (როგორც აღვნიშნეთ ზემოთ) დაჰმანი არის განმარტებული, დამოწმებულია „მატიანის“ ვარიანტი ამ ფორმით: დაიამანი.<sup>14</sup> ამას კი მოსდევს მოულოდნელი გაგრძელება: „შდრ. დ ჩუბინაშვილი: დამანი – გათლილი ბროლი, რომელიც მზის სხივთა განჭვირვით ცეცხლს მოუკიდებს აბედს და მისთანათა, იობ. 28<sup>17</sup>.“ დ. ჩუბინაშვილს ეს სიტყვა, როგორც ჩანს, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან გადმოუტანია, სადაც იმავე დამოწმებით, მითითებულია: დამანი – ილეკროს შუშა ZAB. მაგრამ დაჰმანი თვითონ საბას ლექსიკონში, როგორც გამომცემელი ილ. აბულაძე შენიშნავს, შეცდომით არის შეტანილი.<sup>15</sup> იობ. 28, 17 თვითონ „საბას ბიბლიაში“ (საქ. ეროვნული ცენტრის ხელნაწერი A-51) ასე იკითხება „ვერცა ესწოროს მას ლქროდ და მანი... (შდრ. LXX: χρυσίον και ψαλιος). ამრიგად, დაჰმანი (თუ მანი) დაჰმანთან დაკავშირებული არ არის. ამავე დროს, ს. ყაუხჩიშვილს, როგორც ჩანს, არ მიუქცევია ყურადღება, რომ დაჰმანი არის დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში განმარტებული, თანაც სწორედ ბროსეს მიხედვით, რადგან ამ სიტყვის ერთადერთი დამოწმება სწორედ ამ უკანასკნელის გამოცემის მიხედვით არის: „დაჰმანი – (სპარს.) გმირი. герой I, ქართ. 249“.<sup>16</sup> ბროსეს განმარტების შესაბამისად არის ტექსტის გერმანულ თარგმანებში ელდაზი დახასიათებული როგორც heldenhaft „გმირული“<sup>17</sup> და Held „გმირი“<sup>18</sup>. „მატიანეში“, როგორც აღვნიშნეთ, და იამანი ძირითად ტექსტში არ არის, სავარაუდოა, რომ გამომცემელმა, რომელიც ყველაზე მეტად A (ანასეული) ხელნაწერს – მისი თვალსაზრისით ყველაზე სანდოს – ეყრდნობოდა, Mm ნუსხათა ჩვენება სწორედ იმიტომ მიიჩნია ზედმეტ ჩანართად, რაკი იგი A-ში არ არის.<sup>19</sup> ამავე დროს კარგად არის ცნო-

<sup>13</sup> ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი. გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1906, გვ. 267.

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი., გვ. 483.

<sup>15</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. წ. I.

<sup>16</sup> Грузинско-русский словарь. вновь составленный Д. Чубиновым. СПб. 1887-1890.

<sup>17</sup> Das Leben Des Koenigs der Koenige Dawith... übersetzt von M. V. Tseretheli. Bedi Kartlisa. v. II-III. Paris. 1957, გვ. 59.

<sup>18</sup> Das Leben Kartlis... Herausgegeben von G. Pätsch. Leipzig. 1985, გვ. 419.

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. დასაბუჟდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. წინასიტყვაობის ავტორი სიმონ ყაუხჩიშვილი. თბ. 1942, გვ. 190.

ბილი, რომ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში გადამწერათვის გაუგებარი სიტყვები, ზოგჯერ კი მთელი წინადადებები ან მათი ნაწილები, არა მარტო დამახინჯებულია ან სხვა ტექსტით შეცვლილი, არამედ საერთოდ გამოტოვებულია. საგარაუდოა, რომ და იამანი არის გადამწერთა მიერ შეცვლილი სიტყვა დაჰმანი. მისი ხმარება კონტექსტის მიხედვით სრულიად გამართლებულია: ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი დახასიათებულია როგორც ძლიერი მებრძოლი, რომელიც ციხე-სიმაგრეს მტკიცედ იცავდა.

„ქართლის ცხოვრების“ ბოლო გამოცემაში შეტანილი „მატიანე ქართლისა“ დამუშავებულია და გამოსაცემად მომზადებული აკად. მ. ლორთქიფანიძის მიერ. ზემოთ განხილული წინადადების ტექსტი იმავე სახით არის დაბეჭდილი, როგორც ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშია, ოღონდ ვარიანტებში დამატებულია Q ხელნაწერის ჩვენება.<sup>20</sup> MQm ნუსხათა დედანი უნდა ყოფილიყო ე.წ. „მცხეთური“ ხელნაწერი, რომელიც Q-ს ანდერძშია ნახსენები. იქ ნათქვამია, რომ დედანი „არა იპოვებოდა სანახებსა კახეთისასა, არამედ მცხეთას ოდენ ისხნეს ეკლესიასა შინა სუეტსა ღმრთივ-აღმართებულსა... მღვიხვენ და გარდავაწერინე“ (ხაზი ჩვენია. მ. შ.). ივარაუდება, რომ ეს დედანი არის 1546 წ. მცხეთურ გუჯარში ნახსენები ხელნაწერი, რომელიც ამ დროს არსებობდა და შესაძლოა ბევრად უფრო ადრეული ყოფილიყო.<sup>21</sup> ამიტომ სახელი „მცხეთური“ რომლითაც ამ ბოლო ხანებში ზოგჯერ იხსენიებენ Q-ს, გამართლებული არ არის: „მცხეთური“ ხელნაწერი უნდა ყოფილიყო რამდენიმე ხელნაწერის საერთო – უშუალო და ზოგჯერ შუალობითი – დედანი. MQm ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ შეცდომები და დამახინჯებები მათში არა ნაკლებია (შესაძლოა მეტიც), ვიდრე A-ში, ტექსტუალური თვალსაზრისით, განსაკუთრებით ლექსიკის მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები შემდეგიც: „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში ბევრად უფრო საგარაუდოა გადამწერათვის გაუგებარი სიტყვის ამოღება ტექსტიდან, ვიდრე ასეთი სიტყვის ჩართვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაჰმანი სწორედ იშვიათი ხმარების სიტყვაა, რომელიც ზოგ ნუსხაში ამოღებულია, MQm-ში კი დამახინჯებულია (ალბათ, ასევე იყო ე.წ. „მცხეთურშიც“). ამიტომ მიგვაჩნია, რომ „მატიანეში“ განსახილველი ადგილის ავტორისეულ ტექსტს უფრო სწორად წარმოგვიდგენს ასეთი წაკითხვა: „კლდე-კარნი მტკიცედ ეჭურნეს ციხოვანთა, რამეთუ მუნ შიგან დგა ანამორი, მწიგნობართ-უხუცესი ლიპარიტისი, კაცი დაჰმანი“.

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, გვ. 288.

<sup>21</sup> ცხოვრებად მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ, გვ. 27.



**DAHMAN**

(Summary)

In “Life of David, King of the Kings”, written in the first half of the 12<sup>th</sup> century, Elghazi, the leader of the great army of Seljuk invaders, is described by the chronicler in *Kartlis Tskhovreba* as a formidable enemy – “a man *dahman*-i(i-marker of nominative) and *mraval-ghone* (“clever, resourceful”). The word *dahmani*, used as an epithet by the historian, does not occur frequently in Old Georgian and the example cited above is practically the only known one. S. Qaukhchishvili in his edition of *Kartlis Tskhovreba* (in 1955) explained the meaning of this word as “cunning, sly”. But M. Brosset, the first editor of *Kartlis Tskhovreba*, had already remarked in a footnote in his French translation of the text (in 1849) that the word *dahman* could be “l’ancien Persan *tahman, héros*”. Brosset’s conjecture, though a rather vague one, should be considered plausible. Lexical elements of Iranian origin are numerous in Old Georgian; however, *tah(a)m* – “brave, valiant”, is attested in several languages of the Iranian group and the exact form to which the Georgian *dahman* (with the change of **t** to **d**) may be affiliated is not quite clear. It should also be added that *tahamtan*, the epithet of Rustam in “Shah-Nameh” is found in “*Rostomiani*” (the Georgian version of the famous Persian epic) in various forms: *taamtan, tamtan, tamtam*.

In *Matiane Kartlisa* (another part of *Kartlis Tskhovreba*) the chronicler informs the reader that *Klde-Kari*, the rocky fortress of the great feudal lord, *Liparit*, was inaccessible, because it was defended by his chancellor, *Anamor*. One group of manuscripts – MQm – adds to this name a reading which seems to make no sense: *kaci da iamani*. In other manuscripts this reading is omitted, neither has it been noticed in publications. One may conjecture that the correct form used by the author was *kaci dahmani*, a laudatory term praising the brave defender. The text in the manuscripts of the Georgian main historical narrative source is unfortunately very corrupted by ignorant scribes in the process of repeated copying and *dahmani*, “brave, courageous” – a word misunderstood by them, should find its rightful place in the text of *Matiane Kartlisa*.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

*თედო დუნდუა*

## **გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები. თეოდორე გაბრასი და დავით აღმაშენებელი**

*წარმოდგენილი სტატია აუცილებელი და ადაპტირებული სინთეზია შემდეგი ნაშრომებისა: თ. დუნდუა. სეკსტოსები და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი. თბ. 2003; T. Dundua. The Tale of Two Sebastoses and the Orthodox Alliance. David the King of Georgia and Theodoros Gabras. Phasis. Greek and Roman Studies. v. 5 - 6. Tb. 2003, გვ. 71 - 89; თ. დუნდუა. ბიზანტიური პროვინციული ნუმიზმატიკა. გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები. თბ. 2011 (თ. დ.).*

მიიჩნევენ, რომ ტრაპეზუნტის იმპერია თამარის პირმშოა. ის რუმის სასულთნოსთვის მუდმივი ჩრდილოური საფრთხე უნდა ყოფილიყო. შევეცდებით ვამტკიცოთ, ერთი მხრივ, აღნიშნული პოლიტიკური კონცეფციის შედარებით ადრეული გენეზისი, მეორე მხრივ კი, ქართველთა მხოლოდ ნაწილობრივი მონაწილეობა მის კონსტრუქციაში.<sup>1</sup>

პრობლემასთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალა ერთი ბიზანტიური „დინასტიის“ საგვარეულო ისტორიის ადეკვატურია. მისი სახელი არის გაბრას, ან უფრო გვიანდელი ფორმით – გავრას.

არისტოკრატი ხალდეს თემიდან, მამაცი და შეუპოვარი თეოდორე გაბრასი ალექსი I კომნენოსის დროს ტრაპეზუნტის დუქსია. თავის თანამდებობას ის უნდა უმადლოდეს არა ბასილევსის დიდ სიყვარულს, არამედ სწორედ რომ დიდ უნდობლობას. თეოდორე მოაცილეს დედაქალაქს და მის მიერვე თურქთაგან გამოხსნილი ტრაპეზუნტის დუქსად დანიშნეს. აქედან არაფერი გამოვიდა. ანა კომნენა დასძენს, რომ „ტრაპეზუნტს ის ისე უყურებდა, როგორც საკუთარს“.<sup>2</sup>

არაფერი გამოვიდა არც თეოდორეს შვილის, გრეგორიოსის, დაქორწინების ცდიდან ალექსის ოჯახის ერთ-ერთ წევრზე. კონსტანტინოპოლში ჩასული უმცროსი გაბრასი, ფაქტობრივად, მძევლად იქცა. მამამ ის ხომალ-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1979, გვ. 333.

<sup>2</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210). München. 1974, გვ. 22.

დით გამოიტაცა. ალექსი მას დაემუქრა. თეოდორემ შვილი ბასილევს უკანვე დაუბრუნა. საცოდავმა გრეგორიოსმა თვითონაც სცადა გაქცევა, ის ალექსის მტრებს უკავშირდება. კეისარმა გაბრასი ფილიპოპოლში გამოკეტა.<sup>3</sup>

თეოდორეს ტრაპეზუნტში ყოფნის კონსტიტუციური *de facto* და ინსტიტუციური პერიპეტიები ჩვენთვის უცნობია, ის სიკვდილამდე იქ არის. თეოდორე დაიდუბა ერზერუმთან\*, როცა ის სელჩუკებს ებრძოდა.<sup>4</sup>

თეოდორეს მერე ტრაპეზუნტში ვინმე დაბატნოსია. 1103 წ. შემოდგომისთვის კი ტრაპეზუნტის დუქსი გრეგორიოს ტარონიტია. ის ან თეოდორე გაბრასის შვილია, ან ალექსის კარზე მყოფი წარჩინებულის იოანე ტარონიტის ძმისშვილი. მეტი სიზუსტე შეუძლებელია. მიიჩნევენ, რომ ტარონიტიც რაღაცნაირად გაბრასებს ენათესავებოდა.<sup>5</sup>

ამ გრეგორიოსის სეპარატიზმი იმდენად აშკარა იყო, რომ იოანე ტარონიტი, ალექსის ბრძანებით, ილაშქრებს მასზე 1105/1106 წწ., დაამარცხებს კოლონეასთან და ტყვედაც იგდებს. გრეგორიოსი საპყრობილეში ჩააგდეს. 1107 წელს ის შეიწყნარეს და გაუშვეს. 1117 წელს გრეგორიოსი კვლავაც ტრაპეზუნტშია და კვლავაც არ ისვენებს. სელჩუკთა შიდაპოლიტიკურ კონფრონტაციაში მონაწილეობა მას კიდევ ერთ საპყრობილედ და შემდეგ დიდ გამოსასყიდად დაუჯდა.<sup>6</sup>

1123 წ. ტრაპეზუნტის დუქსია ნიჭიერი ბიზანტიელი სარდალი კონსტანტინე გავრასი\*\*, რეალურად კი ის ნამდვილი ტოპარხია<sup>7</sup> – სასახლვრო ზონის ერთადერთი მპყრობელი წლების განმავლობაში\*\*\*. იმპერატორ იოანე კომნენოსის წარმატებული სამხედრო კამპანია 1139 წ. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს, ბითონიას, პაფლაგონიას და პონტოს, კონსტანტინოპოლს შემოუმტკიცებს. ამიერიდან კონსტანტინე დუქსია *de jure* და *de facto*, ის მხოლოდ და მხოლოდ ბასილევსის ნაცვალია ტრაპეზუნტის მხარეში.<sup>8</sup> 1163/1164 წწ. კონსტანტინე მანუელ კომნენოსის ელჩია სულთან კილიჩარსლან I-თან იკონიაში.<sup>9</sup>

<sup>3</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 22-23.

\* თეოდორე, *σεβαστός καὶ δὸς Χαλδίας*, 1098წ. მოკლეს სელჩუკებმა. ის არის მარტივი და წმინდანი. იხ. W. Seibt. Die byzantinischen Bleisiegel in Österreich. Wien. 1978, გვ. 290.

<sup>4</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 23.

<sup>5</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 23-24.

<sup>6</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 24.

\*\* თეოდორე გაბრასის ძმისშვილი?! იოანე კომნენოსი ტახტზე 1118 წ. ავიდა, კონსტანტინე ამის მერე ძალზე მალე გახდა *δὸς Χαλδίας*. იხ. W. Seibt. Die byzantinischen Bleisiegel in Österreich, გვ. 290.

<sup>7</sup> ტოპარხთან დაკავშირებით იხ. J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 148. შენ. 53.

\*\*\* განსაკუთრებით 1126 წ-დან. W. Seibt. Die byzantinischen Bleisiegel in Österreich, გვ. 290.

<sup>8</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 24-25.

<sup>9</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 25.

ამასიის ალყის დროს, 1175 წ., კეისარი მანუელი მიხაელ გავრასს შეხვედრია. ეს პიროვნება ტრაპეზუნტის სამხედრო კონტინგენტს ედგა სათავეში. მას უნგრეთზე ლაშქრობაშიც (1161 - 1167 წწ.) მიუღია მონაწილეობა. მიხაელს ცოლად კომნენა ჰყავდა.<sup>10</sup>

გავრასების პოლიტიკური დიაპაზონი კონკრეტული ტოპარხით არ იფარგლებოდა. ზოგი მათგანი რუმელ სელჩუკთა სამსახურშიც კი ჩამდგარა. ერთ-ერთს საოცრად არ გაუმართლა. 1146 წ. წარმატებული ლაშქრობის შემდეგ ბიზანტიელებმა სელჩუკებთან გაზრდილი და, რა თქმა უნდა, მათ მხარეზე მებრძოლი გავრასი სიკვდილით დასაჯეს.<sup>11</sup>

XII ს. 70-80-იან წწ. სულთანი კილიჩ-არსლან II პრინციპულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად ხან მანუელთან, ხან კი სალაჰ ად-დინთან გზავნის იხტიარ ად-დინ ჰასან ბენ გავრასს. ასე იყო ამასიის ალყის დროს, ასე იყო მირიოკეფალონის მერე, ასე იყო იერუსალემის აღების შემდეგ.<sup>12</sup> სახელის მიხედვით ის აშკარად მუსლიმია; ამავე დროს მიაჩნიათ, რომ ჰასან ბენ გავრასი იმ გავრასის შვილია, ბიზანტიელებმა 1146 წ. სიკვდილით რომ დასაჯეს. გავრასი სულთნის ფავორიტად დიდხანს არ დარჩენილა. კილიჩ-არსლანი და ჰასანი უფლისწულმა ერთმანეთთან წააჩხუბა. ბენ გავრასი თავის მამულში გაემგზავრა, ტრაპეზუნტის სამხრეთით რომ მდებარეობდა. გზაში ის თურქებმა მოკლეს (1189 წ.).<sup>13</sup> სხვა წყაროს მიხედვით, ჰასანი გაუსამართლებიათ. მას კილიჩის მოწამვლა დააბრალეს (1192 წ.).<sup>14</sup>

კიდევ ერთი გავრასი, იოანე, ქრისტიანია, ოღონც სულთან ქაიკობადის სამსახურში მყოფი – წვერი პაპთან 1235 წ. გაგზავნილი დელეგაციისა. აშკარაა, რომ ის ჰასანის ჩამომავალი არ უნდა იყოს. აქ სხვა შტოსთან გვაქვს საქმე<sup>15</sup>; ძირითადად, ანუ ტრაპეზუნტელ ტოპარხებთან?! მაშინ, რა უნდოდათ მათ მეღიტენეში, სადაც 1256 წ. ცხოვრობდა და საექიმო პრაქტიკით ყოფილა დაკავებული კიდევ ერთი მიხაელ გავრასი?! ყოველივე შეიძლება ასე ავსხნათ – გავრასების ხალდეური მამული ექსპროპრიირებულია, საჯარო *de facto* ხელისუფლება კი „უზურპირებულია“ კომნენოსების მიერ. თ. უსპენსკი თვლის, რომ ტრაპეზუნტის ბოლო დუქსი ნიკიფორე პალეოლოგია.<sup>16</sup>

ქვემოთ წარმოდგენილი გავრასების გენეალოგია არასრულია:

<sup>10</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 26.

<sup>11</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 25.

<sup>12</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 26; მირიოკეფალონთან ბრძოლა მანუელმა 1176 წ. წააგო, იერუსალემი კი 1187 წ. დაეცა. იხ. J. J. Norwich. A Short History of Byzantium. Printed in England. 1997, გვ. 289, 295.

<sup>13</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 26-27.

<sup>14</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 27.

<sup>15</sup> J. Hoffmann. Rudimente von Territorialstaaten im Byzantinischen Reich (1071-1210), გვ. 27.

<sup>16</sup> Ф. И. Успенский. Очерки из истории Трапезунтской империи. Л. 1929, გვ. 31.

დუქსები	რუმელები
თეოდორე გაბრასი, ალექსის თანამედროვე, +1098 წ.	
კონსტანტინე გავრასი (1118(?)/23-1163/64 წწ.)	გავრასი +1146 
მიხაელ გავრასი (1167-1175 წწ.)	იხტიარ ად-დინ ჰასან ბენ გავრასი (1175-1189/92 წწ.)
(?)	
იოანე, სულთნის ელჩი პაპთან – 1235 წ.	
(?)	
მიხაელი, ექიმი მელიტენეში – 1256 წ.	

მოგვიანო ხანაში გვარი გავრა საოცრად გავრცელებული ყოფილა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში.<sup>17</sup>

საკითხის გარშემო არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზა ასეთია: ანა კომნენა, იოანე ზონარა, იოანე კინამოსი, მიხაელ სირიელი, ნიკეტა ხონიატე და ა.შ.

რომეების სამეფოს ერთიანი ეკონომიკური სისტემა მანასკერტის შემდგომ (1071 წ.) პოლიტიკური დეზინტეგრაციის ძალზე მკაფიო ტენდენციებს ავლენს, ძირითადად ორი მიმართულებით: I. *de jure* და *de facto* დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის გენეზისი; II. სასაზღვრო „მარკის“ ორგანიზაცია, *de jure* საიმპერიო იურისდიქციის ქვეშ, მას სათავეში დუქსი უდგას, რომელიც *de facto* კანონმდებელია; სწორედ ეს არის ტოპარხია. საკუთარი ტოპარხიის დაარსება ანატოლიაში თვით ნორმანმა მოქირავნე რუსელმაც კი განიზრახა მიხაელ VII დუკას მმართველობის დროს<sup>18</sup>, მით უმეტეს, ტრაპეზუნტში ამას იოლად მოახერხებდა ხალდების თემის მკვიდრი თეოდორე გაბრასი.

დეცენტრალიზაციის მიზეზი კი შემდეგია: ბიზანტიური მეტროპოლისი (საბერძნეთი და მცირე აზია) სუპერინდუსტრიული ზღვისპირეთი და ძირითადად აგრარული ჰინტერლანდია. ბიზანტია არაწოდებრივი ინდუსტრიულ-აგრარული სისტემაა, სადაც ინდუსტრიული სახმარი ღირებულებების ფასი უპირატესია აგრარულზე, ინვესტიციებიც უფრო მანუფაქტურებისკენ არის მიმართული, ვიდრე მიწისკენ. I ციკლის კაპიტალიზმის<sup>19</sup> სოციალური პოლი-

<sup>17</sup> გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. VI. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966, გვ. 111, შენ. 1.

<sup>18</sup> J. J. Norwich. A Short History of Byzantium, გვ. 243.

<sup>19</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. T. Dundua. The Cyclic Dialectics. Tb. 1996.

ტიკის პრინციპული შეცდომაა სამრეწველო კადრების ნაკლები დასაქმება საწარმოო საშუალებების წარმოების სფეროში, ორთქლის მანქანების სრული ეკონომიკური იგნორირება.<sup>20</sup> მართლაც, რა საჭიროა კომფორტის და სერვისის შეზღუდვა, როცა ეკონომიკური სისტემები (საბერძნეთი, იტალია) ავანგარდულია, და განვითარების არავითარ ფორსირებულ ტემპებს არ საჭიროებს. დემოგრაფიული ევოლუცია და, შესაბამისად, ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული სამრეწველო საქონლის რაოდენობის შემცირება სამრეწველო სექტორს ინდუსტრიული ნაწარმის დაუნჯებისკენ უბიძგებდა. სამრეწველო სექტორი საკუთარ პროდუქციაზე ფასებს მაღლა წევს. სტრატეგიები კოტრდებიან. მათი მიწები თემის სტრატეგოსებს უვარდება ხელში აკუმულირებული საინვესტიციო ფონდის წყალობით. ეს ლატიფუნდისტები სამრეწველო ზღვისპირეთს ბრძოლას უცხადებენ. ხატმებრძოლეობა, ანატოლიელი მეამბოხეები – ფოკები და სკლეროსები, პროვინციული იმპერატორები კონკრეტული კონფორტაციის მღელვარე ფურცლებია. აქედან არაფერი გამოვიდა. რაღაც უნდა მომხდარიყო. ანატოლიელები მზად იყვნენ ყველაფრისათვის, თვით ისლამის მიღებისთვისაც კი. მაღე ლატიფუნდისტებს მოკავშირედ ლამის მთელი მსოფლიო მოეგვინა.

რომეების სამეფო, ევროპის ეს ძველი მოდელი, იტალიას ეპოტინება, ბალკანეთსაც; ახალ ევროპას, რომელსაც ადრეული ეკონომიკური კონცეფციების გამეორება არ სურს, ეს აღიზიანებს. ინტერზონალური ევროაზიური სიმახია და ძაღდატანებითი *receptio* – მხოლოდ ეს დააწყნარებდა ბიზანტიას და დაიწყო...

VI ს. მთელი „ბარბაროსული“ ევროპის და ირანის ალიანსს შედეგად მოჰყვა დუნაის ლიმესის გარღვევა სლავების მიერ; თრაკია და მეზია კი უმნიშვნელოვანეს საიმპერიო სარეკრუტო სივრცეს წარმოადგენდა.

VII ს. ბალკანეთი თითქმის სრულადაა დაკარგული: ევროაზიური ალიანსის მორიგი მსხვერპლი კი ბიზანტიური სირია და ეგვიპტეა, საიდანაც მეტროპოლისი მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა.

ბიზანტიას საქმე მოუთავა XI ს-ის ევროაზიურმა ალიანსმა; კათოლიკური ევროპა და სელჩუკები ამ ალიანსის სუბიექტები არიან; ხელოვნური დემოგრაფიული აფეთქება მეტროპოლისს საბოლოოდ მოუღებს ბოლოს. ანატოლია დაიკარგა; ლატიფუნდისტები კი გათურქდნენ, თანაც დიდი სიხარულით.<sup>21</sup> აგრარული სექტორი თავისას მიიღებს. სელჩუკთა რუმის სასულთნო რომეული ეკონომიკური სისტემის პრივილეგირებულ აგრარულ სივრცედ იქცა. XIII ს. სხვა თურქები და დამატებით, ლათინები ბიზანტიურ რუკას კიდევ უფრო ააჭრელებენ. *Receptio* და ის, რომ კაპიტალისტური მეტროპოლისის სოციალური კონტრაქტის შესაბამისობა ეკონომიკურ სივ-

<sup>20</sup> Словарь Античности. Перевод с немецкого. М. 1989. სტატია «Сила пара».

<sup>21</sup> S. Runciman. The Fall of Constantinople 1453. Printed in Great Britain at the University Press. Cambridge. 1996, გვ. 26-27.

**თედო დუნდუა. გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები.  
თეოდორე გაბრასი და დავით აღმაშენებელი**

რცესთან განპირობებული უნდა იყოს ექსპანსიური პოლიტიკით, რაც თითქმის არ არსებობდა XI-XVსს., დაქუცმაცების საფუძველი გახდა.<sup>22</sup> რეინტეგრაცია (საბერძნეთი ეკონომიკური სივრცის გარეთ დარჩა) უკვე ოსმალური ფენომენია. სირია, ეგვიპტე და მთელი აფრიკა ოსმალებს მიაკუთვნეს, როგორც შემოსავლის დამატებითი წყარო.

აღწერილი პროცესი და ხალდების თემის აბსტრაქტიზების ცდა მონოლითია.

ევროპის მოდერნიზაციის სქემა, რასაც ბიზანტია ემსხვერპლა, ქართულ ინიციატივას გამორიცხავდა. საქართველო ხომ ძლიერ მეზობელ პარტნიორს კარგავდა, რომელთანაც იმდენად იყო ინტეგრირებული, რომ აქაც და იქაც უნიფიცირებული სამონეტო ტიპები იჭრებოდა მართლმადიდებელი ინტეგრაციული სიმბოლიკით დატვირთული – „ქელი ცხორებისად“ (ჭეშმარიტი ჯვარი), ღვთისმშობელი ორანსი ვლახერნისად წოდებული და ა.შ.<sup>23</sup>

<b>ვლახერნის ღვთისმშობელი შემდეგი იმპერატორების დენომინაციებზეა:</b>	<b>ვლახერნის ღვთისმშობელი შემდეგი ქართველი მეფეების ვერცხლის ფულაზეა:</b>
1. კონსტანტინე IX მონომახი (1042-1055 წწ.) – 2/3 მილიარისი	1. ბაგრატ IV. I ემისია. თეთრი (2/3 მილიარისი). 1055 წ. ქუთაისი. მეფე და ნოველისიმოსი
2. თეოდორა (1055-1056 წწ.) – 2/3 მილიარისი	2. ბაგრატ IV. II ემისია. თეთრი. 1068/69 წწ. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი
3. მიხაელ VI სტრატოტიკი (1056-1057 წწ.) – 2/3 მილიარისი	3. გიორგი II. I ემისია. თეთრი. 1073 წ. ქუთაისი. მეფე და ნოველისიმოსი
4. კონსტანტინე X დუკა (1059-1067 წწ.) – 1/3 მილიარისი	4. გიორგი II. II ემისია. თეთრი. 1074 წ. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი
5. რომან IV დიოგენი (1068-1071 წწ.) – 1/3 მილიარისი	5. გიორგი II. III ემისია. თეთრი და ნახევარი თეთრი (1/3 მილიარისი). 1075-1089 წწ. ქუთაისი. მეფე და კესაროსი
6. მიხაელ VII დუკა (1071-1078 წწ.) – 1/3 მილიარისი	6. დავით IV. I ემისია. ნახევარი თეთრი. 1089-1099 წწ. ქუთაისი. მეფე და სევასტოსი

<sup>22</sup> თ. დუნდუა. ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმისმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1997, გვ. 18.

<sup>23</sup> T. Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography. Numismatica e Antichità Classiche. XXIX. 2000. Quaderni Ticinesi, გვ. 387-396.

7. ნიკიფორე III ბოტანიაცი (1078-1081 წწ.) – 2/3 მილიარისი <sup>24</sup>	7. დავით IV. II ემისია. ნახევარი თეთრი. 1089-1099 წწ. ქუთაისი. მეფე და . . . ჯვარი <sup>25</sup>
8. ალექსი I კომნენოსი (1081-1118 წწ.) – ტეტარტერონი /Æ./ <sup>26</sup>	

აქედან ჩანს, რომ ვლადიმერის დეთისმშობლის ტიპის პრეზერვაცია არა ტრადიციულაა, არამედ ბიზანტიური თანადროული ტიპის პერმანენტული გათვალისწინება. დავით IV ბაძავს ალექსის 90-იან წწ. და შემდგომაც.<sup>27</sup> მაგრამ საიდან გაჩნდა კონკრეტული ჯვარი მისი ფულის რევერსზე? თეოდორე გაბრასის ფულებიდან (იხ. ქვემოთ). ე.ი. ნებისმიერი ბიზანტიური „რუდიმენტი“ საქართველოს სამეფოს პოლიტიკური პარტნიორია.

ტრაპეზუნტის მხარესთან საქართველოს ურთიერთობას თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთი ერთ დროს ერთ ეკონომიკურ სისტემას ქმნიდა, აქ ერთ ენაზე საუბრობდნენ. პონტოს ელინური ქალაქები კი, მოგვიანებით, კოლხეთის სამრეწველო პარტნიორების ფუნქციას ასრულებდა. მითრიდატე VI ევპატორის ხანაში პონტო და კოლხეთი პოლიტიკურადაც მაქსიმალურადაა ინტეგრირებული. რომაული *Limes Ponticus* ტრაპეზუნტით მთავრდებოდა. ტრაპეზუნტის მითრაც ლაზიკაში საოცრად შეიყვარეს. ბიზანტიური „თანამეგობრობის“ პერიოდში საქართველოსათვის ტრაპეზუნტი რომეების სამეფოს ყველაზე ახლომდებარე ქალაქია. XI ს. კი ხალდეის მხარე საქართველოს სამეფოს მოკავშირეა, ისე როგორც შემდგომ – ტრაპეზუნტის კომნენოსთა იმპერია. გენუელთა მიერ ორგანიზებული ინდური საქონლის ჩრდილოური ტრანზიტი საზღვაო მარშუტით – კაფუა–სევასტოპოლი–ტრაპეზუნტი–გალატა–იტალია საქართველოს ზღვისპირეთსა და განსახილველ მხარეს ერთ სატრანზიტო დერეფნად აქცევდა. XVII ს. ტრაპეზუნტელ ვაჭრებს სამეგრელოდან გაჰქონდათ რიგი სახმარი ღირებულებებისა. დღესაც ქალაქი ტრაპეზონი თურქულ-ქართული კომერციული კონტაქტის ცენტრია.

გაბრასი ბიზანტიელია. მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ენა ბერძნულია. მაგრამ რა ვუყოთ, რომ ყოფილი ხალდეის თემის<sup>28</sup> ტერიტორია-

<sup>24</sup> Ph. Grierson. Catalogue of the Byzantine Coins in the Dumbarton Oaks Collection and in the Whittemore Collection. Volume Three. Part 2. Washington. 1973, გვ. 747, 753, 758, 773, 795, 817, 831.

<sup>25</sup> T. Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography, გვ. 389-391.

<sup>26</sup> M. Hendy. Coinage and Money in the Byzantine Empire 1081-1261. Washington. 1969, გვ. 88. ალექსის რეფორმა სრულფასოვანი ვერცხლის ემისიას არ ითვალისწინებდა, ამასთან დაკავშირებით იხ. Ph. Grierson. Byzantine Coinage. Washington. 1982, გვ. 11.

<sup>27</sup> T. Dundua. Review of Georgian Coins with Byzantine Iconography ..., გვ. 391.

<sup>28</sup> ეს თემა IX ს. ჩამოყალიბდა. X ს. ის აზიის 16 თემის ჩამონათვალშია. G. Ostrogorsky. History of the Byzantine State. Translated from the German by Jaan Hussey. Rutgers University Press. New Brunswick. New Jersey. 1957, გვ. 184, 219.



ზე რიგ შემთხვევაში დღესაც კი საოჯახო ენა ავტოხტონურია? ხომ არ არის თეოდორეს, ან სხვა რომელიმე გაბრასის ლინგვისტური დიაპაზონი უფრო ფართო და ბილინგვური?! ამასთან დაკავშირებით არაფრის თქმა არ შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ ყოველგვარი კომენტარის გარეშე დავაფიქსიროთ უკვე არსებული მოსაზრება.<sup>29</sup>

ხემოთ ჩვენ ვწერდით იმ ტიპოლოგიურ პარალელზე, რომელიც დავით IV აღმაშენებლის ერთი კონკრეტული ემისიის (ტიპი: ვლაქერნის ღვთისმშობელი/ჯვარი, ლეგენდა – +ΓΙΤΟΓΟΓΚΦΠΘΣ...) ზურგის მხარეს გააჩნია თეოდორე გაბრასის სპილენძის მონეტებთან.

ბიზანტიური პროვინციული ნუმიზმატიკის შესწავლა უკვე არსებულ კლასიფიკაციაში გარკვეული კორექტივის შეტანის საფუძველს გვაძლევს.

გაბრასების სპილენძის სამონეტო ემისიების კლასიფიკაცია პირობითია. ის ემყარება მონეტების წონას, ფორმას და სტილს:

1. ქრისტეს ბიუსტი/ჯვარი ფოთლოვან ბაზისზე, გარშემო – წერტილოვანი ჩარჩო (ტაბ. I, № 1).
2. ქრისტეს ბიუსტი/გასხივოსნებელი ჯვარი, ასოები – [A]ΛΔΡ – ბოლოებზე (ტაბ. I, № 2).
3. ჯვარი,  $\overline{IC} \overline{XC} NI KA$  კუთხეებში/იმპერატორის ბიუსტი (ტაბ. II, № 3).
4. ქრისტეს ბიუსტი/ძვირფასი თვლებით მორთული ჯვარი,  $\overline{IC} \overline{XC} NI KA$  კუთხეებში (ტაბ. II, № 4).
5. მჯდომარე ქრისტე/ძვირფასი თვლებით მორთული ჯვარი ნახევარმთვარეზე (ტაბ. III, № 5).
6. ღვთისმშობლის ბიუსტი/ჯვარი, მის გარშემო – ΦΦΠΧ (ტაბ. III, № 6).
7. ქრისტეს ბიუსტი/იმპერატორის ბიუსტი (ტაბ. IV, № 7).
8. ქრისტეს ბიუსტი/ჯვარი, IC XC NI KA ბოლოებზე (ტაბ. IV, № 8).
9. პატრიარქის ჯვარი საფეხურებზე. Xs კუთხეებში/პატრიარქის ჯვარი, Es კუთხეებში (ტაბ. V, № 9).
10. წმ. თეოდორეს ბიუსტი/ჯვარი (ტაბ. V, № 10).
11. ქრისტეს ბიუსტი/ფეხზე მდგომი წმ. თეოდორე (ტაბ. VI, № 11).
12. ქრისტეს ბიუსტი/წმ. დემეტრეს ბიუსტი (ტაბ. VI, № 12).
13. ქრისტეს ბიუსტი/ძვირფასი თვლებით მორთული ჯვარი,  $\Lambda\Lambda BP$  კუთხეებში (ტაბ. VII, № 13).
14. ქრისტეს ბიუსტი/მარტივი ჯვარი,  $\Lambda\Lambda BP$  კუთხეებში (ტაბ. VII, № 14).
15. უხეში ჯვარი/უხეში ჯვარი.<sup>30</sup>

თუმცა ტიპოლოგიური და ეპიგრაფიკული სტრუქტურა ასეთივე შეიძლება იყოს:

<sup>29</sup> გეორგიკა. ტ. VI, გვ. 111, შენ. 1.

<sup>30</sup> Ph. Grierson. Byzantine Coins. First Published in 1982. London. University of California Press. Berkeley and Los Angeles, გვ. 228-229, ტაბ. 58.

1. წმ. თეოდორეს ბიუსტი/ჯვარი.
2. ქრისტეს ბიუსტი/ფეხზე მდგომი წმ. თეოდორე.
3. ქრისტეს ბიუსტი/წმ. დემეტრეს ბიუსტი.
4. ქრისტეს ბიუსტი/მარტივი ჯვარი,  $\Delta\Lambda BP$  კუთხეებში.
5. ქრისტეს ბიუსტი/ძვირფასი თვლებით მორთული ჯვარი,  $\Delta\Lambda BP$  კუთხეებში.
6. ქრისტეს ბიუსტი/გასხვივოსნებული ჯვარი, ასოები –  $[A]\Delta\Delta P$  – ბოლოებზე.
7. ქრისტეს ბიუსტი/ძვირფასი თვლებით მორთული ჯვარი,  $\overline{IC} \overline{XC}$  NI KA კუთხეებში.
8. ქრისტეს ბიუსტი/ჯვარი, IC XC NI KA ბოლოებზე.
9. ქრისტეს ბიუსტი/ჯვარი ფოთლოვან ბაზისზე, გარშემო – წვრილოვანი ჩარჩო.
10. მჯდომარე ქრისტე/ძვირფასი თვლებით მორთული ჯვარი ნახევარმთვარეზე.
11. ქრისტეს ბიუსტი/იმპერატორის ბიუსტი.
12. ჯვარი,  $\overline{IC} \overline{XC}$  NI KA კუთხეებში/იმპერატორის ბიუსტი.
13. ღვთისმშობლის ბიუსტი/ჯვარი, მის გარშემო –  $\Phi\Pi\Pi X$ .
14. უხეში ჯვარი/უხეში ჯვარი.
15. პატრიარქის ჯვარი საფეხურებზე. Xs კუთხეებში/პატრიარქის ჯვარი, Es კუთხეებში.

კომენტარები:

ერთი რამ აშკარაა – ყველაზე ადრეული ემისიები, ალბათ, წმ. თეოდორეს გამოსახულებიანია. ის ხომ ტოპარხიის კტისტის, თეოდორე გაბრასის მფარველი წმინდანია. თუ ათვლის წვრილოვან ჩვენს სქემის № 2-ს ავირჩევით, ამას შეეძლო შუბლის მხარეზე ქრისტეს ბიუსტის ტიპის მატარებელი ემისიების თანმიმდევრობის დარღვევა, ანუ, ასეთ შემთხვევაში, ჩვენთან № 2-ს № 1 მოჰყვებოდა. ეს კი არ იქნებოდა სწორი. წმ. თეოდორეს წმ. დემეტრე ენაცვლება (№3). შემდგომ ემისიებზე ალექსი კომნენოსის ინიციალებია (№№ 4 - 6). ამის მერე ზურგის მხარეზე წარწერაა –  $\overline{IC} \overline{XC}$  NIKA (№№ 7 - 8). შემდეგი საფეხური ლეგენდების სრული გაქრობაა (№ 9). მჯდომარე იესო (№ 10), ქრისტე შუბლის მხარეზე და იმპერატორი ზურგის მხარეზე (№ 11), საიმპერატორო ტიპი და ჯვარი ერთად (№ 12), ჯვარი და წმ. ღვთისმშობელი (№ 13), დაბოლოს, ჯვარი ერთადერთი სამონეტო ტიპია (№№ 14 - 15) – ასეთია მომდევნო ცვლილებების თანმიმდევრობა.

ჩვენთან №№ 1 - 2, ალბათ, თეოდორე გაბრასის ემისიებია. შესაძლოა მისივე იყოს №№ 3 - 6. №№ 7 - 15 კი უნდა გადაწვილდეს სხვა ტოპარხებზე.

დავით IV-ის მონეტის ზურგის მხარის პროტოტიპი ან № 1-ის, ან № 4-ის რევერსია. ჯერის გამოსახულება დავითთან ოდნავ გამარტივებულია. შესაძლოა, პროტოტიპი, საერთოდ, № 5-ის რევერსი ყოფილიყო (ტაბ. VIII).

ბოლოს, საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაბრასების მსუბუქი ფოლისების ძირითადი ნაწილი ან ტრაპიზონშია აღმოჩენილი, ან ამ ქალაქის მუზეუმშია დაცული. რამდენიმე ცალმა კი ათენს და კორინთოს მიაღწია.<sup>31</sup>

---

<sup>31</sup> Ph. Grierson. Byzantine Coins, გვ. 228-229.

ტაბულა I

XI - XII სს. ტრაპეზუნტული ფოლისები



ტაბულა II



ტაბულა III



ტაბულა IV



ტაბულა V



9



10





ტაბულა VI



11



12



ტაბულა VII



13



14



ტაბულა VIII

თეოდორე გაბრასის ფოლისები



დავით აღმაშენებლის ნახევარი თეთრი



*Tedo Dundua*

**THE GABRIDS AND THEIR MONEY ISSUES.  
THEODOROS GABRAS AND DAVID IV, KING OF GEORGIA**

(Summary)

The Empire of Trebizond is thought to be of Georgian design as a permanent threat to Sultanate of Rum. Queen Thamar (1184 - 1210) engineered everything. Still she had a certain pattern.

The family of Gabras/Gavras seems to be involved in the story. Alloted with a rank of the dux of Trebizond in the 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> cc., the Gabrids considered those sites as their possession. And any of the Byzantine “rudiments” seems to be allied with Georgia.

Last time we wrote about the Georgian money with Byzantinesque – both from the metropolis and province, Constantinople and Trebizond (T. Dundua. The Tale of Two Sebastoses and the Orthodox Alliance. David the King of Georgia and Theodoros Gabras. Phasis. Greek and Roman Studies. v. 5 - 6. Tb. 2003, pp. 71 - 89). That is silver issue of David IV of Georgia (1089 - 1125), having Virgin Orans labelled Blachernitissa on obverse, and cross – on reverse, generally dated by 1089 - 1099.

Former type had been provided by metropolis itself, latter – by the coins of the Gabrids from Trebizond (Ph. Grierson. Byzantine Coins. First Published in 1982. London. University of California Press. Berkeley and Los Angeles, pp. 228-229, pl. 58).

The order of those provincial toparchic issues is only approximate, based mainly on consideration of size, shape and style. But typological and epigraphic structure could be as follows:

1. Bust of St. Theodore/Cross.
2. Bust of Christ/St. Theodore standing.
3. Bust of Christ/Bust of St. Demetrius.
4. Bust of Christ/Plain cross, **ΛΑΒΡ** in quarters.
5. Bust of Christ/Jewelled cross, **ΛΑΒΡ** in quarters.
6. Bust of Christ/Rayed cross with letters **[Α]ΛΔΡ** at ends.
7. Bust of Christ/Jewelled cross with **ΙC XC NI KA** in quarters.
8. Bust of Christ/Cross with **IC XC NI KA** at the ends.
9. Bust of Christ/Cross on leaved baze in pellet border.
10. Christ seated/Jewelled cross on crescent.
11. Bust of Christ/Bust of Emperor.
12. Cross with **ΙC XC NI KA** in quarters/Bust of Emperor.
13. Bust of Virgin/Letters **ΦΦΠΧ** around cross.
14. Crude cross/Crude cross.
15. Patriarchal cross on the steps. Xs in angles/As obverse but Es in angles.

Comments:

One point is clear enough, we have to start with the coins that of St. Theodore depicted on. For he was patron-saint of Theodoros Gabras – ctistes of the toparchy. #2 as the starting point could had broken continuity of Christ-bust typology on obverse. Then #1 is exactly what we need now. St. Theodoros is substituted by St. Demetrius (#3). And next are to come the issues with Alexios' initials inscribed on (##4 - 6). Then  $\overline{\text{IC}} \overline{\text{XC}}$  NIKA appears on reverse (##7 - 8). After the legends totally vanish (#9), and Christ is shown first seated (#10), and then with Emperor on reverse (#11). Emperor type meets cross (#12), cross meets Virgin (#13), and at last cross is left alone (##14 - 15).

##1 - 2 are, perhaps, the issues of Theodoros Gabras, ##3 - 6 could be again his, while the rest (##7 - 15) are to be distributed among the next toparchs.

David IV chooses the design of either #1, or #4 for his reverse slightly simplifying the cross; or, maybe, reverse of # 5 is exact prototype for his silver coins.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

*დომიტრი შველიძე*

## დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთი მოსაზრების გამო

ჯერ კიდევ ძველმა ქართულმა საისტორიო მწერლობამ უცილოდ აღიარა დავით აღმაშენებელი უპირველეს და უდიდეს სახელმწიფო მოღვაწედ და მხედართმთავრად საქართველოს მეფე-გვირგვინოსანთა შორის. იგივე აზრი უდავოდ გაიზიარა და მეცნიერულად დაასაბუთა ახალი დროის ქართულმა ისტორიოგრაფიამ. ამავდროულად ცდილობდნენ შეეფასებინათ დავითის როლი და ადგილი სხვა ხალხების ისტორიასა და საერთაშორისო ურთიერთობების რკალში. დავით მეფის ღვაწლს დიდი პატივისცემით მოიხსენიებდნენ სომეხი მეისტორიენი; მის მხედართმთავრულ ნიჭს, კაცთმოყვარეობასა და ავტორიტეტს აღიარებდნენ მუსლიმი მემატიანეები, ხოლო დავით მეფის სახელი აღფრთოვანებას იწვევდა მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში.

დავით მეფის უნივერსალური მოღვაწეობის პირველი შემფასებელი მისივე ბიოგრაფი და ჩვენს ისტორიოგრაფიაში დავითის ისტორიკოსად წოდებული ანონიმი ავტორი გახლდათ. იგი იყო პირველი მათ შორისაც, ვინც სცადა დავითის პიროვნება, მისი მხედართმთავრული ღირსებები და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მსოფლიო ისტორიის უდიდესი და უცნობილესი პერსონაჟების დამსახურებაზე მაღლა დაეყენებინა. ვინ არიან ისინი? ტროას ომის გმირები: აგამემნონი და პრიამოსი, აქილეუსი და ჰექტორი, ოდისეუსი და ორესტე. ისტორიკოსის აზრით, მათ ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, რამდენადაც მათი სახელები იყო ცნობილი.

დავითის ისტორიკოსის რწმენით, არამცთუ ზემოთ ჩამოთვლილებს, არამედ თვით ალექსანდრე მაკედონელსაც კი ისეთი არა რამ უქმნია, რაც დავით აღმაშენებელს. მით უფრო, ვერ შეედრებიან ქართველთა ძლევამოსილ მეფეს, რომის იმპერატორები ვესპასიანე და ტიტუსი. მაშ რაღატომ არის მათი სახელები ამგვარი დიდებით მოსილი, რომლის ღირსნიც არ არიან? „ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად“<sup>1</sup> – წერს

<sup>1</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 342.

ისტორიკოსი.

მისი აზრით, თურმე სხვა ყოფილა მიზეზი ზემოჩამოთვლილ ისტორიულ პირთა ესოდენი სახელგანთქმულობისა. მათი საქმიანობა დიდი ხელოვნებით აღწერეს ჰომეროსმა, არისტობულემ და იოსებ ფლავიუსმა. სწორედ ამ სახელოვანმა ავტორებმა **„ხელოვნებითა რიტორობისათა“** ისეთი ხოტბა შეასხეს თავიანთი თხრობის პერსონაჟებს, ისე დაწვრილებით გადმოსცეს მათი საქმიანობა, ნაღვაწი, გადახდილი ბრძოლები, რომ სამუდამოდ განადიდეს და უკვდავეფეს მათი სახელები საქვეყნოდ. დავითის ისტორიკოსს თვით ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები მოჰყავს საბუთად, რომლითაც ამ უკანასკნელმა აქილევსის დიდება ჰომეროსის შემოქმედების ნაყოფად მიიჩნია: **„არა დიდ იყავ აქილევო, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს“<sup>2</sup>**

დავითის ისტორიკოსის პოზიცია და შეფასებაც ანალოგიურია. არც ერთ ზემოჩამოთვლილ ისტორიულ თუ მითოლოგიურ პიროვნებას ისეთი დიდი საქმეები არ ჩაუდენია, უბრალოდ, მათ დიდი რიტორობის სფეროში დახელოვნებული „მაქებლები“ აღმოაჩნდნენ. **„ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, – გვარწმუნებს XII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი – და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინდამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა კებასა“<sup>3</sup>**

დავით მეფისადმი მიძღვნილი საისტორიო თხზულების ანონიმი ავტორი მარტოოდენ განცხადებით არ კმაყოფილდება და საკუთარი გაბედული მოსაზრების დასაბუთებასაც ცდილობს. პირველი თეზისის შემთხვევაში დავითის მხედრული ნაღვაწი უდაოდ აღემატებოდა ტროას ომის მონაწილეთა გმირობას. აქაველთა და ტროელთა ომი **„ოცდარვა წელ“** გრძელდებოდა და **„ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა“**. მემატიანეს, ალბათ, მხედველობაში ის გარემოება ჰქონდა, რომ ხანგრძლივი ბრძოლა, ბოლოს და ბოლოს, ერთი ქალაქისთვის მიმდინარეობდა. ამისგან განსხვავებით, დავით აღმაშენებელი თურქ-სელჩუკებს სამ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ებრძოდა, რომლის დროსაც, მისი თხრობის მიხედვით, მომხდურები ვერასოდეს უძლებდნენ მის შეტევებს, მარცხდებოდნენ და გარბოდნენ. მემატიანის მტკიცებით, ვერც რომელი იმპერატორების – ვესპასიანესა და ტიტუსის მიერ აჯანყებული იუდეველების წინააღმდეგ ბრძოლა შეედრებოდა აღმაშენებლის ძლევამოსილ ბრძოლებს.

მაგრამ დავითის ისტორიკოსის შედარების მთავარი სამიზნე მაინც ალექსანდრე მაკედონელია. დავითის ბიოგრაფი საღად აფასებს ალექსანდრეს პიროვნებას, არსად არ ამცრობს მის ღირსებას ან ტაღანტს. მისი სიტყვებით, არისტობულემ აღწერა დიდი მაკედონელის **„მძლეობანი, სიმხნენი და ძლევა-შემოსილობანი“**. ანონიმის პრეტენზია მხოლოდ ერთია – აღმაშენებე-

<sup>2</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 342

<sup>3</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 342.

ლი არაფრით ჩამოუვარდებოდა ალექსანდრეს, „არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნითა უმცირე“. პირიქით, „თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლეს, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონივს ესე“ დავითო – დაასკენის ისტორიკოსი.

შემდგომ თხზულებაში ჩამოთვლილია ის ადამიანური, ზნეობრივი ღირსებები, რომლითაც, ისტორიკოსის რწმენით, დავითი აღემატებოდა „მისთა სწორთა“. იმაშიც დარწმუნებულია ისტორიკოსი, რომ დავით მეფე თავის თანამედროვე მეფე-ხელისუფალთა შორის „უმაღლეს და უზეშთაეს იყო“.

დავითის ისტორიკოსმა მშვენივრად იცის, რომ ალექსანდრე მაკედონელმა უდიდესი მსოფლიო იმპერია შექმნა. იგი არაზუსტად, მაგრამ ძირითადად, სწორად ჩამოთვლის კიდევ ამ იმპერიაში შემავალ ქვეყნებს, თუმცა შეცდომით მიიჩნევს, რომ ალექსანდრემ თითქოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებზეც დაიპყრო. დიას, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გავრცელებული საქართველოს სამეფო მაინც ვერ შეედრებოდა მაკედონიიდან ინდოეთ-ეგვიპტემდე გადაჭიმულ ალექსანდრეს იმპერიას, მაგრამ XII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი იხტიბარს არ იტყვის და გვარწმუნებს, რომ იმ სამხედრო ძალით, რომელიც დავითს გააჩნდა, ვერც ალექსანდრე მიაღწევდა ვერაფერს, პირიქით, დავითს რომ ბერძენ-რომაელთა ან სხვა დიდი სახელმწიფოს შესაბამისი ჭარბი სამხედრო ძალები ჰყოლოდა, „მაშინამცა გენახნეს ნაქმარნი მისნი“.

თანამედროვე მკითხველს შეიძლება გულუბრყვილოდაც მოეჩვენოს XII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის არგუმენტაცია, ან გადაჭარბებულად მაინც, მაგრამ ისიც გაუმართლებელი სკეპტიციზმი იქნება, რომ ძველი მემპტიანის მტკიცებაში სიმართლისა და ლოგიკის მარცვალი არ შევნიშნოთ. ვცადოთ, რამდენიმე მონაცემით მაინც შევამაგროთ დავითის ისტორიკოსის საერთო პოზიცია – რა შეიძლებოდა ეგულისხმა ისედაც სიტყვაძუნწ ისტორიკოსს, როცა აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურ ღირსებებს და მოღვაწეობას ადარებდა ალექსანდრე მაკედონელის იგავმიუწვდომელ ავტორიტეტს.

1. მცირე ტერიტორიების მქონე ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეთა შედარება ზესახელმწიფოებისა და დიდი იმპერიების „მშენებლებთან“, სავსებით შესაძლებელია. დავითის ისტორიკოსის ამგვარი პოზიცია პრინციპულად გამართლებული და სწორი შეხედულება გახლდათ.

2. დავითის ისტორიკოსმა უთუოდ იცოდა და ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ალექსანდრეს მიღწევები ბევრად განაპირობა წინა მოვლენებმა, რომლებმაც საფუძველი მოუმზადეს მისი იმპერიის შექმნას. პირველ რიგში ოცი წლის უფლისწულს წილად ხვდა ბერძენ-მაკედონელთა გაერთიანებული ძალების წინამძღოლობა. ფილიპე მაკედონელმა შეძლო ის, ვერავინ ვერ გააკეთა რაც მანამდე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში – ბერძნული პოლისების გაერთიანება მაკედონიის ჰეგემონობით. ეს პროცესი დაგვირგინ-



და კორინთოში შეკრებილ კონგრესზე, 337 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. კორინთოში ფილიპე აირჩიეს ბერძენ-მაკედონელთა გაერთიანებული მხედრობის მთავარსარდლად სპარსეთთან გამიზნულ მომავალ ომში.<sup>4</sup> საფიქრებელია, რომ სპარსეთში მოსაპოვებელი სამხედრო დიდებისკენ ფილიპე მაკედონელს მხოლოდ სიკვდილმა შეუშალა ხელი. მაშინ შესაძლოა აღსრულებულიყო ალექსანდრეს შფოთიანი წინათგრძნობა, რომელიც ერთ მაშინდელ გადმოცემაში აისახა: თითქოს ალექსანდრემ თავის მეგობრებს მიმართა: „ყმაწვილებო, მამაჩემი ყველაფერს დაიპყრობს და მე აღარაფერს დამიტოვებს, თქვენთან ერთად საგმირო და ბრწყინვალე საქმენი რომ ჩავიდინო“.<sup>5</sup>

ფილიპემ სხვა პარამეტრებითაც შეუმზადა საფუძველი ალექსანდრე მაკედონელის წარმატებებს. მან შექმნა რეგულარული ჯარი, ძლიერი ფლოტი, სახელგანთქმული მაკედონური ფალანგა, ცხენოსანი ჯარი, როგორც დამოუკიდებელი სამხედრო შენაერთი გაატარა სხვა სახელმწიფოებრივი და სამხედრო რეფორმები.

სრულიად საპირისპირო ვითარებაში ავიდა სამეფო ტახტზე დავით IV გიორგის ძე – კარგადაა ცნობილი 1089 წლის უნუგეშო მდგომარეობა საქართველოში თურქთა ჩამოსახლება-ბატონობის ჟამს, რომელსაც ჩვენი ისტორიკოსი მჭევრმეტყველურად აღწერს: „და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველსა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოხრებათასა...“<sup>6</sup>

**3. მიუხედავად ალექსანდრე მაკედონელის დიდი მხედართმთავრული ტალანტისა, სპარსეთის იმპერიის განადგურება არ იყო მხოლოდ მისი პირადი მონაცემების დამსახურება. ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი ბერძენ-მაკედონელთა გამარჯვებაში სამხედრო-ტექნოლოგიური და ტაქტიკური უპირატესობა იყო, რაც მათ ჰქონდათ სპარსეთის იმპერიასთან შედარებით.**

მას შემდეგ, რაც ბერძენ-სპარსელთა ცნობილი ომები დაიწყო ძვ. წ. აღ. 499 წელს, ყველა დიდ სახმელეთო თუ საზღვაო ბრძოლაში ბერძნები, როგორც წესი, იმარჯვებდნენ. ძვ. წ. აღ. 490 წელს ბერძნებმა მილტიადეს სარდლობით მარათონის ველზე სასტიკად დაამარცხეს სპარსელები. ცნობილი გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი დელბრიუკი სამხედრო ხელოვნების „კლასიკურ შედეგს“ უწოდებს მილტიადეს მიერ გამოყენებულ „თავდაცვით-შეტევით“ ტაქტიკას და წერს: **ეს იყო „ყველაზე სრულყოფილი და ძნელი ფორმა ომის წარმოებისა, რომელსაც იყენებდა სამხედრო ხელოვნება,**

<sup>4</sup> პლუტარქე. რჩეული ბიოგრაფიები. ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ. მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა. თბ. 1975, გვ. 679. შენ. 47.

<sup>5</sup> პლუტარქე. რჩეული ბიოგრაფიები, გვ. 367.

<sup>6</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 320.

**ოლითგან, ვიდრე უახლეს დრომდე**<sup>7</sup> უკვე ამ დროს ბერძნებს ჰყავდათ ფა-  
ლანგა – სამხედრო-ტექნიკური შენაერთი მძიმედ შეიარაღებული ქვეითებისა,  
რომელთა დარტყმაც თავგზას უბნევდა სპარსელებს.

ძვ. წ. აღ. 480 წელს სალამინის და ცოტა გვიან, მიკალის კონცხთან  
საზღვაო ბრძოლებში პირწმინდად განადგურდა სპარსეთის მეფის, ქსერქსეს,  
ფლოტი. ძვ. წ. აღ. 479 წელს პლატეასთან სახმელეთო ბრძოლაში პავსანიამ  
სასტიკად დაამარცხა სპარსელები, რომლებმაც სასწრაფოდ მიატოვეს  
საბერძნეთის ტერიტორია და უკუიქცნენ. ძვ. წ. აღ. 469 წელს მდინარე  
ევრიმედონტთან ბერძნები კვლავ ამარცხებენ სპარსელებს, ხოლო ძვ. წ. აღ.  
449 წელს კვიპროსის სალამინთან ბრძოლაში ისინი საბოლოოდ იმარჯვებენ  
აზიის გიგანტზე. უკვე ამ ბრძოლებმა საბოლოოდ ცხადყო ბერძნული  
სამხედრო ხელოვნების სრული უპირატესობა სპარსელთა რაოდენობრივად  
ჭარბ ძალებსა და იმპერიაზე. რა თქმა უნდა, ბერძენთა სამხედრო ლიდერო-  
ბა ერთ-ერთ კომპონენტად უნდა განვიხილოთ მთლიანად, ბერძნულ-ელინური  
სამყაროს სამრეწველო-ეკონომიკური და ტექნოლოგიური მოწინავეობისა  
იმდროინდელ მსოფლიოში<sup>8</sup> და ამ მხრივ სპარსეთის იმპერიის ტექნოლოგი-  
ური ჩამორჩენა გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

4. ძველი მსოფლიოს ისტორიის აღნიშნული ეპიზოდი იმიტომ გავიხსე-  
ნეთ, რომ კარგად გავიაზროთ – **ალექსანდრე მაკედონელის მქუხარე გამარ-  
ჯვებებში სპარსელებთან არაფერი იყო ახალი ან გასაკვირი, პირიქით, ეს  
გამარჯვებები სრული კანონზომიერება გახლდათ. ჯერ ერთი – ბერძნულ-მა-  
კედონური ალიანსი სახელმწიფო ბევრად ძლიერი იყო ძველ, დაშლილ-და-  
ნაწილებულ საბერძნეთთან შედარებით; მეორეც – დარიოს მესამის დროინ-  
დელი სპარსეთი ბევრად უფრო სუსტი სახელმწიფო გახლდათ, ვიდრე პირ-  
ველი აქემენიდების სპარსეთი, რომელსაც ძველი კოლხები ხუთ წელიწადში  
ერთხელ მოსაკითხ ძღვენს უგზავნიდნენ ხოლმე.**

5. ბერძენ-მაკედონელთა ახალგაზრდა მთავარსარდალს თავის უშუალო  
მოწინააღმდეგეშიც „გაუმართლა“. სპარსეთის ახალი გვირგვინოსანი დარიოს  
მესამე კოდომანი, სამეფო დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენელი, სა-  
ხელმწიფოს მეთაურობისათვის სრულიად მოუმზადებელი და სუსტი მხე-  
დართმთავარი აღმოჩნდა.

6. ყველაზე გასაკვირი კი ის გახლდათ, რომ სპარსეთის უზარმაზარი  
იმპერიის ბედი სამ ბრძოლაში გადაწყდა. ისოსთან, გრანიკთან და გაეგა-  
მელასთან ბრძოლებში ალექსანდრემ არა მარტო დარიოს მესამის არმია  
გაანადგურა, არამედ სპარსეთის მთელი იმპერია დაამხო და დაიპყრო. რა  
თქმა უნდა, მცირე აზიიდან ამუ-დარიამდე გადაჭიმული იმპერიის დაპყრობის  
„სიადვილეს“ არაერთი ფაქტორი განაპირობებდა. ერთ-ერთი ფაქტორი გეო-

<sup>7</sup> Франц Меринг. Очерки по истории воин и военного искусства. М. 1941, გვ. 16.

<sup>8</sup> თედო დუნდუა, ნათია ფიფია. საქართველო და გარე სამყარო – ევროპის „შექმნა“  
და ევროპის ინტეგრაციის ისტორიული ფორმები. I. საუნივერსიტეტო სახელმძ-  
ღვანელო. თბ. 2009, გვ. 18.

გრაფიული იყო. არც ისე მჭიდროდ დასახლებული ახლო აღმოსავლეთის ვრცელი ველების და უდაბნოების დაპყრობას ნაკლები სამხედრო ოპერაცია, შეტაკება და ბრძოლა სჭირდებოდა. ეს შემდგომში ისტორიამაც დაადასტურა. არაბებმა შედარებით „ადვილად“ დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის რიგი ქვეყნები და ჩრდილოეთ აფრიკის უზარმაზარი ტერიტორია. სამაგიეროდ, მათ ძალიან გაუჭირდათ მცირე აზია-სამხრეთ კავკასიის დამორჩილება, ხოლო ჩრდილო კავკასიაში ფეხის შედგმა საერთოდ ვერ შეძლეს.

შესაძლოა, დავითის ისტორიკოსი გეოგრაფულ ფაქტორს ითვალისწინებდა და მიაჩნდა, რომ სამხრეთ კავკასიის მთაგორიანი ტერიტორიის ჯერ გათავისუფლება თურქ-სელჩუკებისაგან და, პრაქტიკულად, პირველი „კავკასიური იმპერიის“ შექმნა არანაკლებ სამხედრო-პოლიტიკური სირთულის ამოცანას წარმოადგენდა, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის ვრცელი ვაკე-ტერიტორიების მარშით გავლა. დავითის ისტორიკოსის მიერ დავით მეფის ჩატარებული მრავალრიცხოვანი სამხედრო კამპანიების აღწერა-ჩამოთვლა მიზნად ისახავდა მკითხველისათვის წარმოედგინა კავკასიური ომის სიძნელე და სპეციფიკა – როცა მეფეს განუწყვეტელი ბრძოლებით უხდებოდა თითოეული ხეობის, ციხე-ქალაქისა თუ პროვინციის განთავისუფლება, დაკავება და შენარჩუნება ჯერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, მერე – სომხეთშირევანსა თუ ჩრდილოეთ კავკასიაში.

7. რაც შეეხება თურქ-სელჩუკებს. რამდენიმე წლის წინ თურქეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა რესპუბლიკის ერთ-ერთ საიუბილეო წლისთავზე განაცხადა – ჩვენ, თურქებს, ჩვენი ქვეყანა გზაზე არ გვიპოვია, ჩვენ იგი ბრძოლით მოვიპოვეთო. მართლაც, XI საუკუნის 40-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში შემოჭრილი სელჩუკთა ლაშქრობები, ფაქტობრივად, შუა აზიიდან დაძრული თურქული ტომების გადმოსახლება იყო. ისინი ბევრგან მომთაბარებოდნენ, მაგრამ – საბოლოოდ დასამკვიდრებლად მცირე აზია-ანატოლია-სამხრეთ კავკასია შეარჩიეს. ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიის მისადგომებთან დამკვიდრებული სელჩუკები 1080 წლიდან იმავეს უპირებდნენ საქართველოს. სწორედ ეს საშინელი მომთაბარებლობაროსული სტიქია შეაჩერა დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურმა გენიამ.

დავითის ისტორიკოსი სრულიად ადეკვატურად აფასებდა ჯვაროსანთა გამოჩენას ახლო აღმოსავლეთში, ამ მოვლენის მნიშვნელობას საქართველოსათვის. მაგრამ ამ ფაქტს უშუალოდ საქართველოს მისადგომებთან გეოპოლიტიკური ვითარება ბევრად არ შეუცვლია. მართალია, დავითმა სელჩუკთა სულთანს ხარკი შეუწყვიტა, მაგრამ სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებული მომთაბარე სელჩუკები თავს უშიშრად გრძნობდნენ და ქვეყნის ათვისებას განაგრძობდნენ. დავით აღმაშენებელმა 1118 წლამდე ისე გაათავისუფლა საქართველოს უდიდესი ნაწილი, რომ რეალური და უშუალო დამხმარე არ ჰყოლია.

ბუნებრივია, საკუთარი მეფის დიდ საქმეთა აღმწერელ ისტორიკოსს

სრულიად სამართლიანი და ბუნებრივი პრეტენზია გაუჩნდა, დავით აღმაშენებლის პიროვნება შეედარებინა მსოფლიო ისტორიის ხმაურიან სახელებთან. რა ვუყოთ, რომ XII საუკუნის ქართულ საისტორიო-პოლიტიკურ აზროვნებას ამგვარი ამბიცია ჰქონდა? ქართველი მემკვიდრის პრეტენზია არ იყო საფუძველს მოკლებული, როცა თამამად წერდა: დავით აღმაშენებელს – „ვერვინ ძველთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსათ“.

*Dimitri Shvelidze*

**REGARDING TO ONE ASSUMPTION MADE BY CHRONICLER OF KING  
DAVID THE BUILDER (“AGMASHENEBELI”)**

(Summary)

As it is known, chronicler of king David the Builder has claimed that, as a political figure and statesman, king David was superior to any other political-military leaders who lived before him. According to the author, as a political leader and commander, king David was equal to even Alexander the Great.

It has to be pointed out that this view, expressed by the Georgian chronicler of the 12<sup>th</sup> c., although very ambitious, is not groundless.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

*ვახტანგ ლიხელი*

## შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა აწყურიდან

*„დაბა აწყური დღეს მხოლოდ ნაშთია ოდესღაც მნიშვნელოვანი ქალაქისა. აქ მდებარეობდა მთელ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ლამაზი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც თურქებმა დაანგრიეს. აწყურის სახელგანთქმული ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ცნობილი იყო თავისი სასწაულებით, 1486 წელს ირანის შაჰმა იაყუბ-ყაენმა მოიტაცა. ათაბაგმა მანუჩარმა მოახერხა უზარმაზარი თანხის საფასურად მისი გამოსყიდვა და საკურთხეველში დაბრუნება. სამოცი წლის შემდეგ იმერეთის მეფემ ბაგრატმა ღვთისმშობლის ხატი იქიდან მოიტაცა და ციხისჯვრის ციხე-სიმაგრეში დაატყვევა, საიდანაც, ქრონიკების მიხედვით, 1553 წელს გადატანილ იქნა იმერეთში. 1562 წელს ათაბაგმა ყვარყვარემ მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა ხატის დაბრუნება, რაც სამშვიდობო ზავი დადო იმერეთის მეფე გიორგისთან. აწყურის ეკლესიის განადგურების შემდეგ, მე აღარ ვიცი რა ბედი ეწია ხატს“.*

*ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე,  
1831-1834 წწ.*

აწყურის ნაქალაქარის მრავალწლიანი კვლევის შედეგად დადგენილი სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ ნამოსახლარის ძვ. წ. I ათასწლეულის ფენები და სამარხები ერთმანეთს ენაცვლება.<sup>1</sup> ამდენად, აშკარაა, რომ უშუალოდ ნაქალაქარის ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული ფენები (არ იგულისხმება შუაბრინჯაოს ხანის სამარხები, რომლებიც რამდენადმე სცდება, თუმცა არა ყოველთვის, ანტიკური ხანის ქალაქის ფარგლებს) ძვ. წ. VII საუკუნეს უნდა განეკუთვნებოდეს და იგი სამარხეული კომპლექსებით ჩანს წარმოდგენილი. არაა გამორიცხული, რომ მომდევნო ხანაც, ანუ ძვ. წ. VI-V საუკუნეები, სამარხეული კომპლექსებით იყოს წარმოდგენილი.

<sup>1</sup> ვ. ლიხელი. სამარხეული ინვენტარი აწყურიდან. ინტერდისციპლინარული არქეოლოგია I. თბ. 2011, გვ. 25-57.

ქრონოლოგიურად მომდევნო ჩანს № 5 სახლი (ტაბ. 1), რომელიც ძვ. წ. V-IV საუკუნეებითაა დათარიღებული.<sup>2</sup>

სრულიად აშკარაა, რომ ძვ. წ. IV საუკუნის შუახანებამდე ნაქალაქარის ტერიტორია ისევ შენობებს უკავია. ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულიდან ნაქალაქარის ტერიტორიაზე კვლავ სამარხები იჩენს თავს, რომლებიც განაგრძობს არსებობას ძვ. წ. III-II საუკუნეებშიც. მაგრამ ძვ. წ. II საუკუნეში კვლავ შენობათა საძირკვლები ჩანს.

ძალზე რთულია ძვ. წ. I – ახ. წ. I საუკუნეების ნაშთებში გარკვევა, რადგან სულ ორი კომპლექსითაა წარმოდგენილი; ერთია სამარხი № 95-5 (ტაბ. 2 – 1), რომელიც „ქარონის ობოლად“ გამოყენებული პოლემონ II (ახ. წ. 49-63 წწ.) მონეტით ახ. წ. I საუკუნით თარიღდება; ხოლო მეორე – უსახო კედლის ნაშთები, რომლებიც, შესაძლოა, ამავე ხანას განეკუთვნება, ამაზე ზუსტი თარიღის დადგენა არ ხერხდება.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან აჭყურის მოსახლეობა, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნიდან, ძირითადად, კონცენტრირებული იყო მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, საცხოვრებლად გადადის მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ანუ იკავებს ტერიტორიას ციხის გარშემო. ეს ხდება ძვ. წ. I საუკუნის შუა ხანებში. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ ხანიდან აშკარად იმატა ქალაქზე თავდასხმის საშიშროებამ (რომელთა გამოჩენა?), რამაც აიძულა მოსახლეობა საცხოვრებლად თავი მოეყარა გაცილებით საიმედო ადგილზე – ციხის გარშემო, ხოლო სამაროვნისათვის გამოეყენებინა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ფერდობები, სადაც მოგვიანებით (შუა საუკუნეებში) მშენიერი აკლდამაც გაუმართავთ.

შუა საუკუნეების ნაშთები კარგადაა წარმოდგენილი უშუალოდ აჭყურის კათედრალური ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

შუა საუკუნეების სტრატეგრაფიის დადგენის მიზნით 1989 წელს გაიჭრა თხრილი აჭყურის ტაძრის ჩრდილოეთით.

პირველ რიგში ფართობი გაიწმინდა ტაძრიდან გადმოყრილი ქვა-ლორღისაგან, რომელიც ზემოდან ედო ჰუმუსურ ფენას. ჰუმუსური ფენა ძალზე სუსტია – 1-2 სმ-ს შეადგენს მხოლოდ. იგი თხრილის მთელ ფართობზე ადევს მოყვითალო ფერის ფენას, რომელშიც ქვის ანატაკეები და რიყის კენჭებია შერეული (სიმძლავრე 25სმ.). მას მოსდევს ყვითელი წვრილი რიყის კენჭებიანი ფენა, რომლის სიმძლავრე 24 სმ-ია; იგი ადევს რუხი ფერის რიყის ქვებიან ფენას (სიმძლავრე 38 სმ.), რომლის ქვეშ თავი იჩინა თიხანარევი შემადგენლობის მუქი რუხი ფერის ფენამ (სიმძლავრე 58 სმ.). ესაა თხრილის აღმოსავლეთი ჭრილი. განსხვავებულია სამხრეთი ჭრილი; ჰუმუსი და მოყვითალო-რუხი ფენა აქაც იგივეა. შემდეგ ჩნდება კირხსნარის ფენა (სიმძლავრე 7 სმ.). მას მოსდევს ყვითელი თიხის, რიყის ქვიანი ფენა (სიმძლავრე 50 სმ.), რომელიც უშუალოდ კედლის წყობას

<sup>2</sup> W. Licheli. Achaimenidische Fundorte in Smacche (sudgeorgien). Archaeologische Mittelungen aus Iran und Turan. Band 32. Berlin. 2000, გვ. 149-157.

ადევს.

ყველა ფენა შეიცავს ერთგვაროვან მასალას, რომელიც, როგორც ჩანს, მცირე ინტერვალებით ერთი ადგილიდანაა მოტანილი და ჩაყრილი ამ ადგილებში. ამას ადასტურებს ის, რომ ერთიდაიგივე ჭურჭლის ფრაგმენტები გვხვდება ყველა ფენაში. თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში კი შავკეციანი ხუფის ორი ფრაგმენტი აღმოჩნდა – ერთი მოყვითალო, ხოლო მეორე – თიხანარევი ფენაში. თხრილის მთელ ფართობზე გვხვდება ადამიანის ჩონჩხის წვრილი ფრაგმენტები, ნახშირის ნამცეცები, კედლის შელესილობის (კირხსნარი) და ფრესკების ფრაგმენტები, მაგრამ იმდენად წვრილი (ფართობი 1-1,5 სმ.), რომ მათი რესტავრაციისათვის გამოყენება შეუძლებელია.

მიწის ზედაპირიდან 70 სმ-ის სიღრმეზე უშუალოდ სამხრეთ ჭრილთან გამოჩნდა წყობის ნაშთი. მისი გაწმენდის შემდეგ გამოიკვეთა კედლის მიმართულება (EW-ს აცდენილია ჩრდილოეთით 20 გრადუსით). კედელი აგებულია უხეშად დამუშავებული კვადრებისაგან (საშუალო ზომებია: 26X13; 19X24; 29X22 სმ. და ა.შ. იხ. ნახ.). აღნიშნული მიმართულებით მისი სიგრძე შეადგენს 204 სმ-ს. კედლის მთლიანად გამოსაჩენად გაიწმინდა თხრილის აღმოსავლეთი ნაწილი. გამოიკვეთა აბსიდა, რომლის რადიუსია 115 სმ. წყობის ზედა ნაწილი ძლიერაა დაზიანებული. მიწის ზედაპირიდან 146 სმ-ის სიღრმეზე აბსიდის წყობა კარგადაა შემორჩენილი და, ცხადია, აგრძელებს კედლის ხასიათის წყობას.

თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ჭრილში მთელ სიგრძეზე გამოჩნდა კარგად გათლილი ქვის საპირე წყობა. იგი ანალოგიურია აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის საპირე წყობისა. ჯერჯერობით იგი მთელი ჭრილის ფართობს მოიცავს და აშკარად დიდი, მონუმენტური ნაგებობის აღმოსავლეთ კედელს წარმოადგენს (შემდგომი ხანის კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ეს არის მონუმენტური კარიბჭის კედელი, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს აწყურის არსებული კათედრალის აგების თარიღს). ამ კედელთან, მისი ზედაპირიდან 65 სმ-ის სიღრმეზე, ქვის ლოდებთან ერთად ჩაყრილია ადამიანის ჩონჩხის ნაწილები. ინდივიდების დადგენა შეუძლებელია ჩონჩხის უკლებლივ ყველა ნაწილის ფრაგმენტულობის გამო. ძვლები აშკარად კედლის არსებობის (მისი აგების) შემდეგაა ჩაყრილი, რასაც თვით საპირე წყობაზე მიყრილი სახსრებისა და ნეკნების ფრაგმენტები მოწმობს. ამ კედლის გაწმენდით შემოიფარგლა მცირე საყდარი.

აბსიდის აღმოსავლეთით, მის გარე კედელსა და ჭრილს შორის, ზედაპირიდან 160 სმ-ის სიღრმეზე გამოჩნდა დანახშირებული ფენა, რომლის სისქე დაახლ. 10 სმ-ს შეადგენს. ამ შრის ქვემოთ ფენა სტრუქტურულადაც სხვაგვარია – სილანარევი, ნესტიანი და მუქი შეფერილობისაა. ამავე დონიდან უკვე საკმაოდ უხვად ჩნდება კერამიკა. ძირითადად, ესაა შავ და ყავისფერკეციანი სამზარეულო ჭურჭლის ფრაგმენტები. საყურადღებოა, რომ ამ დონეზე (160 სმ.) მოპოვებული ბრტყელყურიანი დერგის მეორე ყურის ფრაგმენტი აღმოჩნდა 180 სმ-ის სიღრმეზე.



აქვე აღმოჩნდა ყავისფერკეციანი და მწვანეჭიქურიანი, პატარა ქოთნების ფრაგმენტები. უხვად გვხვდება აგრეთვე მსხვილფეხა საქონლის, ღორის ძვლები და ნახშირის ნამტვრევები. აქვე ზედაპირიდან 220 სმ-ის სიღრმეზე, თავი იჩინა კედლიდან გადმონგრეულმა თლილმა ქვებმა. ამავე დონეზე ფენაში კვლავ შეინიშნება ნახშირის ნამცეცები და საქონლის დამსხვრეული ძვლები. 230-250 სმ-ის სიღრმეზე თავი იჩინა ლოდების ყრილმა, რომლის აღების შემდეგ კვლავ ჩანს მუქი შეფერილობის ნესტიანი ფენა, რომელშიც სხვადასხვა კერამიკული ფორმების მცირე ფრაგმენტები გვხვდება.

3 მეტრის სიღრმეზე თხრილის ამ ნაწილში (აბსიდის აღმოსავლეთი, კედლის გარეთ) გაიწმინდა ქვევრების სარქველები (5 ცალი). სარქველების დონეზეა ჩადგმული ის საფეხური, რომელიც ზღურბლის ქვემოთ, მარანშია გამართული.

თხრილის სამხრეთ ჭრილი სტრატეგრაფიულად დაახლოებით აღმოსავლეთ ჭრილს იმეორებდა, მაგრამ ჭრილის 20 სმ-ით გაფართოების შემდეგ გაირკვა, რომ იგი ფარავდა უხეშად გათლილ კვადრებისაგან აგებულ მარნის სამხრეთ კედელს, რომელიც უშუალოდ ეკლესიაზეა მიშენებული. კედლის შემორჩენილი სიმაღლე 2 მ-ია, კარიოს დიობი უშუალოდ ეკლესიის კედელს ემიჯნება.

მარნის ამ ნაწილის ფართობი არის 210X170 სმ. ქვევრები ჩადგმულია თიხნარ სტერილურ ფენაში, რომლის სიმაღლედ 125 სმ-ია. ამ ფენას მოსდევს ასევე თიხნარი ფენა, რომლის სისქე 125 სმ-ია. ამ ფენას მოსდევს კვლავ თიხნარი ფენა, რომელშიც შერეულია ნახშირის ნამცეცები და ბათქაშის ფრაგმენტები. ამავე ფენაში აღმოჩნდა ქვევრის (ყავისფერკეციანი) ორი ფრაგმენტი, რომელზეც ზედაპირის დამუშავების ისეთივე ზოლები შეინიშნება, როგორებიც ელინისტური ხანის კოლხური ქვევრებისთვისაა დამახასიათებელი. ბათქაშის შრის სისქე, რომელიც სამხრეთ ჭრილში ჩანს, 13 სმ-ია.

ეკლესიის ინტერიერში, სამხრეთ კედელთან, საძირკვლის დონეზე გამოვლინდა ორმოსამარხი. მიცვალებული დაკრძალული იყო გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ, გულხელდაკრეფილი. მკერდის არეში შეინიშნება ხის ნივთის ძალზე სუსტი კვალი. მიცვალებულს ფეხებზე (ტერფებსა და წვივებზე) ეფარა სამი ბრტყელი ქვა. ერთი ამ ქვათაგანი გვერდზე იყო გაწეული, როგორც ჩანს, ეკლესიის შუა ნაწილში ქვევრის ჩადგმის დროს. თვით ქვევრი ჩადგმულია საკურთხევლის წინ ისე, რომ მისი სარქველის ქვა იატაკის დონეზე ოდნავ (10 სმ-ით) დაბლავდა. ქვევრი პროპორციების მიხედვით IX-XI სს. განეკუთვნება. შესაბამისად, მიცვალებული, რომლის სამარხიც ქვევრის ჩადგმის დროს დაზიანდა, უნდა დაეკრძალათ IX საუკუნეზე ადრე. ამდენად, სამარხი, საფიქრებელია, ეკლესიის თავდაპირველ ფუნქციონირების დროს, ადრეულ შუა საუკუნეებში უნდა იყოს გამართული.

საფიქრებელია, რომ მცირე ეკლესია განეკუთვნება VII-IX სს. თუმცა, როგორც ჩანს, ამავე ადრეულ შუა საუკუნეებშია დანგრეული და შემდგომ – მარნის მიშენების დროს ანუ X-XI სს-ში კვლავ ჩანს აღდგენილი.

2006 წელს განახლდა აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის ინტერიერის კვლევა. არქეოლოგიურ გათხრებს უაღრესად მცირე მასშტაბი ჰქონდა და გამოწვეული იყო აწყურის ღვთისმშობლის ტაძარზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებით. აწყურის ტაძარი რამდენიმეჯერ იქნა გადააკეთებული და ბუნებრივია, აქ მოსალოდნელია მნიშვნელოვანი კულტურული ფენების არსებობა. აქ ჩატარებულმა მცირე სამუშაოებმაც კი დაადასტურა ეს მოსაზრება.

არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე რესტავრატორების მიერ გათხრილი და გამოჩენილი იყო მძლავრი კედლის ნაშთები, რომელიც დასავლეთის კარიბჭესთან არის დაკავშირებული. ეს არის გეგმაში ოთხკუთხა ნაგებობა, რომელიც აგებულია მსხვილი რიყის ლოდებისა და ნაწილობრივ დამუშავებული ან დაუმუშავებელი ქვებისაგან. ნაგებობის სიგრძე 6 მეტრია, ხოლო სიგანე – 8 მეტრი.

ნაგებობის ხასიათისა და ფუნქციის დასადგენად გაიწმინდა მისი სამხრეთი კედლის მიმდებარე მცირე ტერიტორია. აქ სამუშაოები შეზღუდულია იმის გამო, რომ ფართობი უშუალოდ ებჯინება ტაძრის სამხრეთ კედელს. შესაბამისად, თხრილის ზომები იყო 7X1,5 მეტრზე. ამ თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა სხვადასხვა ზომის ქვევრები (ორი ცალი), ხოლო თხრილის უკიდურეს დასავლეთ კუთხეში კი – ერთი ცალი. ისინი ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო №1 თხრილში, ტაძრის დასავლეთ კარიბჭესთან, ინტერიერში მიკვლეული ოთხიარუსიანი სამაროვანი (ტაბ. 2-2).

პირველი იარუსი შედგებოდა ორი ქვაყუთისაგან (1,8 X 0,5 მ.). ორივე, ბუნებრივია, ორიენტირებული იყო E-W დერძზე (ისევე, როგორც ყველა სხვა სამარხი).



ორივე ქვაყუთში მიცვალებული დაკრძალული იყო გაშოტილი, ქრისტიანული წესით.


№1 ქვაყუთში აღმოჩნდა ერთი ნივთი, რომელიც მიცვალებულის მკერდის არეში იდო. ესაა ოქროსჩარჩოიანი, ტიხრული მინანქრით შემკული საკიდი ხატი (3,2X2,5 სმ.). ჩარჩოში ჩასმულია იასპის ქვა, რომლის წინა მხარეს ამოკვეთილია ჯვარცმული ქრისტე. მის გვერდით დგანან მარიამ ღვთისმშობელი და იოანე მახარობელი. სამარხი გამართულია იმ ქვებით, რომლითაც ტაძრის კედლები იყო ამოყვანილი. ანუ ესაა მათი მეორეული გამოყენება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტაძარი მიწისძვრის შედეგად დაინგრა 1283 წელს და მაშინვე იქნა აღდგენილი, საფიქრებელია, რომ სამარხი სწორედ ამ ნგრევის შემდგომ იქნა გამართული. მიცვალებულის ჩონჩხზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სამარხში დაკრძალული პიროვნება დაიღუპა სწორედ მიწისძვრის დროს. შესაბამისად, სამარხი XIII საუკუნის მიწურულით უნდა დათარიღდეს. ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება თვით ხატის სტილისტური კვლევის შედეგებიც. სხვა სამარხებში არც ერთი ნივთი არ აღმოჩენილა.

II, III და IV იარუსის სამარხები ერთგვაროვანია – ქვაყუთები დაუმუშავებელი, მცირე ზომის (საშუალოდ 0,6X0,4X0,1 მ.) ქვებითაა აგებული. იარუსები სუსტი (5-10 სმ.), სტერილური ფენებითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი. სულ იარუსების მიხედვით გაიწმინდა: I იარუსი – 2 სამარხი; II იარუსი – 1 სამარხი; III იარუსი – 1 სამარხი; IV იარუსი – 1 სამარხი. ბოლო, მეოთხე იარუსის სამარხი უშუალოდ ტაძრის დასავლეთი კედლის საძირკველს ებჯინებოდა.


**ტაბულების აღწერილობა:**

1. სახლი № 5. გეგმა და ჭრილები. ძვ. წ. V-IV სს.
- 2.1. სამარხი 95-5. ახ. წ. I საუკუნის შუა ხანები.
- 2.2. სამარხების განლაგება ოთხ იარუსზე – გეგმა და ჭრილი.
- 3.1 პირველი იარუსი, სამარხი № 1. XIII ს.
- 3.2 მეორე იარუსი.
- 4.1 მესამე იარუსი.
- 4.2 მეოთხე იარუსი.






აწყური-2006  
ტაძარი, SW  
თხრილი № 1



აწყური - 2006  
თხრილი № 1  
ჭრილი 1-1  
მ 1:100









*Vakhtang Licheli*

## **MIDDLE AGE ARCHAEOLOGICAL MATERIAL FROM ATSKURI**

(Summary)

According to the stratigraphic data, which is based on the longscale observations in the Atskuri site (the Southern Georgia), it is evident that the 1<sup>st</sup> mill. B.C. layers of site and burials are replaced by each other. So, it is evident that exactly on the territory of the settlement the earliest layers (Middle Bronze Age burials are not considered) should belong to the 7<sup>th</sup> cent. B.C. and it seems to be represented with the burial complexes. It is not excluded, that the following period, the 6<sup>th</sup> -5<sup>th</sup> cent. B.C. would be represented with the burial complexes.

Chronologically, the next appears the house #5, which is dated to the 5<sup>th</sup> -4<sup>th</sup> cent. B.C. Till the middle of the 4<sup>th</sup> cent. B.C., the territory of site is occupied with the buildings. From the 4<sup>th</sup> cent. BC. on the territory of site the burials appear ones again, which continue to exist in the 3<sup>rd</sup> -2<sup>nd</sup> cent. B.C. as well. But in the 2<sup>nd</sup> cent. B.C. there are traced also basements of the buildings.

It is extremely difficult to make definition of the remains of the 2<sup>nd</sup> cent. B.C - 1<sup>st</sup> cent. A.D., because they are represented with only two complexes. One is burial #95-5, which, according to the coin of Polemo II (49-63 A.D.) used as a “Charon’s obol”, is dated to the 1<sup>st</sup> cent. A.D. The second is damaged remain of a wall, which should belong to this period, more precise date could not be identified.

From the begining of the 1<sup>st</sup> millenium A.D. the population of Atskuri, which from the 7<sup>th</sup> cent. B.C. had been concentrated mainly on the left bank of the river Mtkvari, moves to the right bank of the river, in the 1st cent. A.D., and occupies the territory around the castle. From this period, threat of an attack on the city grows (the appearance of the Romans(?)), which made the inhabitants to concentrate themselves around the castle and to use the slopes south-eastern from castle for necropolis.

The remains from the Middle Ages are well-represented on the around area of the Atskuri cathedral. To the north from the temple, there is traced little church of Early Middle Ages, which in the 10<sup>th</sup> -11<sup>th</sup> cent. A.D. had a winery on its eastern side. In the interior of the cathedral temple, there was traced four-layer cemetery. In the 1<sup>st</sup> burial of the upper layer, there was discovered golden icon frame decorated with enamel. The stone of jasper is placed in the frame with curved representation of crusifixion. Icon is dated to the end of the 13<sup>th</sup> cent. A.D.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

## ალექსანდრე ბოშიშვილი

### ლორე

ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა<sup>1</sup>

ლორეს ციხე მდებარეობს სომხეთის რესპუბლიკაში, ლორის მარზში (პროვინცია), ქალაქ სტეფანავანიდან რამდენიმე კილომეტრში.

IX საუკუნის მეორე ნახევარში სომეხმა ბაგრატუნებმა ქვემო ქართლის მიწებისთვის დაიწყეს ბრძოლა. „მატიანე ქართლისაჲში“ აღნიშნულია, რომ IX საუკუნის 70-იან წლებში გვარამ მამფალმა „აბოცი განუყო ცოლის ძმასა თვისსა სომეხთა მეფესა“.<sup>2</sup> როგორც პროფ. დევი ბერძენიშვილი შენიშნავს – ამის შემდეგ, სომეხი ბაგრატუნები დაჟინებით მოიწვედნენ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. უნდა ვიფიქროთ, ამის მერე ტაშირიც მალე მათ ხელში აღმოჩნდებოდა, რადგან „გერის-აფხაზეთის“ მეფეების წინააღმდეგ გამოსულ სომეხებს თრიალეთში ახლად დამკვიდრებული ლიპარიტიც ეხმარებოდა.<sup>3</sup> „მატიანე ქართლისაჲში“ ცნობით, „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა. მას ჟამსა მონაზონ იქმნა გუარამ“.<sup>4</sup> როგორ დასრულდა ეს ბრძოლა, წყაროებში არ ჩანს, მაგრამ რადგან აშოტ ბაგრატუნს „სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის“ ტიტული მიუღია, აკად. ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ უპირატესობა მის მხარეს ყოფილა.<sup>5</sup>

როგორც წყაროებიდან ჩანს, ქვემო ქართლის ეს მხარე ქართველი და სომეხი დიდებულების ხელიდან ხელში გადადიოდა.

საბოლოოდ X საუკუნის 70-იან წლებში ტაშირის მმართველმა გურგენმა, ანუ კვირიკემ ანისელი სუმბატ ბაგრატუნის თანხმობით, ქვემო ქართლში

<sup>1</sup> ნაშრომში წარმოდგენილია ლორეს მოკლე ისტორია, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია დავით აღმაშენებლის ეპოქაზე, ლორეს სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, ციხის მდებარეობასა და დღევანდელ მდგომარეობაზე.

<sup>2</sup> მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 257.

<sup>3</sup> დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი. ნაკვ. I. თბ. 1979, გვ. 68.

<sup>4</sup> მატიანე ქართლისაჲ, გვ. 259.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II. თხზულებანი. ტ. II. თბ. 1983, გვ. 101; დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, გვ. 69.

ტაშირ-ძორაგეტის სამეფო დააარსა, რომელსაც კვირიკიანთა სამეფოსაც უწოდებდნენ. კვირიკიანები ანისელი ბაგრატუნების პირდაპირი შტო იყო, რომელიც მოყვრობით იყო დაკავშირებული ქართლისა და კახეთის ბაგრატიონებთან, ასევე ქართულ და სომხურ ფეოდალურ სახლებთან.<sup>6</sup>

ვარდანის ცნობის მიხედვით, ამ გურგენს მემკვიდრეობით მიუღია ტაშირი, სევორდით, ძოროგეტი, კაიანი და კაიწონი, ხორ-ხორუნიქი, ხორის მიერ აგებული ხოშორნი, ხორაკერტი, ბაზუნიქი, იგივე ბაზკერტი – ტაშირის გავარებში.<sup>7</sup>

კვირიკიანთა სამეფოს ყველაზე ძლიერმა წარმომადგენელმა – დავით გურგენის ძემ (989-1048 წწ.), თავის ძმა სუმბატთან ერთად სამშვილდე სამეფოს სატახტო ქალაქად აქცია. სტეფანოს ტარონეცის ცნობით, 989 წელს მან აიღო დმანისი და დაიმორჩილა თბილისის ამირა. ამავე დროს დაამარცხა განძის ამირა ფადლონი და მისი ჯარი გაანადგურა. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ დმანისი (და მისი ხევი) ან აქამდე არ შედიოდა კვირიკიანთა სამეფოს შემადგენლობაში, ან იგი ხელმეორედ აიღეს სომხებმა.<sup>8</sup> ასევე, კვირიკიანების დამატებითი ტიტული „მეფე ალვანთა“ გამოხატავდა მისწრაფებას, დაეკავებინათ ალბანური მიწები, რომელთა დასავლეთ ნაწილს ისინი დროდადრო იმორჩილებდნენ კიდევ.

ზემოხსენებული დავით კვირიკიანი, თავისი სამეფოს დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, ბიძამისს, ანისის მეფე გაგიკ I-ს (989-1020 წწ.) განუდგა. ბიძამ ძმისწულს ეს არ აპატია და სამეფო წაართვა, დამორჩილების შემდეგ კი – უკან დაუბრუნა. ამის გამო დავით კვირიკიანს „უმიწაწელო“ (Անիովի – ანჰოლინი) უწოდეს. ჰაღპატის 996 წლის ერთ წარწერაში იგი სწორედ ამ ზედწოდებით მოიხსენიება. 1001 წლის ამბების გადმოცემისას სტეფანოს ტარონეცი მოგვითხრობს, ძმისწულის დასჯის მიზნით თუ როგორ ააოხრა გაგიკ ანელმა ტაშირი, სამშვილდე და ქართველთა ველი, გაიარა გაგის ციხე და აღსტევის გავარში გავიდა.<sup>9</sup>

დავით ანჰოლინი 1011 წლის ქვაჯვარზე მოიხსენიება, რომელიც სანაინის მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი, ასევე ახპატის 1008 და 1024 წლების წარწერებში. იგი სავარაუდოდ 1045-1049 წლებს შორის უნდა იყოს გარდაცვლილი. დავითს ჰყავდა ხუთი შვილი – კვირიკე, სუმბატი, აღარნასე, გაგიკი, ჰრანუში. კვირიკე, მისი მემკვიდრე გახდა, გაგიკი – კახეთ-ჰერეთის

<sup>6</sup> ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ. თბ. 2004, გვ. 211; ლეონ მელიქსეთ-ბეგი. „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით (ცდა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევისა). ტფ. 1928, გვ. 25.

<sup>7</sup> ვარდან არეველცი, გვ. 115.

<sup>8</sup> დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, გვ. 70.

<sup>9</sup> დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, გვ. 70.

მეფე, სუმბატ და ადარნასე ბაგრატ IV-ის მიერ სამშვილდის აღების დროს მოიხსენიებიან.<sup>10</sup>

სწორედ ტაშირ-ძორაგეტის მეფე, დავით ანჰოლინი, ითვლება ლორეს დამაარსებლად. ვარდანის მიხედვით დავითმა, ლორეს გარდა, კიდევ თორმეტი ციხე დააარსა, რომელთა სახელებიც უცნობია.<sup>11</sup> ეს მშენებლობა XI საუკუნის 20-იან წლებში უნდა დასრულებულიყო.<sup>12</sup>

ივანე ჯავახიშვილის დასკვნით – სომეხ ბაგრატუნთა დროებითი პოლიტიკური ბატონობის წყალობით, სომხური გავლენა ქვემო ქართლში შედარებით უფრო გაძლიერებულიყო. მაგრამ თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო. აქაურ მეფეთა ტიტულატურაში ხაზგასმული „ქართველთა ერისთავთ-ერისთავობა“, „ქართველთა შაჰან-შაჰობა“ მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ეს მეფენი ამ ქვეყანას ქართლად და ქართველთა მიწა-წყლად მიიჩნევდნენ, რომლის დაპატრონების გამო მათ თავიანთ თავს ეს სახელები უწოდეს.<sup>13</sup>

დავით ანჰოლინის შემდეგ კვირიკიანთა სამეფოს მეფე მისი ვაჟი კვირიკე II გახდა. კვირიკე II-ის დროს ტაშირ-ძორაგეტის სამეფო შირაკის ბაგრატუნებისაგან, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი იყო. როგორც პროფ. ქეთევან ქუთათელაძე აღნიშნავს – ანისისა (1046 წ.) და ყარსის (1064 წ.) სამეფოების დაცემის შემდეგ კვირიკიანთა, ანუ ტაშირ-ძორაგეტის სამეფო სომეხ ბაგრატუნთა ერთადერთი პოლიტიკური ფორმირება იყო. მაგრამ ეს ყველაფერი მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, კვირიკეს დროსვე სამეფო დაცემას განიცდის და მისი არსებობის შეწყვეტის ნიშნები ჩნდება.<sup>14</sup>

ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს საზღვრები მუდამ უცვლელი არ იყო, განსაკუთრებით ჩრდილოეთ მხარეს, საიდანაც თანდათან გაძლიერებული ქართველი მეფე-მთავრები უტევდნენ. საყურადღებოა გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის (918-941 წწ.) დაშქრობანი სამშვილდის ასაღებად.<sup>15</sup>

1065 წელს თურქ-სელჩუკთა სულთანმა ალფ-არსლანმა (1063-1072 წწ.), საქართველოში დაშქრობის დროს მეფე ბაგრატ IV-ს (1027-1072 წწ.) დისწული სთხოვა ცოლად, რომელიც კვირიკე ტაშირ-ძორაგეტის მეფის ძმისწული იყო. კვირიკიანებისგან უარის გამო, ბაგრატ მეფის ბრძანებით, „სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კვირიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჭალასა“, მესამე ძმამ – ადარნასემ კი, სამშვილდეში შეასწრო. ძელზე გასმული

<sup>10</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო, ორბელთა გვარის ისტორია). თბ. 2001, გვ. 125.

<sup>11</sup> ვარდან არეველცი, გვ. 129.

<sup>12</sup> И. Г. Гарибян. Крепость-город Лорэ и ее раскопки. Автореферат Диссертации. Ер. 1970, გვ. 6. წიგნში: დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, გვ. 79

<sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფ. 1919, გვ. 20-21.

<sup>14</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი, გვ. 125.

<sup>15</sup> დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, გვ. 71.

კვირიკე მეფე სამი დღის შემდეგ დაიყოლიეს: „ხოლო მოსრულ იყვნენ ორნი ერისთავნი სომეხთა მეფისანი.<sup>16</sup>

კვირიკიანთა სამეფოს სატახტო ქალაქის ხელში ჩაგდებათ ბაგრატ მეფემ სომეხ ბაგრატუნთა ქვემო ქართლში ბატონობას საფუძველი გამოაცადა, რასაც მათ ურთიერთობაში ძირეული ცვლილებები მოჰყვა: ამის შემდეგ ქართველთა მეფეს „მონებდეს სომეხნი“.

კვირიკე II იძულებული გახდა სამეფოს დედაქალაქი ლორეში გადაეტანა. ბაგრატ IV-ის სწრაფვა, დაეკავებინა ქვემო ქართლი, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეიდან მომდინარეობდა. ქვეყნის სამხრეთ საზღვრის დაცვისთვის აუცილებელი იყო ამ ისტორიული კუთხის მიწების შემოერთება. ბაგრატი გრძნობდა იმ საშიშროებას, რაც თურქ-სელჩუკებისგან იყო მოსალოდნელი, რადგან მათ მიერ ქვემო ქართლის დაპყრობა საქართველოს სხვა კუთხეებისკენ გზის გახსნას ნიშნავდა.<sup>17</sup>

კვირიკე II-ის გარდაცვალების შემდეგ ტაშირ-ძორაგეტის სამეფო ტახტის მემკვიდრეები მისი შვილები – დავითი და აბასი გახდნენ. მათ დროს სამეფო მნიშვნელოვნად იყო დასუსტებული. კირაკოს განძაკეცის ცნობით – დავითმა და აბასმა „ქართველების მიერ მზაკვრულად მოტყუებულებმა დატოვეს ტავუში, მაწნაბერდი და სხვა ადგილები. რამდენიმე ხნის შემდეგ სპარსელებმა (თურქებმა) წაართვეს მათ ტავუში, და ისინი ...დარჩნენ საცხოვრებლად მაწნაბერდში.<sup>18</sup> მსგავს ცნობებს გვაწვდის ვარდანიც – „აბასი და დავითი, შევიწროვებულნი ქართველთა მიერ, წავიდნენ არანის მფლობელებთან და მიიღეს თითოეულმა თითო ციხე, სადაც ცხოვრობდნენ გაჭირვებაში“.<sup>19</sup>

კირაკოს განძაკეცი და ვარდანი დავითისა და აბასის გადახვეწის ძირითად მიზეზად ქართველებს ასახელებენ, პროფ. ქეთევან ქუთათელაძის აზრით – თუ არ ჩავთვლით ბაგრატ IV-ის მიერ სამშვილდის აღებას, ქართველები ამ მხარეში ყოველთვის თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. ბრძოლა ქვემო ქართლისა და ქალაქ ლორესთვის ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე დავით აღმაშენებლის მეთაურობით ქართველთა ჯარი აქ გამოჩნდებოდა. პროფ. გოჩა ჯაფარიძის მიხედვით – ეს ბრძოლა თავდაპირველად მიმდინარეობდა კვირიკიანებს, სელჩუკებსა და დიარ-ბაქრის თურქმენებს შორის.<sup>20</sup>

1065 წელს სამშვილდის აღების შემდეგ, კვირიკიანები ბაგრატ IV-ის რეალურ მოწინააღმდეგე ძალას უკვე აღარ წარმოადგენდნენ, ბაგრატი უფრო თურქ-სელჩუკებს უწევდა ანგარიშს. ლორესთვის მიმდინარე ბრძოლამ ქარ-

<sup>16</sup> მატიანე ქართლისაჲ, გვ. 306-307; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II, 152.

<sup>17</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი, გვ. 137.

<sup>18</sup> Киракос Гандзакци. История Армении. пер. Л. А. Ханларяна. М. 1976, გვ. 153

<sup>19</sup> ვარდანი არეველცი, გვ. 129.

<sup>20</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბ. 1995, გვ. 33.

თველებსა და თურქ-სელჩუკებს შორის, ტაშირ-ძორაგეტის მეფეთა პოლიტიკური არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. და სომეხი ისტორიკოსების ზემოაღნიშნული ცნობაც ლოგიკური გაგრძელებაა კირაკოს განმაკვეცის ცნობისა, რომლის მიხედვითაც დავითისა და აბასის მამა კვირიკე II „მთელი თავისი მეფობის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა ქართველებს“. პროფ. ქეთევან ქუთათელაძის აზრით – კვირიკე II ქართველთაგან იყო შევიწროვებული, საქართველოს მეფეთა მიერ ქვემო ქართლის, ამ ისტორიულად ქართული მიწების შემოერთება, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ნებისმიერ მეფეს შეუქმნიდა საფრთხეს და შეავიწროვებდა, მით უმეტეს, როდესაც ეს უკანასკნელნი საქართველოს მეფეს ვერ უწევდნენ წინააღმდეგობას, ბუნებრივია, ქართველთა აქტიურობა ქვემო ქართლში ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მეფეთა პოლიტიკურ დევნას ნიშნავდა. ვარდანის ცნობიდან ჩანს, რომ ქართველები ქვემო ქართლისთვის და, საერთოდ, თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ თავდაუზოგავად იბრძვიან, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პერიოდი (დავითისა და აბასის ყოფნა ტაშირ-ძორაგეტში 1089-1110 წწ.) დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანაა.<sup>21</sup>

რაც შეეხება კირაკოსის ცნობას „მზაკერულად მოტყუების“ შესახებ, პროფ. ქეთევან ქუთათელაძის აზრით – შეიძლება კონკრეტულად რამე დაპირება იგულისხმება, რომელიც შესაძლებელია ქართველებმა მისცეს კვირიკიან ძმებს, ან თუ შეჰპირდნენ რამე დახმარებას თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. რომელთა თარეში საფრთხეს უქმნიდა ტაშირ-ძორაგეტის მეფეებს, მართლაც, 1105 და 1110 წლებში ადგილი ჰქონდა მათ ორჯერ ილაშქრეს ლორეში.<sup>22</sup>

1104-1105 წლებში სულთან ბარქიარუკს ადარბადაგანის მფლობელი მუჰამედი აუჯანყდა. სელჩუკთა სახელმწიფო შინაომებმა მოიცვა, ამავე წელს არეულობით ისარგებლა ვინმე ხიზილ ამირამ, რომელმაც აიღო ლორე, შეიჭრა დვინში და მოკლა მისი მფლობელი, ბუნარი, იგივე აბუ ნასრი, ანისის შედადიანი გამგებლის მანუჩეს ძმა.<sup>23</sup> პროფ. გოჩა ჯაფარიძის აზრით – ხიზილმა, როგორც ჩანს, ისარგებლა ამიერკავკასიის ამ ნაწილში არასტაბილური სიტუაციით და, ალბათ, მუჰამედის „კურთხევით“, ხელი დაადო ლორეს, შემდეგ კი დაეუფლა დვინსაც. ეს იყო დიარ-ბაქრის თურქმანთა პირველი ცდა, ვეხი მოეკიდებინა ამ ქალაქში.<sup>24</sup>

XII საუკუნის პირველ ათეულში მაჰმადიან მფლობელებს შორის კიდევ უფრო დაიძაბა ბრძოლა. ყიზილ-ასლანი ყილიჩ-არსლანს მიუდგა, რომელიც დიდ სელჩუკთა სულთანმა მუჰამედმა დაამარცხა, ამის შემდეგ იგი ყიზილ

<sup>21</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი, გვ. 138-139.

<sup>22</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი, გვ. 139.

<sup>23</sup> ვარდან არეველცი, გვ. 134; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 34.

<sup>24</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 34.

არსლანსაც<sup>25</sup> გაუსწორდებოდა. გოჩა ჯაფარიძის აზრით – ამ ფაქტის მტკიცებას უნდა წარმოადგენდეს ვარდანის ცნობა, რომლის მიხედვით, მანუჩე შედადიანი წავიდა სპარსეთის მეფის კარზე, იქიდან წამოიყვანა ჯარი. დაბრუნებულმა დაამარცხა ხზლი (ყიზილ არსლანი) და მოკლა თავისი ძმის საფლაგზე. ყიზილ არსლანის შემოსევიდან რამდენიმე წლის შემდეგ სელჩუკთა შემოსევას კიდევ ჰქონდა ადგილი. ამ ცნობას იოანე სარკავაგის ისტორია შეიცავს, რომელიც სანაინის „ქდოთუკში“ არის დაწერილი. ცნობა 1110 წლით თარიღდება, რომლის მიხედვით, დავით კვირიკეს ძე იმავე წლის აგვისტოში სანაინის მონასტერში იმყოფებოდა, როდესაც მონასტერს უცაბედად „სპარსელები“<sup>26</sup> დაესხნენ“. ამ ფაქტიდან გამომდინარე გოჩა ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ – „ამ დროისათვის სულთან მუჰამედის მომხრეებმა დაიკავეს ლორე“<sup>27</sup>, როგორც ჩანს, შექმნილი სიტუაციის გამო დავითმა ძმასთან ერთად მიატოვა სამშობლო. მხითარ აირივანეცი წასვლის თარიღად 1111 წელს ასახელებს. სტეფანოს ორბელიანი კი 1113 წელს. მათზე დაყრდნობით, რ. მათეოსიანმა, ძმების გაქცევა 1111-1113 წლებით დაათარიღა, რაც იოანე სარკავაგის მიხედვით – სელჩუკთა მიერ მათი ქვეყნის დაპყრობამ განაპირობა.<sup>28</sup>

ამრიგად, დავითის, და აბასის გაქცევა მოხდა 1118 წლამდე, სანამ დავით აღმაშენებელი ლორეში გამოჩნდებოდა. კვირიკე II-ის შვილების თავიანთი სამფლობელოდან გაძევებას აღნიშნავს ზემოაღნიშნული მცირე ქრონიკაც. „უკანასკნელი ბაგრატუნი მეფეები“ – იმ განსხვავებით, რომ იგი ამის მიზეზად ქართველებს ასახელებს. ქრონიკის ცნობით, ძმების გაქცევის შემდეგ, „ძღვეამოსილმა ქართველთა მეფემ დავითმა დაიპყრო ბაგრატუნთა ყველა სამფლობელო და მრავალ მამაცურ გამარჯვებას მიაღწია სპარსელების“<sup>29</sup> წინააღმდეგ“. ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მეორე დედაქალაქი დავითმა სელჩუკებს წაართვა და არა სომხებს.<sup>30</sup> პროფ გოჩა ჯაფარიძის სამართლიანი შენიშვნით – კვირიკიანებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს დიდ სელჩუკებსა და დიარბეჰირის თურქმანებს და დათმეს სამეფო. ლორე დავით IV-მ თურქ-სელჩუკებსაგან გამოიხსნა, მისმა დაკავებამ საფუძველი მოუშადა მნიშვნელოვან ეტაპს დავით IV-ის საგარეო პოლიტიკაში, ბრძოლას თურქებთან ამიერკავკასიაში ჰეგემონიისათვის.<sup>31</sup>

შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1110 წელს სელჩუკთა შემოსევა და სანაინის დარბევა სელჩუკთა ერთგვარი საპროტესტო გამოძახილი იყო ქართველთა მიერ სამშვილდისა და „სომხითის“ სხვა ციხეების აღებისა. აკად. ივანე ჯა-

<sup>25</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი, გვ. 139.

<sup>26</sup> თურქ-სელჩუკები.

<sup>27</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 35.

<sup>28</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი, გვ. 139-140.

<sup>29</sup> თურქ-სელჩუკები.

<sup>30</sup> ქ. ქუთათელაძე. ქვემო ქართლი, გვ. 139-140.

<sup>31</sup> გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 36.

ვახიშვილის თქმით – „სამშვილდის აღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომ, რომ იგი ძლიერი ციხე იყო და სამხრეთით ტვილისს ამაგრებდა; სამხრეთის სავაჭრო გზაც ამ ქალაქზე მიდიოდა; ამას გარდა, როცა ქართველები ჩრდილოეთით და დასავლეთით მიმდგარნი ტვილისის სამხრეთიდგანაც შემოერთებოდნენ, მაშინ ტვილისის აღება ისე ძნელი აღარ იქნებოდა“.<sup>32</sup>

სამშვილდის აღება თურქ-სელჩუკებისთვის ისეთი მოულოდნელი იყო, რომ მათ „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამე მეოტ იქმნეს“.<sup>33</sup> ქვემო ქართლში, თავიანთი პოზიციების დაბრუნების მიზნით თურქთა უზარმაზარი ჯარი შემოსულა, სავარაუდოა, რომ სანაინის მონასტერი სწორედ ამ ჯარმა დაარბია. სელჩუკთა შემოსევის ამბავი მეფემ ნაჭარმაგევს შეიტყო. მან 1500 კაცით თრიალეთში სასტიკად დაამარცხა მტერი. ივანე ჯავახიშვილი ამ ლაშქრობას 1110-1112 წლებით ათარიღებს.<sup>34</sup> ქართველებმა ისარგებლეს წარმატებით და 1115 წელს აიღეს რუსთავი. ამის შემდეგ, 1118 წლის ივლისში, დავითმა ლორე და აგარანიც აიღო და ამით ძირითადად დაასრულა ქართული მიწების გაერთიანების საქმე. დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკთაგან გათავისუფლებული ტაშირ-ძორაგეტი უშუალოდ საქართველოს შემოუერთა და სომეხ ფეოდალ მმართველთა საგვარეულო გააუქმა.<sup>35</sup> თურქების ხელში მხოლოდ თბილისი და დმანისი დარჩა, რომელთათვის ბრძოლა დავითმა ასევე წარმატებით დაასრულა.

1118 წელს დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოსთვის შემოერთებული ლორე განსაკუთრებით სამხედრო მნიშვნელობის გამო სამეფო ხელისუფლებამ ქვეყნის ამირსპასალარის საჯდომ ციხედ იქცია.

ისტორიულად ქვემო ქართლის ეს მხარე, როგორც საქართველოს განაპირა ნაწილი, სამართავად სრულიად საქართველოს მხედართმთავრებს გადაეცათ – ჯერ ორბელებს, ხოლო 1185 წლიდან – მხარგრძელებს.<sup>36</sup>

ლორე მხარგრძელებს ეკავათ, მათ ხელში ლორეს სანაპირო ციხესიმაგრე და მისი მიდამოები დიდი სამთავრო გახდა. მაგრამ მონღოლთა შემოსევებმა უდიდესი დარტყმა მიაყენა. კირაკოზ განძაკეცის ცნობით – ლორეს ციხე აუღებელ ციხედ ითვლებოდა – „წარმართების“<sup>37</sup> ურდოს მხედართმთავარმა, რომლის სახელი იყო ჩაღათა, როდესაც გაიგო ქ. ლორეს სიმტკიცის შესახებ, გადაწყვიტა დაერბია იგი“. 1236 წელს მონღოლებმა ლორე აიღეს და

<sup>32</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 197.

<sup>33</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 331-332.

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 197.

<sup>35</sup> რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა. თბ. 1990, გვ. 167-168.

<sup>36</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 33.

<sup>37</sup> მონღოლები.



სასტიკად დაარბიეს.<sup>38</sup> XIV-XV საუკუნეებში ციხე-ქალაქი მნიშვნელოვნად დაქვეითდა (განსაკუთრებით თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად) და იგი გვიან შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი ციხის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ ლორეს ციხე ქვემო ქართლის ფორპოსტად ფუნქციონირებას შემდგომშიც აგრძელებს. თუ რამდენად მძიმე შედეგის მომტანი იყო ქართლის თავდაცვის-უნარიანობის კუთხით მისი დაკარგვა, ამაზე მეტყველებს შაჰ-აბას I-ის მიერ ქართლისთვის ლორეს წართმევა.<sup>39</sup>

თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ ალექსანდრე I (1412-1442 წწ.) საქართველოს ადრინდელი საზღვრების აღდგენას ცდილობდა. მან 1431 წელს ციხე-ქალაქი ლორე და ლორეს ველი შემოიერთა, რომელიც მანამდე თურქ-მან მომთაბარეებს ეპყრათ. დაახლოებით 1434-1435 შემოიერთა სივნიეთიც (ახლანდელი ყარაბაღი და მისი მეზობელი თემები). ამის შემდეგ ლორე მეფის სახასო იყო. ლორეში XIX საუკუნეში აღმოჩნდა განძი, რომელშიც 67 ქართული მონეტა იყო, მონეტების უმრავლესობა მოჭრილია ალექსანდრე I-ის სახელით და თარიღდება 1412 წლით. რამდენიმე მათგანი განეკუთვნება გიორგი VII-სა და კონსტანტინე I-ს. ლორის განძის ყველაზე გვიანდელი მონეტა 1426 წელს არის მოჭრილია, ე. ი. განძი ჩაფლულია 1426-ის შემდეგ.<sup>40</sup>

XVI საუკუნეში გაძლიერებულმა ოსმალეთმა აღმოსავლეთ ამიერკავკასია, მათ შორის ლორე და მისი მიდამოებიც დაიკავა. ხოლო ირანში გატარებული სამხედრო რეფორმების და დიდი მზადების შედეგად, 1603 წელს შაჰ აბას I-მა (1587-1629 წწ.) ოსმალეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. შაჰის მიზანი ირანის დაკარგული პოზიციების დაბრუნება და აღმოსავლეთ კავკასიიდან ოსმალების საბოლოო განდევნა იყო. ირან-ოსმალეთის ახალ ომში ქართლის მეფე გიორგი X (1600-1606 წწ.) და კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605 წწ.) იძულებულები იყვნენ შაჰ აბასის მხარეს ებრძოლათ. მანამდე – 1601 წელს გიორგი X-მ ოსმალთაგან ლორე გაათავისუფლა.<sup>41</sup> ომის დასაწყისში, პირველ ეტაპზე, შაჰ აბასმა ერევნის ციხის გათავისუფლება გადაწყვიტა, უზარმაზარი არმიით მივიდა და ერევნის ოსმალურ გარნიზონს ალყა შემოარტყა.

1604 წელს შაჰ აბასმა, ქართლის მეფე გიორგი X-მ და კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ ოსმალები, ერევანთან ომში, სასტიკად დაამარცხეს. ომში მონაწილეობისა და წარმატების გამო შაჰმა ქართველი მეფეები „უხვად“ დააჯილდოვა. გიორგი მეფეს ირანში სოფლები მისცა და 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა. სამაგიეროდ ლორე და მდინარე დებედას ხეობა გამოსთხოვა.<sup>42</sup>

<sup>38</sup> Киракос Гандзакечи. История Армении, გვ. 254.

<sup>39</sup> ჯ. კოპალიანი. ქვემო ქართლის თავდაცვითი სისტემა შუა საუკუნეებში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). თბ. 2008, გვ. 155.

<sup>40</sup> გ. დუნდუა, თ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწ. II. თბ. 2011, გვ. 82-83.

<sup>41</sup> გ. ჯამბურია. ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბ. 1973, გვ. 245.

<sup>42</sup> გ. ჯამბურია. ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები, გვ. 247.

„და შეუძნდა ფრიად და რამეთუ არა ეძლო უარი შააბაზისა და დაანება ლორე და დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ“.<sup>43</sup> ლორეში ლორის სახანო შეიქმნა, ხოლო მდ. დებედის ხეობაში თურქმანული ტომი ბორჩაღუ ჩამოასახლეს. იოანე ბატონიშვილის ცნობის მიხედვით, როდესაც შაჰმა ლორეში თავისი ჯარი დააყენა, „მუნებური მელიქი მივიდა წინაშე შააბაზისა და მიიღო მამადიანობა, რომლისათვის ჯილდოდ შააბაზმან გაათავადა და მისცა გვარად მელიქობად და მამული ლორის ხეობასა შინა სახასოთაგან მეფისა“.<sup>44</sup> ვახუშტიც ხაზს უსვამს, მელიქიშვილთა შაჰ-აბასის პერიოდიდან დაწინაურებას და მათ სომხურ წარმომავლობასაც და აღნიშნავს – მელიქიშვილი „არა არის გუარი, არამედ სომეხსა ვისმე პატივსცა შააბაზ გამოჰმადიანებისთვის“.<sup>45</sup>

ლორეს ციხესა და მდ. დებედის მთელი ხეობის დაპატრონებით ირანის მბრძანებელმა საქართველოს სამხრეთი კარის გასაღები ჩაიგდო ხელში. ამიტომ, რომ ვახუშტი ამ მომენტს გულისხმობს, როცა ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, თუ როგორ აიძულა შაჰ-აბასმა ქართლის მეფეს, დაეთმო ლორე. „შეუძნდა ესე ფრიად მეფესა და მიუგო: „ველოდი ჯილდოდ შენგან სხვასაცა ქალაქსა სამსახურისათვის მამისა ჩუენისა და არა მიხუმასა საზღვართა დამტარება ქართლისა... ამისთვის უფროს აიძულებდა, რათა მისცეს ლორე და გამოსვლისათვის ბერდუჯის მდინარისა“.<sup>46</sup>

ამით შაჰმა ქართლს სამხრეთის კედელი მოარღვია და მის თავდაცვისუნარიანობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. ქართველები საუკუნეთა მანძილზე თავგამოდებით იცავდნენ ამ მნიშვნელოვან ზღუდეს. შაჰ-აბასმა კი „მშვიდობიანად“ ჩაიგდო ხელში სტრატეგიულად დიდი მნიშვნელობის მხარე, ამის შემდეგ ქართლის დაცვის კედელი მის საწინააღმდეგო პლაცდარმად იქცა.

ლორემ თავისი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა XVIII საუკუნის ბოლოს საბოლოოდ დაკარგა.

ლორე თავისი მდებარეობით შუა საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე იყო ტაშირის ველზე და იგი სამხრეთიდან საქართველოს მთავარ ფორპოსტს წარმოადგენდა. თუ ლორეს ციხე ქართველთა ხელში იყო, ქვეყანა ფაქტობრივად, ყოველთვის დაცული იყო.<sup>47</sup>

აკად. ნიკო ბერძენიშვილის მიხედვით – ლორე ტაშირზე მეტატონე ციხე-

<sup>43</sup> ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 537.

<sup>44</sup> იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა. გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი. თბ. 1997, გვ. 34.

<sup>45</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 34-35.

<sup>46</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 156.

<sup>47</sup> ჯ. კოპალიანი. ქვემო ქართლის თავდაცვითი სისტემა შუა საუკუნეებში, გვ. 155.

სიმაგრე იყო. ტაშირი კი ის ქვეყანაა, საიდანაც მაშავერას თუ ქცია-ბერდუჯის ხეობაში არაერთი გზა შედიოდა. ამდენადვე, ტაშირზე მეტატონე ლორე ბუნებრივად კეტავდა საქართველოში შემომავალ ყველა კარს და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოსთვის, როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი ომების დროს.<sup>48</sup>

სტრატეგიულად კარგად შერჩეულ ადგილზეა დატანილი ციხის კარიბჭე, რომელიც გაღავნის კუთხეში, თავდასხმის შემთხვევაში რთულად მისადგომ ადგილას მდებარეობს. თავისი ადგილ-მდებარეობის გამო მოწინააღმდეგის მიერ დიდი ძალებით შეტევა შეუძლებელი იქნებოდა.

ლორეს ციხე ძალზე მოხერხებულ ადგილას, მაღალ სამკუთხა პლატოზე აუგიათ, რის გამოც დღემდე კარგად არის შენარჩუნებული. ლორეს ორი მხრიდან ხეობები (მაღალი კანიონები), ხოლო მესამე, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, ძლიერი გაღავნის, დაახლ. 500 მეტრზე გადაჭიმული, კედლის სისტემა იცავდა. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია პალატა, აბანო, ხაჩქარები, დაბლა ხეობაში ერთმადიანი თაღოვანი ხიდი. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის იარაღი, სამკაული, ჭურჭელი.

ლორეს ციხის ტერიტორია საკმაოდ დიდ ფართობს, დაახლ. 35 ჰა-ს მოიცავს. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილი ნაგებობის ნაშთი საყოფაცხოვრებო დანიშნულების უნდა იყოს, შესაძლოა, ეს არის კვირიკიანების ან მხარგრძელების პალატა. კარგად არის შემონახული ასევე აბანო.

2009 წელს სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ რამდენიმე მილიონი დრამი გამოყო ლორეს ციხის რესტავრაციისა და ტურისტულ ცენტრად გადაქცევისთვის.<sup>49</sup> ამჟამად მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები.


<sup>48</sup> ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ. 1966, გვ. 77.

<sup>49</sup> <http://newsarmenia.ru>

## ილუსტრაციები



ლორეს მდებარეობა (<http://maps.google.com>)



ლორეს ციხე (გეგმა)

## ფოტო ილუსტრაციები<sup>50</sup>



ლორე (პანორამა სამხრეთ-დასავლეთიდან)



ლორე (გალავანი)

---

<sup>50</sup> ავტორის ფოტოები (2011 წ.).



ღორე (გალავანი)



თაღვანი ხიდი მდ. მისხანის ხეობაში



ლორე (გალავანი და კარიბჭე)



ლორე (კარიბჭე ციხის შიგნიდან)



ღორე (პალატა)





ლორე (აბანო)



ლორე (აბანო, კედელში თიხის მილებით)

*Alexander Boshishvili*

**LORE**  
HISTORY AND CONTEMPORARY CONDITION

(Summary)

Lore fortress is situated in the republic of Armenia, marz (province) of Lore, several kilometres from city of Stepanavan.

In the second half of the 9<sup>th</sup> century Armenian Bagratunis began to fight for the lands of Kvemo Kartli. Finally in the 970's Kvirike from Armenian Bagratuni dynasty established the Kingdom of Tashir-Dzorageti. The population of the Kingdom was Georgian but with Armenian government. City of Lore was founded by David son of Kvirike in 1020's.

Georgian kings were struggling for the re-establishment of Georgian rule in Kvemo Kartli. Georgian king Bagrat IV succeeded in capturing Samshvilde – the capital city of Tashir-Dzorageti Kingdom. Lore became the new capital city of Tashir-Dzorageti.

After several invasions of Turk-Seljuks in 1111-1113, king of Tashir-Dzorageti David II and his brother Abbas were forced to flee from the country, but in 1118 David the Restorer liberated Lore and united it with Georgia. David bestowed Lore to *amirspasalari* (commander-in-chief of Georgian army). From 13<sup>th</sup> century Lore was conquered by several invaders, including the Mongols, Tamerlane, etc. Lore was liberated by king Alexander I and from that period Lore and surrounding territories belonged to the royal domain. But in the 18<sup>th</sup> century Lore lost its importance.

Lore fortress was located in the strategic and high triangular plateau, which is surrounded by high canyons from both sides. From the north-west side of the fortress high and strong fortification was erected for the protection of Lore. The length of the wall is approximately 500 meters.

Lore was one of the most important fortresses in the medieval Tashiri Valley. It was the major fortification in the South of Georgia. When Lore was under Georgian control, the country was almost secured.

The area that covers the fortress itself includes dwelling apartments, bath-houses, and khachkars. Dawn in the valley arch bridge was constructed. Weapons, pottery, and precious adornments are discovered in the area of the fortress.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა.  
თბილისი. 2012

*ნიკო ჯავახიშვილი*

## **მეფე დავით IV აღმაშენებლის ასახვა ქართულ სახელმწიფო და სამხედრო სიმბოლიკაში (XVIII-XX საუკუნეები)**

წინამდებარე გამოკვლევაში შესწავლილია, თუ როგორ აისახა მოცემული პერიოდის ქართულ სახელმწიფო და სამხედრო სიმბოლიკაში და შესაბამის პროექტებში საქართველოს უდიდესი გვირგვინოსანი, ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის უწარჩინებულესი წარმომადგენელი – მეფე დავით IV აღმაშენებელი (1073-1125).

სტატია შედგება ოთხი ქვეთავისაგან: I. დავით აღმაშენებლის ორდენის პირველი პროექტი (1799 წ.); II. დავით აღმაშენებლის ორდენის მეორე პროექტი (1954 წ.); III. დავით აღმაშენებლის ორდენი (1992 წ.); IV. საქართველოს ეროვნული ბანკის 500-ლარიანზე გამოსახული დავით აღმაშენებლის პორტრეტი (1995 წ.).

აქვე უნდა ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის პორტრეტი გამოსახული იყო თვით ამ მონარქის მეფობის უკანასკნელ პერიოდში, კერძოდ, 1118-1125 წლებში მოჭრილ სპილენძის მონეტაზე,<sup>1</sup> თუმცა ეს ფაქტი უკვე სცილდება წინამდებარე ნარკვევის ქრონოლოგიურ ჩარჩოს.

\* \* \*

### **I. დავით აღმაშენებლის ორდენის პირველი პროექტი (1799 წ.)**

დავით აღმაშენებლის სახელობის სახელმწიფო ჯილდოს დაწესება და მასზე ამ მეფის პორტრეტის გამოსახვა საქართველოში პირველად XVIII საუკუნის მიწურულს გადაწყდა.

აღნიშნული პროექტის ავტორი გახლდათ უფლისწული იოანე გიორგის ძე ბაგრატიონი (1768-1830 წწ.), რომელიც იყო გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, არტილერიის სარდალი (ფელცეხმაისტერი),

<sup>1</sup> თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი (ავტორთა კოლექტივთან ერთად). უფლი საქართველოში. მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბ. 2003, გვ. 29.

ხოლო იმავდროულად – მეცნიერი, იურისტი, მწერალი, ენციკლოპედისტი და ლექსიკოგრაფი.

უფლისწული იოანე იყო ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის მეორე ვაჟი, მომდევნო ძმა სამეფო ტახტის მემკვიდრისა – დავით ბაგრატიონისა (1767-1819 წწ.).

1799 წლის 10 მაისს უფლისწულმა იოანემ თავის გვირგვინოსან მამას წარუდგინა ქართლ-კახეთის სამეფოში აუცილებლად გასატარებელი რეფორმების პროექტი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით – „სჯულდება“.<sup>2</sup>

„სჯულდება“ ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლია XVIII საუკუნის მიწურულის საქართველოს პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების, ქართული სამართლის, განათლების სისტემის, ეკონომიკის, მეურნეობისა და სამხედრო წყობილების შესასწავლად.<sup>3</sup>

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობის მოდერნიზაციასა და ევროპეიზაციას. მის ავტორს სათანადოდ ჰქონდა გაცნობიერებული საქართველოში იმხანად შექმნილი ვითარების სირთულე და ამ მდგომარეობიდან გამოსავალს რეფორმათა მთელი სისტემის განხორციელებაში ხედავდა.

„სჯულდებაში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართული სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების შექმნის პროექტს. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების წესი მანამდე საქართველოში არ არსებობდა. სამაგიეროდ, უძველესი დროიდან იყო მიღებული დამსახურებული პირების დაჯილდოება: თავადისა და აზნაურის მემკვიდრეობითი წოდებით, ყმობიდან განთავისუფლებით (თავისუფალ გლეხად ჩარიცხვით), ყმებითა და მამულით (მიწის ნაკვეთი), ასევე ძვირფასი საბრძოლო იარაღით, ჯიშინი ცხენით და სხვ. მათგან განსაკუთრებით მდიდარი იყო იარაღით დაჯილდოების ტრადიცია, ვინაიდან ქართველ ერს არსებობისათვის გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ 1799 წლისათვის საქართველოს უშუალო მეზობლებსაც, გარდა რუსეთისა, არ ჰქონდათ სახელმწიფო ჯილდოები – ორდენებისა და მედლების სახით. ამ ტიპის ჯილდოები მხოლოდ ხსენებულ წელს შემოიღეს ოსმალეთში, ხოლო სპარსეთში – 1808 წელს.

იოანე ბაგრატიონი ცდილობდა ზემოხსენებული სიახლის საქართველოში დანერგვას. სწორედ ამიტომ, „სჯულდებაში“ ჩამოთვლილ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ რეფორმათა პროექტებს შორის ეროვნულ ჯილდოთა დაწესების იდეა მან სათანადო ადგილზე საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად განიხილა.

საგულისხმოა, რომ პროექტში მისმა ავტორმა არა მხოლოდ ჩამოთვა-

<sup>2</sup> ი. ბაგრატიონი. სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). ი. სურგულაძის გამოცემა. თბ. 1957.

<sup>3</sup> გ. ნადარეიშვილი. იოანე ბატონიშვილის სჯულდება. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე). ტ. 5. თბ. 1980, გვ. 188-189.

ლა დასაწესებელი წარჩინების ნიშნების სახელწოდებები, არამედ დეტალურად აღწერა თითოეული მათგანის გარეგნული სახე.<sup>4</sup>

იოანე ბაგრატიონი საჭიროდ მიიჩნევდა დაწესებულიყო შემდეგი დასახელების სახელმწიფო ჯილდოები:

- I. წმ. ნინო კაპადოკიელის ორდენი – I და II ხარისხის.
- II. წმ. დავით აღმაშენებლის ორდენი – I, II და III ხარისხის.
- III. წმ. ქეთევან დედოფლის ორდენი – I და II ხარისხის.
- IV. წმ. მეფეების არჩილისა და ლუარსაბის მედალი.
- V. წმ. გიორგის მედალი.
- VI. საპატიო ხმალი.

ქართულ სახელმწიფო ჯილდოთა დაწესების ხსენებული კონცეფცია განხილული გვაქვს ჩვენს ნაშრომში „ქართული ფალერისტიკა“<sup>5</sup>, რომელშიც მონოგრაფიულად შევისწავლეთ ეროვნული ჯილდოთმცოდნეობის საკითხები. ამის გამო, ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ წმ. დავით აღმაშენებლის ორდენსა და საპატიო ხმალზე.

**წმ. დავით აღმაშენებლის ორდენზე** უნდა გამოსახულიყო ხატება ხსენებული მეფისა, რომელიც უდიდესი დამსახურებისათვის ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. ჯილდო უნდა ჩასმულიყო ვარსკვლავში. მასზე უნდა ყოფილიყო ზედწერილი: „მამულის, მხნეობისა და თავდადებისათვის“.

I ხარისხის ორდენს უნდა ჰქონოდა მხარზე გადასაკიდებელი თეთრარშიაშემოვლებული წითელი საორდენო ლენტე. II ხარისხის ორდენი განკუთვნილი იყო ყელზე ჩამოსაკიდებლად, ხოლო III ხარისხისა – მკერდზე.

ჯილდოთა გადაცემა უნდა მომხდარიყო ვაჟკაცობისათვის – წყალობის სიგელთან ერთად, სადაც აღინიშნებოდა დაჯილდოებულის ღვაწლი.

ეს ორდენი შეიძლებოდა გადაეცათ როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებისათვისაც, რომელთათვისაც განკუთვნილი იყო II ხარისხის ორდენი.

**„საპატიო ხმალზე“** უნდა ამოეტვიფრათ წმ. დავით აღმაშენებლის ორდენის მსგავსი ლეგენდა: „მამულის, მხნეობისა და თავდადებისათვის“. აქვე უნდა ითქვას, რომ საპატიო ხმლის, როგორც ჯილდოს, ერთ-ერთი სახეობა საბრძოლო დამსახურების ან მხედრული მამაცობისათვის, არსებობდა მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში და მათ შორის საქართველოშიც, რის შესახებაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

„სჯულდებიდან“ ნათლად ჩანს, რომ იოანე ბაგრატიონი კარგად იცნობდა იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოების ჯილდოთა სისტემას. ამაზე მეტყველებს სათითაოდ აღწერილი თითოეული დასაწესებელი ჯილდოს გარეგნული სახე, ასევე მკაფიოდ გამოკვეთილი იერარქია, სადაც განსაზღვრულია, თუ ვის რა დამსახურებისათვის უნდა გადასცემოდა ესა თუ ის წარჩი-

<sup>4</sup> ი. ბაგრატიონი. სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), გვ. 22-23.

<sup>5</sup> ნ. ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა). თბ. 1995, გვ. 11-15.

ნების ნიშანი, ანდა როგორ უნდა ეტარებინათ ისინი.

პროექტში თვალშისაცემია მომავალ ქართულ ჯილდოთა რელიგიური დატვირთვა. ყველა წარჩინების ნიშანი წმინდანის სახელობის უნდა ყოფილიყო. თვით საპატიო ხმლის ვადაზეც უნდა ამოტვიფრულიყო წმ. დავით აღმაშენებლის სახელი. ამით უფლისწულმა იოანემ პატივი მიაგო საქართველოში ძველი დროიდან არსებულ ტრადიციას, რომლის თანახმადაც ქართველის თვითშეგნებაში ქრისტიანული სარწმუნოება გაიგივებული იყო ქართველობასთან. იმავდროულად, პროექტის ავტორი დაეყრდნო იმ გამოცდილებას, რომელიც არსებობდა იმდროინდელ ქრისტიანულ ქვეყნებში.

ამრიგად, ქართულ ჯილდოთა დაწესების იოანე ბაგრატიონისეული კონცეფცია ჭეშმარიტად დიდმნიშვნელოვან წამოწყებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ამ პროგრესული სახელმწიფოებრივი ღონისძიების განხორციელება ვერ მოხერხდა.<sup>6</sup>

1800 წლის 28 დეკემბერს თბილისში გარდაიცვალა მეფე გიორგი XII. ამ დღიდან 1801 წლის ივნისამდე ქართლ-კახეთს განაგებდა ტახტის მემკვიდრე – უფლისწული დავით გიორგის ძე ბაგრატიონი (1767-1819). იგი სამეფოს მართავდა როგორც გამგებელი და არა როგორც მეფე, რადგან სათანადო დამტკიცებას, გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის პირობების თანახმად, რუსეთის იმპერატორისაგან ელოდა.

1800 წლის 18 დეკემბერს, ჯერ კიდევ გიორგი XII-ის სიცოცხლეში, იმპერატორმა პავლე I-მა ხელი მოაწერა საიდუმლო მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ. ანალოგიური შინაარსის მანიფესტი 1801 წლის 12 სექტემბერს გამოსცა რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა. ამით გვირგვინოსანმა მამა-შვილმა რომანოვებმა უხეშად დაარღვიეს ქართველ მეფეთათვის დოკუმენტურად მიცემული პირობა ქართული სახელმწიფოს ავტონომიური უფლებების შენარჩუნების შესახებ.

1803 წელს რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ სანკტ-პეტერბურგში იძულებითი წესით გადაასახლა ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა უმეტესობა, რომელთა შორისაც უფლისწული იოანეც იყო. იგი გარდაიცვალა 1830 წლის 15 თებერვალს და დაკრძალულნი არიან სანკტ-პეტერბურგში, წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში, სადაც ბაგრატიონთა დინასტიის არაერთი წარმომადგენელი განისვენებს.

ამრიგად, დავით IV აღმაშენებლის სახელობის ქართული სახელმწიფო ჯილდოს დაწესება და მასზე ხსენებული მეფის გამოსახვა ჯერ კიდევ 1799 წელს გადაწყდა. ამ პროექტის ავტორი გახლდათ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი, უფლისწული იოანე გიორგის ძე ბაგრატიონი (1768-1830 წწ.). მის მიერ შედგენილ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტში – „სჯულდება“ სათანადო ადგილი დაეთმო ქართუ-

<sup>6</sup> ნ. ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), გვ. 15.

ლი სახელმწიფო ჯილდოების შემოღების პროექტსაც, რომლითაც გათვალისწინებული იყო წმ. დავით აღმაშენებლის ორდენის დაწესებაც. ეს იყო დავით აღმაშენებლის ორდენის რიგით პირველი პროექტი.

## II. დავით აღმაშენებლის ორდენის მეორე პროექტი (1954 წ.)

დავით აღმაშენებლის ორდენის მორიგი პროექტი შეიქმნა XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, ქართული ემიგრაციის ცნობილი მოღვაწის, შალვა მაღლაკელიძის (1894-1976 წწ.), ხელმძღვანელობით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაფუძნებული სამხედრო ორგანიზაციის ინიციატივით.<sup>7</sup>

აქვე დავსძენთ, რომ შ. მაღლაკელიძე იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწე, ახალციხის, თბილისის და ბოლოს აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი. საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, ის იძულებული გახდა, რომ ემიგრაციაში გახიზნულიყო. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ლატვიაში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, გერმანიაში. პრადის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. II მსოფლიო ომის პერიოდში იყო გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო კონსულტანტი ობერსტის (პოლკოვნიკი) წოდებით. სათავეში ედგა გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შექმნილ ქართულ სამხედრო შენაერთს – „ქართულ ლეგიონს“. 1944 წლის მაისში ქართველთაგან ერთადერთს მიენიჭა ვერმანის გენერალ-მაიორის წოდება. ომის დასრულების შემდეგ სამხედრო მრჩეველად მსახურობდა ჯერ პაკისტანის არმიის მთავარსარდალ მუჰამედ აიუბ-ხანთან (მომავალში – პრეზიდენტი), ბოლოს კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ კონრად ადენაუერთან. 1954 წლის აგვისტოში დასავლეთ ბერლინიდან მოიტაცეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებმა. ცხოვრობდა თბილისში. მსახურობდა ადვოკატად და იურისკონსულტად. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

1954 წლის 26 იანვარს ქალაქ მიუნხენში შ. მაღლაკელიძის თავმჯდომარეობით შეიქმნა ორგანიზაცია „ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში“. მის მდივნად აირჩიეს გრიგოლ ავალიანი, ხოლო საქმეთა მმართველად – გაიოზ მაღლაკელიძე (1920-1989) – ვაჟი შალვა მაღლაკელიძისა.

ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებთან ერთად ამ ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ: დავით პეკურიძე, ალექსანდრე ბაღათურია, ანდრო მოსიძე და სხვა ქართველი ემიგრანტები.

აღნიშნული ორგანიზაცია ისახავდა შემდეგ ძირითად მიზნებს:

1. აღენუსხა ემიგრაციაში მყოფი ქართველი სამხედრო პირები;

<sup>7</sup> ნ. ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), გვ. 63-67.

2. დახმარებოდა ომის შედეგად დაჭრილ და დასახინრებულ ქართველ სამხედრო პირებს;

3. მოეძიებინა ომში დაღუპული ქართველი სამხედრო პირების საფლავები და მოეწყო მათთვის;

4. დაედგინა დაღუპულ ქართველ სამხედრო პირთა ვინაობა და მათი საფლავები, რათა ეს ინფორმაცია მიეწოდებინა მათი მშობლებისა და ახლო ნათესავებისათვის, რომელთა ძირითადი ნაწილიც იმხანად სსრ კავშირის შემადგენლობაში მყოფ საქართველოში ცხოვრობდა.

დარაზმულობამ შეადგინა მოწოდება ემიგრაციაში მცხოვრები ქართველი სამხედრო პირებისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „მას შემდეგ, რაც უკანასკნელ წლებში გერმანიაში და სხვა თავისუფალ სახელმწიფოებში დაარსდა მხედართა ორგანიზაციები, ქართველ მხედართა გაერთიანებაც ფრიად სასურველი შეიქმნა...

ქართველ მხედართა დარაზმულობა არის პარტიების გარეშე მყოფი ორგანიზაცია და მის წევრად შეუძლია იყოს თითოეული ქართველი მხედარი, რომელსაც მოქმედებით ომში თუ მშვიდობიანობის დროს დაუმტკიცებია ღირსეული მამულიშვილობა და, აგრეთვე, ისიც, ვინც იზიარებს პრინციპებს და ტრადიციებს ქართული მხედრობისას...

ვაცნობებთ რა ქართველ მხედრებს დარაზმულობის დაარსებას, სიყვარულითა და პატივით მივმართავთ მათ მოწოდებით, ჩაეწერონ უკვე არსებულ ორგანიზაციაში, თავზე აიღონ ჩვენთან ერთად კეთილშობილური საქმე და მოვალეობანი; მით ღირსნი გავხდეთ ვიგრძნოთ თავი დაახლოებულად ჩვენს საყვარელ სამშობლო საქართველოსთან“.<sup>8</sup>

ქართველ მხედართა დარაზმულობამ შეიმუშავა ქართულ სამხედრო ჯილდოთა პროექტები. მათ შორის იყო დავით აღმაშენებლის ორდენის, წმ. გიორგისა და ქართული ლეგიონის მედლების პროექტები.

ვინაიდან ზემოხსენებული პროექტები განხილული გვაქვს ჩვენს ნაშრომში,<sup>9</sup> ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ დავით აღმაშენებლის ორდენის პროექტზე.

ხსენებული ორდენის საფუძველს წარმოადგენდა ჯვარი, ზედ გადაჯვარედინებული უქარქაშო ხმლებითა და ცენტრში მოთავსებული მედალიონით.

მედალიონს ამშვენებდა გელათის ტაძრის ფრესკიდან გადმოღებული დავით აღმაშენებლის პორტრეტული ხატების ფრაგმენტი (წელს ზემოთ). პორტრეტს ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა მხედრული ზედწერილი – „საქართველო“.

ქართველ მხედართა დარაზმულობის მიერ შედგენილი დავით აღმაშენებლის ორდენისა და წმ. გიორგის მედლის პროექტები წარმოადგენდა სიმ-

<sup>8</sup> ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ. თბ. 1994, გვ. 588-590.

<sup>9</sup> ნ. ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), გვ. 63-67.



ბოლურ გაგრძელებას უფლისწულ იოანე ბაგრატიონის მიერ 1799 წელს წამოყენებული იდეისა ანალოგიური დასახელების ჯილდოების დაწესების თაობაზე.

მართალია, ხსენებული პროექტები ვერ განხორციელდა, მაგრამ ქართულ სამხედრო ჯილდოთა დაწესების ცდა თითქმის ექვსი ათეული წლის წინათ გერმანიის ქალაქ მიუნხენში ფრიად საყურადღებო ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს. ეს იყო დავით აღმაშენებლის ორდენის რიგით მეორე პროექტი. პირველისაგან განსხვავებით, იგი ემიგრაციაში შეიქმნა.

### III. დავით აღმაშენებლის ორდენი (1992 წ.)

1990 წლის შემოდგომაზე არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სცადა შემოეღო სახელმწიფო ჯილდოები.

1991 წლის 8 თებერვალს პრესაში განსახილველად გამოქვეყნდა კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“. სხვა სახელმწიფო ჯილდოებთან ერთად, კანონპროექტში გათვალისწინებული იყო დაწესება საქართველოს უმაღლესი ჯილდოსი – დავით აღმაშენებლის ორდენისა (I და II ხარისხის).<sup>10</sup>

ეს იყო დავით აღმაშენებლის ორდენის რიგით მესამე პროექტი, რომელიც კვლავ ვერ განხორციელდა.<sup>11</sup>

1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა საკმაო ხნით შეაფერხა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების შემოღება.

1992 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“, რომლის თანახმადაც, სხვა დასახელების ორდენებთან და მედლებთან ერთად, დაწესდა დავით აღმაშენებლის ორდენი, როგორც უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო. ეს იყო ამ სახელწოდების ორდენის დაწესების რიგით მეოთხე ცდა, რომელიც იმჯერად შედეგიანი აღმოჩნდა.

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დებულებაში“ ვკითხულობთ: „დავით აღმაშენებლის ორდენით ჯილდოვდებიან სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი ქართველი ერის წინაშე უდიდესი ღვაწლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აღორძინების, საზოგადოების კონსოლიდაციის, დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის“.<sup>12</sup>

დავით აღმაშენებლის ორდენის ესკიზის ავტორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ცნობილი მხატვარი ემირ ბურჯანაძე. მისი ესკიზის მი-

<sup>10</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. თბ. 1991. № 26.

<sup>11</sup> ნ. ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), გვ. 51-53.

<sup>12</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. თბ. 1992. № 262.

ხედვით ეს ორდენი დამზადდა საქართველოს ეროვნულ ზარაფხანაში ოქროსაგან.

უცნაურია, თუმცა ფაქტია, რომ დავით აღმაშენებლის ორდენზე არ არის მისი პორტრეტული გამოსახულება. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ორდენის (ისევე როგორც სხვა ჯილდოების) შექმნის პროცესში არ იქნა გათვალისწინებული ქართულ ჯილდოთა ძველი პროექტები, რომელთაც თავის დროზე განხორციელება არ ელირსა.<sup>13</sup>

ყოველივე ზემოთქმულმა უარყოფითად იმოქმედა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების როგორც სისტემაზე, ასევე მათ გარეგნულ მხარეზეც.

ემირ ბურჯანაძის შეფასებით, მის მიერ შექმნილი ესკიზების მიხედვით დამზადებული ქართული ჯილდოების (და მათ შორის დავით აღმაშენებლის ორდენის) აგებულების ზოგად საფუძვლად იქცა „მრავალწახნაგა, ჯვარგუმბათოვანი ფორმა“ და ასევე ქართული დამწერლობა.<sup>14</sup>

ესკიზის ავტორისავე განმარტებით, დავით აღმაშენებლის ორდენი წარმოადგენს მრგვლოვან სილუეტს, რომელზეც გამოკვეთილია რომბის ფორმა. რომბის წრიულ ჩაღრმავებაში დევს დავით აღმაშენებლის ქარაგმა „დ-თ“ ასო „ანიო“ (აღმაშენებელი) შემოწერილი. ქარაგმას თავზე ადგას სამეფო გვირგვინი, ორდენში ჰორიზონტულ ღერძზე დევს რვაქიმიანი, აღმასის-თვლიანი ვარსკვლავი.

ორდენი ყუნწით მოძრავად უკავშირდება ოქროს ფირფიტისაგან დამზადებულ სამაგრს. რომბი ქართულ სიმბოლიკასა და საეკლესიო მხატვრობაში მამა-ღმერთის ნიშანია, რომელსაც ხშირად იისფერი ტონალობით გამოხატავენ. ამის გამო სამაგრზე გადაკრულ საორდენო ბაფთის თეთრ ფონზე გამოხატულია ძირითადი ოქროს ფერი, დავით აღმაშენებლის მეფობის ოქროს ხანის აღსანიშნავად, ხოლო მას ორივე მხარეს თან ახლავს იისფერი ხაზები.<sup>15</sup>

დავით აღმაშენებლის ორდენის ჯერჯერობით ერთადერთი კავალერია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ამრიგად, 1990 წლის შემოდგომაზე არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სცადა შემოეღო სახელმწიფო ჯილდოები და მათ შორის დავით აღმაშენებლის ორდენიც, თუმცა ეს ჩანაფიქრი იმხანად ვერ განხორციელდა.

1992 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“, რომლის თანახმადაც, სხვა დასახელების ორდენებთან და მედლებთან

<sup>13</sup> ნ. ჯავახიშვილი. ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), გვ. 59.

<sup>14</sup> შ. მაჭარაშვილი. ქართული ორდენები და მედლები მზადდება. გაზეთი „აბჯარი“. (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჩანართი). თბ. 1993. № 15.

<sup>15</sup> შ. მაჭარაშვილი. ქართული ორდენები და მედლები მზადდება.

ერთად, დაწესდა დავით აღმაშენებლის ორდენი, როგორც უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო. ეს იყო ამ სახელწოდების ორდენის დაწესების რიგით მეოთხე ცდა, რომელმაც ორი საუკუნის განმავლობაში პირველად შედეგი გამოიღო.

#### **IV. საქართველოს ეროვნული ბანკის 500-ლარიანზე გამოსახული დავით აღმაშენებლის პორტრეტი (1995 წ.).**

1995 წლის 25 სექტემბრიდან მიმოქცევაში გამოვიდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ბილეთები სახელწოდებით – „ლარი“ და მონეტები, სახელწოდებით – „თეთრი“. მათი ესკიზების ავტორები იყვნენ მხატვრები: ნოდარ და ბაჩა მალაზონიები.

2 ოქტომბრიდან ლარი საქართველოში ერთადერთ კანონიერ საგადასახდლო საშუალებად გამოცხადდა. მან ჩაანაცვლა დროებითი, შუალედური ვალუტა – საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონი, რომელიც 1993 წლის აპრილიდან მიმოქცეოდა.

1995 წელს მიმოქცევაში გამოშვებულ ბანკნოტებს შორის იყო: 1, 2, 5, 10, 20, 50 და 100-ლარიანი კუპიურები. მოგვიანებით, (2007 წლიდან) მათ დაემატა 200-ლარიანიც.

სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის – ლარის შემოდებით ქართული ფულის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო.<sup>16</sup>

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულ ბანკნოტებზე გამოსახულ მოღვაწეთა თანამიმდევრობის განსაზღვრის პროცესში დაშვებულ იქნა ფრიად დასანანი შეცდომები. ყოველივე ამის შედეგად მიმოქცევაში ვერ გამოვიდა 500-ლარიანი ბანკნოტი, რომელზედაც გამოსახული იყო ყველა დროის ქართველ მეფეთა შორის ყველაზე გამორჩეული გვირგვინოსანი – დავით აღმაშენებელი.

მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული შეცდომის გამოსწორება არც მომავალშია დაგვიანებული. აღნიშნულ საკითხს მიუუძღვენით საგანგებო სტატია, რომელშიც წარმოვადგინეთ საქართველოს თანამედროვე ფულადი ნიშნების (როგორც ბანკნოტების, ასევე მონეტების) გარეგნული სახის რეფორმირების ჩვენეული თვალსაზრისი.<sup>17</sup>

მართალია, 500-ლარიანი ბანკნოტი მიმოქცევაში არ გამოსულა, მაგრამ მისი ფოტო და აღწერილობა ოფიციალურად გამოქვეყნდა.

ამ ბანკნოტის ზომებია: 142 X 67 მმ. კუპიურის ავერსზე, ცენტრში გა-

<sup>16</sup> ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტისტიკა (ქალაქის საფასთმცოდნეობა). თბ. 1996, გვ. 167.

<sup>17</sup> ნ. ჯავახიშვილი. საქართველოს თანამედროვე ფულადი ნიშნების გარეგნული მხარის რეფორმირებისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. III. თბ. 2011, გვ. 375-384.

მოსახულია გელათის ტაძრის ფრესკიდან გადმოღებული დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულების ფრაგმენტი (წელს ზემოთ). ბანკოტის მარჯვენა ქვედა კუთხეში აღბეჭდილია ციფრი – 500, ხოლო ზედა მარჯვენა მონაკვეთში – ბორჯღალი. ზედა მარცხენა მხარეს არის ვერტიკალური წარწერები: „საქართველოს რესპუბლიკა, საქართველოს ეროვნული ბანკი 1995, ხუთასი ლარი“.<sup>18</sup>

ამრიგად, 1995 წელს, საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა ბანკოტებთან ერთად, დამზადდა 500-ლარიანი კუპიურებიც, რომელთაც დავით აღმაშენებლის გამოსახულება ამშვენებს.

---

<sup>18</sup> ნ. ჯავახიშვილი. ქართული ბონისტოკა (ქაღალდის საფასომცოდნეობა), გვ. 165.




**უფლისწული იოანე ბაგრატიონი  
(1768-1830 წწ.)**

დავით აღმაშენებლის ორდენის პირველი პროექტის ავტორი (1799 წ.)



**შალვა მაღლაკელიძე  
(1894-1976 წწ.)**


დავით აღმაშენებლის ორდენის მეორე პროექტის შექმნის ინიციატორი (1954 წ.)



დავით აღმაშენებლის ორდენის ესკიზი  
(1954 წ.)



დავით აღმაშენებლის ორდენი (1992 წ.)



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული 500-ლარიანი ბანკნოტი (1995 წ.)

*Niko Javakhishvili*

**GEORGIAN STATE AND MILITARY SYMBOLICS OF THE 18<sup>TH</sup> - 20<sup>TH</sup> CC.  
REPRESENTING KING DAVID IV THE BUILDER (“AGMASHENBELI”)**

(Summary)

In this work we study the Georgian state and military symbolics, representing David IV the Builder (1089-1125), the great Georgian monarch, prominent representative of the millennial royal dynasty of Bagrationi.

The article is comprised of four sections:

**I. The first project of order of David the Builder (1799);**

**II. The second project of order of David the Builder (1954);**

**III. Order of David the Builder (1992);**

**IV. Portrait of David the Builder depicted on 500 lari paper currency of the National Bank of Georgia (1995).**

In Georgia first in 1799 it was decided to establish state decoration of David the Builder representing effigy of this monarch. Prince *Ioanne Bagrationi* (1768-1830), a prominent Georgian statesman, military leader and scholar, son of king Giorgi XII, was author this project.

His project of the state reforms in the kingdom of Kartli and Kakheti (“Sjuldeba”) envisioned the introduction of the Georgian decorations, including the establishment of order of St. David the Builder.

Yet, another project of order of David the Builder was developed in 1954, by general *Shalva Maghlakelidze* (1894-1976), the well-known public figure of the Georgian emigration, and on the initiative of the military organization founded in Munich.

Supreme Council of the Georgian Republic, which was elected in the autumn 1990, attempted to introduce state decorations, including order of David the Builder. However, this intention was not implemented at that time.

On December 24, 1992 the Parliament of Georgia passed law “on establishing the state decorations of Republic of Georgia”. According to this law, order of David the Builder was established along with other orders and medals.

This was the fourth attempt of establishing of this order, which turned to be successful.

National Bank of Georgia ordered to issue 500 lari denominations along with other banknotes, the former being decorated with the portrait of David the Builder.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება:  
დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა  
თბილისი. 2012

## მიხეილ ქართველიშვილი

### დავით აღმაშენებელი ქართულ მეცნიერებაში. ბიბლიოგრაფია<sup>1</sup>

1. ვ. აბაშმაძე. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 1969. 533 გვ. პირთა, გეოგრაფიულ სახელთა, ტერმინთა და საგანთა საძიებლები: გვ. 518-531. რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე.

*მონოგრაფიაში განხილულია დავით აღმაშენებლისა და ყუთლუ არსლანის მოძღვრებანი სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, ავტორი ეყრდნობა ჩვენამდე მოღწეულ ყველა ქართულენოვან წყაროს და მათი მეშვეობით ცდილობს გამოკვეთოს ამ ორი მოღვაწისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური აზროვნების ფორმები.*

2. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი. პარიზი. 1929. 158 გვ.

*ნაშრომში ქართულ და ევროპულ წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია ქართველთა ურთიერთობები ჯვაროსნულ სამყაროსთან, მათი მონაწილეობის საკითხი დიდგორის ბრძოლაში.*

3. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1989. 113 გვ.

*ნაშრომი წარმოადგენს ზურაბ ავალიშვილის მიერ 1929 წელს გამოცემული ამავე სათაურის წიგნის მეორე შემოკლებულ გამოცემას.*

<sup>1</sup> ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს ე.წ. პერსონალური ბიბლიოგრაფიები, როდესაც ხდება ამა თუ იმ მოღვაწის მიერ და/ან მასზე დაწერილი ნაშრომების აღწერა. წინამდებარე ბიბლიოგრაფიაში შესულია საქართველოს უდიდესი მეფის, დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.), ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ დაწერილი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ქართულენოვანი წიგნადი გამოცემები. ჩვენ შევეცადეთ, ბიბლიოგრაფია მაქსიმალურად სრულყოფილი ყოფილიყო, თუმცა, ბუნებრივია, იგი დაზღვეული არ იქნება გარკვეული ნაკლოვანებისგან. შემდეგნეული მადლიერებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას. ბიბლიოგრაფია შედგენილია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მონაცემების მიხედვით.



4. ხ. ამაღლობელი. დავით აღმაშენებელი საქართველოს სულიერი ერთიანობის სიმბოლო. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 2002. 19 გვ.

*ავტორი იზიარებს რა ქართველი ისტორიკოსებისა და ფილოსოფოსების ვარაუდებს დავით აღმაშენებელზე, როგორც მეფე-ხუცეზე და გრაალის მცველზე, ცდილობს აღნიშნული მოსაზრება შეამაგროს წყაროთა ახლებული ინტერპრეტაციით.*

5. ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა X-XIII სს. თბილისი. მეცნიერება. 1983. 231 გვ.

*ნაშრომში შესწავლილია XI-XIII საუკუნეების საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, უწყებრივი სტრუქტურა და სამოხელეო აპარატი. დადგენილია და დაზუსტებულია სამოხელეო თანამდებობათა ფუნქციები, მათი ჩამოყალიბების დრო და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.*

6. ი. ანთელავა. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბილისი. მეცნიერება. 1988. 159 გვ.

*ნაშრომში შესწავლილია XI-XIV საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები, კერძოდ, მასში მოცემულია ცდა, დადგინდეს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობა და ასევე, მისი კონცეფცია „ლიპარიტ ამირას“ შესახებ.*

7. ი. ანთელავა. დავითისა და თამარის სახელმწიფო. თბილისი. მეცნიერება. 1991. 109 გვ.

*წიგნში აღწერილია დავით IV აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის საქართველოს სახელმწიფო წყობილება, პოლიტიკური მმართველობის ძირითადი სტრუქტურა, მმართველობის ადგილობრივი აპარატი.*

8. შ. ბადრიძე. საქართველო და ჯვაროსნები. თბილისი. მეცნიერება. 1973. 37 გვ.

*ნაშრომი ეხება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ-დიპლომატიურ ურთიერთობას ჯვაროსნებთან, რაც სათანადოდ აისახა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში. გამოკვლევაში ნახვენებია, რომ ქართულმა სახელმწიფომ ჯვაროსნებთან ურთიერთობა მოხერხებულად გამოიყენა თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.*

9. შ. ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.). თბილისი. მეცნიერება. 1984. 179 გვ.

*ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ურთიერთობები, ერთი მხრივ, ბიზანტიურ და, მეორე მხრივ, ჯვაროსნულ სამყაროსთან, ჯვაროსნული მოძრაობის ზოგადი ხასიათი და მიზან-ამოცანები. ნაშრომში, ასევე, განხილულია ჯვაროსნების და ბიზანტიის ურთიერთობის ცალკეული საკითხები.*

10. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. 7: [XI-XII სს.], თბილისი. მეცნიერება. 1974. 337 გვ. საძიებლები გვ. 327-335.

*აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის აღნიშნული ნაშრომი დაუშთავრებელ გამოკვლევას წარმოადგენს. მასში მოცემულია ის ძირითადი მონახაზი, რომ-*

ლის გაშლასაც, სავარაუდოდ, ავტორი აპირებდა, თუმცა მისი მითითები XI-XII საუკუნეებში სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის თვალსაზრისით დღემდე ფასეულად რჩება ქართულ საისტორიო მეცნიერებაში.

**11.** ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა: ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა. თბილისი. მეცნიერება. 1978. 197 გვ. რეზიუმე რუსულ ენაზე.

მონოგრაფია ეძღვნება ქართული საეკლესიო სამართლის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლის, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხების შესწავლას. ნაშრომში დადგენილია ძეგლისწერის ძირითადი წყაროები. მოცემულია ცდა ავტორის ვინაობის შესახებ ტრადიციული შეხედულებების სისწორის დადგენისა, ახლებურად არის გააზრებული ძეგლთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. კანონების კომენტარებში ახსნილია საეკლესიო სამართლის ზოგიერთი დებულების ისტორიული საფუძველი.

**12.** ა. გოგოლაძე. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი: (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა) თბილისი. თსუ გამომცემლობა. 2001. 208 გვ. რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე.

ნაშრომში განხილულია „ანდერძში“ მოცემული ცნობები სამონასტრო წყობილების, გამგებლობის, მეურნეობის, მეფესთან დამოკიდებულების, სამონასტრო წესდების-ტიპიკონის შესახებ. განხილულია XII-XIII საუკუნეების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ტერმინოლოგია. შესწავლილია დავით აღმაშენებლის უცნობი ისტორიკოსის ვინაობის, ძაგან-მოღისტოსის ვეოდალური სახლის წარმომავლობის, მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელისა და მწიგნობართუხუცეს-ბედიელ-ალავერდელის ინსტიტუტების შექმნისა და მათი ურთიერთმიმართების საკითხები.

**13.** ღ. გრიგოლაშვილი. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 2005. 294 გვ. რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე.

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა შინაარსით და მხატვრული ფორმით ასახავს შუა საუკუნეების ქართული სინამდვილის იდეოლოგიას, ესთეტიკურ მიმართულებას და ქართული ჰიმნოგრაფიის მაღალ დონეს. ნაშრომში დადგენილია ტექსტი, გამოკვეთილია მისი ფილოსოფიური და ლიტერატურული წყაროები, განხილულია მხატვრული პასაჟები და ლიტერატურულ სახეთა შინაარსი. „გალობანი სინანულისანის“ ანალიზისას გამოკვეთილია მასში ქართული და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მიღწევები, ნაშრომს დართული აქვს სომეზონია-ლექსიკონი.

**14.** დავით IV აღმაშენებელი. გალობანი სინანულისანი შემდგ.: თედო ბეჟიშვილი. თბილისი. ხელოვნება. 1989. 79 გვ.

წიგნში შესულია საქართველოს მეფის, დავით IV აღმაშენებლის, ცნობილი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“.

15. დავით აღმაშენებელი: სტატიების კრებული (რედ. რ. მეტრეველი). თბილისი. მეცნიერება. 1990. 232 გვ.

*კრებულში შესულია სტატიები, რომელიც დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.), ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ეხება.*

16. დავით აღმაშენებელი: „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისის“ მიხედვით. თბილისი. ელფი. 2009. 48 გვ.

*ნაშრომში „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისის“ მიხედვით მოთხრობილია დავით აღმაშენებლის მეფობის ძირითადი ასპექტები, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა.*

17. აღ. დაუშვილი. ჩვენი დიდგორი... და ჩვენი კრწანისი. (გამარჯვების სიხარული და დამარცხების სინანული ქართველთა ისტორიულ მეხსიერებაში). თბილისი. უნივერსალი. 2010. 39 გვ.

*ნაშრომში შესწავლილია დიდგორის ბრძოლის, როგორც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოვლენის ასახვა ქართველთა ისტორიულ მეხსიერებაში. პარალელია გავლებული კრწანისის ბრძოლასთან, როგორც ერთ-ერთ ყველაზე დასანან მარცხთან ჩვენი ქვეყნის წარსულიდან.*

18. თ. ღუნდუა. სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი (პარალელური ტექსტი ინგლისურ ენაზე). თბილისი. არტანუჯი. 2003. 44 გვ.

*ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ურთიერთობის პერიპეტეები ტრაპეზუნტის მხარესთან დავით აღმაშენებლის დროს. ეს ურთიერთობები საფუძველია იმ მიმართებებისა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოსა და ტრაპეზუნტის იმპერიას შორის XIII-XV საუკუნეებში.*

19. აღ. თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში: XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე. თბილისი. სეზანი. 2004. 356 გვ.

*ნაშრომში შესწავლილია ევროპულ არქივებში დაცული ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალა საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ქართული ქრონიკების მიხედვით გაანალიზებულია შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგიისა და დროშის საკითხი.*

20. ს. კაკაბაძე. დავით აღმაშენებლის მემატინის ვინაობა. ტფილისი. 1913. 7 გვ.

*ნაშრომში მოცემულია ცდა, დადგინდეს დავით აღმაშენებლის ანონიმი მემატინის ვინაობა, ავტორის აზრით, ეს იყო ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და 1115 წლიდან დავით აღმაშენებლის მოძღვარი არსენ ბერი.*

21. ს. კაკაბაძე. დიდგორის ომი. წინასიტყვეობის ავტორი ი. მეგრელიძე. თბილისი. განათლება. 1982. 138 გვ.

*ნაშრომში შესწავლილია დიდგორის ბრძოლის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. გაანალიზებულია ის წინაპირობები, რომლებიც მას წინ*

უძღვოდა. ყურადღება გამახვილებულია იმ უდიდეს შედეგებზე, რომლებიც დიდგორის ბრძოლას მოჰყვა, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთლიანად რეგიონისათვის.

**22.** მ. კეშელავა. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის პიროვნების როლის შეფასება საქართველოს ისტორიის გაკვეთილებზე VIII კლასში. თბილისი. 1991. 61 გვ. ბიბლიოგრ. გვ. 60.

*ნაშრომი პედაგოგიკური შინაარსისაა, მასში მოცემულია გზამკვლევი მასწავლებლებისთვის და მეთოდური მიმართულებები, თუ როგორ უნდა გაანალიზდეს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის როლი VIII კლასში.*

**23.** ა. კიკვიძე. დავით აღმაშენებელი. თბილისი. 1942. 56 გვ.

*ნაშრომი შესწავლილია დავით IV აღმაშენებლის პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები, განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული მეფის მიერ დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგ გატარებულ პოლიტიკაზე.*

**24.** ეპისკოპოსი კირიონი. წმიდა დავით III აღმაშენებელი. მეფე ქართველთა (1089-1125 წწ.). თბილისი. 1899. 14 გვ.

*ეპისკოპოს (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) კირიონის ნაშრომში მოკლედ არის დახასიათებული დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობა, მისი ღვაწლი ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერების საქმეში.*

**25.** ეპისკოპოსი კირიონი. წმიდა დავით III აღმაშენებელი. მეფე ქართველთა (1089-1125 წწ.). თბილისი. ნეკერი. 1998. 17 გვ.

*წიგნი წარმოადგენს 1899 წელს გამოშვებული წიგნის ზუსტ გამოცემას.*

**26.** ს. მაკალათია. დავით აღმაშენებელი. თბილისი. 1944. 58 გვ.

*ნაშრომში სამეცნიერო-პოპულარული კუთხით გაშუქებულია დავით აღმაშენებლის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, დიდგორის ბრძოლა და მეფის ცხოვრების ცალკეული მნიშვნელოვანი ასპექტები.*

**27.** ს. მაკალათია. დავით აღმაშენებელი. თბილისი. 1945. 58 გვ.

*წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ 1944 წელ გამოცემული წიგნის ზუსტ ასლს.*

**28.** ს. მარგიშვილი. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბილისი. სიესტა. 2006. 363 გვ.

*ნაშრომში ისტორიულ წყაროთა ახლებური ინტერპრეტაციით მოცემულია დავით აღმაშენებლის მეფობის ძირითადი შტრიხები. დაწვრილებით არის შესწავლილი დიდგორის ბრძოლის პერიპეტეები, რომლებსაც ავტორი რამდენიმე მნიშვნელოვანი და საინტერესო კუთხით განიხილავს.*

**29.** შ. მესხია. დიდგორის ბრძოლა. თბილისი. ნაკადული. 1965. 103 გვ.

*ნაშრომში სამეცნიერო-პოპულარული კუთხით მოთხრობილია დიდგორის ბრძოლის მთავარი პერიპეტეები, გაანალიზებულია დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ის ღონიძიებები, რომლებიც წინ უძღვოდა ამ მოვლენას.*

**30.** შ. მესხია. ძლევაჲ საკვირველი: დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება. თბილისი. მეცნიერება. 1972. 163 გვ.

*ნაშრომში გაანალიზებულია დიდგორის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა, როგორც საქართველოს ერთიან და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში, ასევე მისი როლი საერთაშორისო ასპარეზზე. განხილულია თბილისის შემოერთების სტრატეგიული მნიშვნელობა ქვეყნის გაერთიანებაში.*

**31.** რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი: სახელმწიფოებრივი რეფორმები XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში. თბილისი. ნაკადული. 1965. 116 გვ.

*ნაშრომში შესწავლილია დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეფორმები, რომლებმაც შედეგად ქვეყნის ცენტრალიზაცია და გაძლიერება გამოიწვია.*

**32.** რ. მეტრეველი. დიდნი საქმენი: XI ს. მეორე ნახევრისა და XII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1978. 274 გვ. რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

*ნაშრომში შესწავლილია დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმები, რომლებსაც შედეგად ქვეყნის მანამდე არნახულად გაძლიერება მოჰყვა.*

**33.** რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი: ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა [მე-2 გამოცემა]. თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1990, 368 გვ. რეზიუმე რუსულ და ფრანგულ ენებზე.

*ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობა. ვრცლად არის განხილული მის მმართველობის თითოეული ასპექტი. ნაშრომი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ცდას დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ვითარების შესასწავლად.*

**34.** რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. თბილისი. განათლება. 1990. 94 გვ.

*ნაშრომში მოკლედ და სამეცნიერო-პოპულარული ენით არის გაანალიზებული დავით აღმაშენებლის პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და მახასიათებლები.*

**35.** რ. მეტრეველი. შუა საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკა (XII ს.). თბილისი. თსუ გამომცემლობა. 1997. 110 გვ.

*ნაშრომში გაშუქებულია XII საუკუნის საქართველოს საგარეო პოლიტიკა, მისი ძირითადი ასპექტები და მახასიათებლები, მისი ადგილი და მნიშვნელობა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში.*

**36.** რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი; მეფე თამარი = David the Builder; Queen Tamar: [ცხოვრება და მოღვაწეობა]. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 2002. 848 გვ. რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ნაშრომში ვრცლად არის დახასიათებული დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობა, მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული საქმიანობა. წინა გამოცემისგან განსხვავებით, შევსებულია და დაზუსტებულია ცალკეული შეუსწავლელი საკითხი.

**37. რ. მეტრეველი.** 2004 წელი – რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 900 წლისთავი. თბილისი. 2002. 35 გვ.

ნაშრომში შესწავლილია დავით IV აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას წარმოადგენს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება. განხილულია ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც საეკლესიო კრების ჩატარება განაპირობა, ასევე გამოკვლეულია მისი შედეგები და როლი ქვეყნის შემდგომ განვითარებაში.

**38. მსოფლიოს საეკლესიო კრებები:** ძეგლისწერა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებისა. ტექსტი მოამზადა გიორგი ქაჩლიშვილმა. თბილისი. აღილი. 2006. 56 გვ.

წიგნში გადმოცემულია რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის ტექსტი, კომენტარების სახით თანდართული აქვს პარალელები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებულ დადგენილებებსა და კანონებზე.

**39. გ. ნადირაძე.** სულხან ბარათაშვილი – დავით აღმაშენებლის ეპოქის მკვლევარი. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 1998. 60 გვ.

ნაშრომში შესწავლილია XIX საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი ისტორიკოსის, სულხან ბარათაშვილის, მოსაზრებები დავით აღმაშენებლის, მისი პოლიტიკისა და რეფორმების შესახებ. განხილულია იმ დროისათვის დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის მდგომარეობა და ამ ფონზე გამოკვეთილია ის სიახლეები, რომლებიც სულხან ბარათაშვილის შემოქმედებაში შეინიშნება.

**40. ზ. პაპასქირი.** და აღმოსცისკრდა საქართველო ნიკოფსიითგან დარუბანდამდე. თბილისი. სოსუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009. 630 გვ.

კრებულში შესულია ავტორის მიერ ადრე გამოქვეყნებული და მანამდე დაუბეჭდავი სამეცნიერო გამოკვლევები და პუბლიცისტური წერილები საქართველოს ისტორიისა თუ თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებზე.

**41. ლ. სანიკიძე.** დავით აღმაშენებელი. თბილისი. ნაკადული. 1984. 62 გვ.

ნაშრომში მოკლედ და სამეცნიერო-პოპულარული ენით არის გაანალიზებული დავით აღმაშენებლის პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და მახასიათებლები.

**42. საქართველოს ისტორიის ნარკვევები.** ტომი III. თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1979. 890 გვ.

წიგნი წარმოადგენს ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ ნაშრომს, რომელმაც ერთგვარად შეაჯამა ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები საქართველოს ისტორიის კვლევაში. ტომში საგანგებო მონაკვეთი ეთმობა და-

ვით აღმაშენებლის მეფობას, მის მიერ გატარებულ რეფორმებს, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად ასპექტებს, დიდგორის ბრძოლას.

**43.** ვ. სილოგავა. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. თბილისი. ნეკერი. 2003. 194 გვ.

*წიგნში გადმოცემულია შიომღვიმის მონასტრისადმი 1124 წელს დაწერილი, დავით აღმაშენებლის ანდერძის ფოტოკოპიები ტექსტთან ერთად, წიგნს ერთვის სათანადო სამეცნიერო აპარატი.*

**44.** ვ. სილოგავა. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი – Завещание Давида Строителя Шиомгвимской лавре = Will of the King David the Builder to Shiomgvime Lavra [მე-2 შევსებული შესწორებული გამოცემა]. თბილისი. ნეკერი. 2010. 166 გვ. ანდერძის ტექსტი (ფოტოკოპიები): გვ. 93-123. სიმფონია-ლექსიკონი: გვ. 124-146. საძიებლები: გვ. 147-148. დამატებები: გვ. 153-163.

*ნაშრომში დაბეჭდილია შიომღვიმის მონასტრისადმი 1124 წელს დაწერილი დავით აღმაშენებლის ანდერძის ფოტოკოპიები ტექსტთან ერთად სამეცნიერო აპარატით. წინა გამოცემისგან განსხვავებით ის რამდენადმე შევსებული და შესწორებულია, ასევე თან ერთვის სიმფონია-ლექსიკონი და საძიებლები.*

**45.** ი. სიხარულიძე. დავით აღმაშენებლის ყრმობა. თბილისი. ღვთის-შვილთა კავშირის გამომცემლობა. 1995. 25 გვ.

*ბროშურაში გაანალიზებულია დავით აღმაშენებლის ცხოვრების ადრეული წლები, მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი, ის გარემო, სადაც მომავალი დიდი მონარქი აღიზარდა.*

**46.** გ. ტყემალაძე. ბრწყინვალეობა სინანულისა: დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ პოეტური რემინისცენცია. თბილისი. 2003. 32 გვ.

*ბროშურაში განხილულია დიდი ქართველი მეფის ცხოვრება-მოღვაწეობის ერთ-ერთი საინტერესო ასპექტი მის მიერ დაწერილი „გალობანი სინანულისანი“. ტექსტზე დაყრდნობით გაანალიზებულია მეფის ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური პორტრეტი.*

**47.** ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი ნიკო). მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო. ტფილისი. ქართველთა ამხანაგობის გამოცემა. 1894. 113 გვ.

*ნაშრომი წარმოადგენს დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ პირველ გამოკვლევას ქართულ ენაზე. წიგნში განხილულია დავით IV-ის მიერ გატარებული რეფორმები, ასევე ის ძირითადი საგარეო ვითარება, რომელიც მისი მეფობის პერიოდში იყო.*

**48.** ქ. ქუთათელაძე. ქართველი მეფეების დამოკიდებულება ქვემო ქართლის მიწებისადმი XI-XII სს-ში. თბ. 2005. 15 გვ. რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე.

*ნაშრომში გაანალიზებულია ქართველი მეფეების მიერ გატარებული პოლიტიკა ქვემო ქართლის მიწების მიმართ, მისი ძირითადი მიზეზები და შედეგები.*

49. დ. ღამბაშიძე. მეფე დავით III აღმაშენებელი. ქუთაისი. 1893. 24 გვ.

*ბროშურაში მოკლედ არის დახასიათებული დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობა, მისი ღვაწლი ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერების საქმეში, ნაშრომი დაწერილია პროვიდენციული სულისკვეთებით.*

50. დ. ღამბაშიძე. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით III აღმაშენებლისა. ქუთაისი. 1896. 64 გვ.

*ნაშრომში შესწავლილია დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობა, მისი წვლილი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია გელათის მონასტერზე, როგორც დავით მეფის მიერ აგებულ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ძეგლზე.*

51. ნ. შენგელია. მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო = The Asia Minor Seljuks and Georgia = Сельджуки Малой Азии и Грузия: (XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი-XII საუკუნე) თბილისი. თსუ გამომცემლობა. 2003. 504 გვ. რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

*ნაშრომში მრავალრიცხოვან ქართულ და თურქულენოვან წყაროებზე დაყრდნობით გაშუქებულია მცირე აზიის სელჩუკებისა და ქართველების ურთიერთობის მრავალი ასპექტი. ყურადღება გამახვილებულია ისეთ დოკუმენტურ წყაროებზე, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან XI-XII საუკუნების საქართველოს შესახებ.*

52. ქ. ჩხატარაიშვილი. ივ. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. თბილისი. მეცნიერება. 1973. 108 გვ.

*ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა – დიდგორის ბრძოლა, მისი მნიშვნელობა ქვეყნის შემდგომ განვითარებაში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია დიდგორის ბრძოლის მანამდე ისეთ შეუსწავლელ საკითხზე, როგორცაა მეგრძოლი მხარეების სამხედრო ტაქტიკა-სტრატეგია.*

53. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი. სახელგამი. 1955. 463 გვ.

*წიგნში ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით მოცემულია ანონიმი ავტორის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“.*

54. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ. თბილისი. მეცნიერება. 1992. 256 გვ. საძიებლები: გვ. 234-238. ბიბლიოგრ.: გვ. 239-242 რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

*ნაშრომში მონოგრაფიულად შესწავლილია წყაროს ტექსტი, მოცემულია ფილოლოგიურ-ლინგვისტური ანალიზი. ტექსტის დასადგენად გამოყენებულია რვა ნუსხა. შედარებითი ანალიზის შედეგად მრავალი ადგილი, რომელიც ხელნაწერებსა და „ქართლის ცხოვრების“ ადრეულ გამოცემებში ენობრივად და, შესაბამისად, შინაარსობრივად გაუმართავი იყო, დაზუსტდა.*



55. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. (მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი). თბილისი. მერიდიანი. 2008. 830 გვ.

*ეს არის აღნიშნული თხზულების უახლესი გამოცემა.*

56. ნ. ძამუკაშვილი. დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა: (სალექციო კურსი). 1-ლი გამოცემა. თბილისი. 2002. 271 გვ.

*ნაშრომი წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შექმნილ სალექციო კურსს, რომელშიც გადმოცემულია მის მიერ გატარებული საშინაო, საგარეო, სამხედრო და საეკლესიო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.*

57. ნ. ძამუკაშვილი. დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა: (ლექციების კურსი). მე-2 გამოცემა. თბილისი. 2005. 303 გვ.

*ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ 2002 წელს გამოცემული ამავე სათაურის წიგნის, მეორე, შევსებულ გამოცემას.*

58. ნ. ძამუკაშვილი. დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა: (ლექციების კურსი). მე-3 გამოცემა. თბილისი. 2010. 344 გვ.

*ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ 2005 წელს გამოცემული ამავე სათაურის წიგნის, მესამე, შევსებულ გამოცემას.*

59. ი. წერეთელი. დავით აღმაშენებელი – დიდგორი „ძლევაი საკვირველი“. თბილისი. 2004. 26 გვ.

*ბროშურაში განხილულია დიდგორის ბრძოლის მიმდინარეობა და შედეგები.*

60. ი. ჭავჭავაძე. დავით აღმაშენებელი. გამოსაცემად მოამზადა ზურაბ სარჯველაძემ. თბილისი. ხელოვნება. 1990. 10 გვ.

*დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პოეტის, ილია ჭავჭავაძის, მოკლე ნარკვევში მოცემულია დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები, მის მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელმაც საქართველო ერთიან, ძლიერ და რეგიონში ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძაღად აქცია.*

61. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ. მეცნიერება. 1983. 485 გვ.

*აკადმიკოს ივანე ჯავახიშვილის ფუნდამენტური გამოკვლევა „ქართველი ერის ისტორია“ წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ გამოკვლევას. ტომში საგანგებო მონაკვეთი ეთმობა დავით აღმაშენებლის მეფობას, მის მიერ გატარებულ რეფორმებს, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად ასპექტებს, დიდგორის ბრძოლას.*

62. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბილისი. მეცნიერება. 1995. 350 გვ. ბიბლიოგრ. გვ. 286.

*ნაშრომში შესწავლილია XII-XIII საუკუნეების პირველი მესამედის საქართველოს სამეფოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყაროს*

(დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, ერაყის სელჩუკთა სასულტნო, თურქული საამიროები, რომლებიც წარმოიქმნა ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და სომხეთის ტერიტორიაზე სელჩუკთა სახელმწიფოს რღვევის პროცესში, აიუბიანთა და რუმის სასულტნოები) ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები; განხილულია ქრისტიანული საქართველოსა და ისლამური სამყაროს იდეოლოგიური კონფრონტაციის საკითხები. დავით IV აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების რჯულშემქნარებლური პოლიტიკა ქვეშევრდომი მუსლიმებისადმი, რამაც შესაძლებელი გახადა ორი დაპირისპირებული რელიგიის აღმსარებელთა მშვიდობიანი თანაარსებობა საქართველოს სამეფოში.

**63.** ი. ჯიჭონაია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობები საქართველო-იმიერკავკასიის ურთიერთობების შესახებ. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 2003. 48 გვ. რეზიუმე რუსულ ენაზე.

ნაშრომში შესწავლილია საქართველოსა და იმიერკავკასიის ურთიერთობების ძირითადი ასპექტები, მოცემულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში დაცული ცნობების წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და ამ ფონზე განხილულია საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობები ჩრდილო კავკასიელებთან, ყივჩაღების ჩამოსახლება; შესწავლილია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობების დიდი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა, როგორც საქართველო-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობების შესახებ, ასევე – საკუთრივ საქართველოს ისტორიის კუთხით.